# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 9 ნოემბერი, 2006 წელი.

№ 220 (5561)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცყუილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.


ხმა ერის გასაგონად

# როცა ჩასაფრება ცხოვრების ბიზნესია

4-6



მიხეილ სააკაშვილი:



## ჩვენ გიჟები კი არა ვართ, რომ რუსეთის წინააღმდეგ სანქციები შემოვიღოთ

10

# ვის უბნელებენ მოგებას პარლამენტში?

2

ამასაც მოვესწარით

## რუსული სამქეულიანები – ზღვისპირეთში

ძველი კალათბურთელი სერგეი ბაღაფში

13



მიმართვა პრეზიდენტს

3

## გმირების მშობლები მეტი ყურადღების ღირსნი ვართ

ოჰ, ეს ტარიფი!

5

## ყინვა კი იქნება, მაგრამ მარტო – გარეთ

დედაქალაქი

7

## ლოთებითა და მაწანწალებით გაივსო თბილისი...

სასამართლო

12

## ყაჩაღები ქუჩაში იცნეს

დაიჯესტი

14

## ადამიანს და ძროხას შეაჯვარებენ?!

# სახელმწიფო

- „გაზპრომს" საქართველოს მთავრობაში პოლიტიკური დესანტი ჰყავს?
- მინისტრის შეცვლა რომ შველოდეს, გია ქავთარაძე პირველი წავიდოდა თანამდებობიდან...



**მთავრობა**

## ელექტროენერგია გვექნება!

**როგორც პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა, ბოლო ოცი წლის განმავლობაში ელექტროენერგიის ექსპორტი პირველად განხორციელდება.**

პრემიერი, სავარაუდოდ, ირანთან ელექტროენერგიის გაცვლას გულისხმობს, რომელსაც პიკური ხასიათი ექნება.

მანვე კმაყოფილება გამოთქვა მთავრობის მიერ ენერგოსექტორში ორი წლის განმავლობაში ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო.

როგორც ნოღაიდელმა აღნიშნა, გარდაბანში ოთხი თბოელექტროსადგური ნორმალურად ფუნქციონირებს. განსაკუთრებული ყურადღება კი ნოღაიდელმა „ენგურჰესის" რეაბილიტაციის მნიშვნელობაზე გაამახვილა.

— მისი მეშვეობით საქართველოს ელექტროენერგიის რეზერვების შექმნის საშუალება მიეცემა, — განაცხადა ნოღაიდელმა.

* * *

**საქართველო მზად არის, ბუნებრივი გაზის ფასზე კომერციული მოლაპარაკებები აწარმოოს, მაგრამ რუსეთის შანტაჟს არ წამოეგება, — ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე ხაზგასმით განაცხადა.**

იგი „გაზპრომის" გამგეობის თავმჯდომარის მოადგილის ალექსანდრე მედვედევის განცხადებას გამოეხმაურა, რომლის თქმითაც, თუ საქართველო ბუნებრივ გაზს 230 დოლარად არ შეისყიდის, რუსეთი გაზის იმპორტს საქართველოს საერთოდ შეუწყვეტს.

— ეს სიურპრიზი იყო, თუმცა მოსალოდნელი, — აღნიშნა ნოღაიდელმა.

პრემიერ-მინისტრის თქმით, მთავრობა ხელს შეუწყობს კომერციულ ენერგოსადისტრიბუციო კომპანიებს მოლაპარაკებები აწარმოოს არა მხოლოდ რუსეთთან, არამედ სხვა ქვეყნებთან, რათა გაზის ფასი მათთვისაც და საქართველოს მოქალაქეებისთვისაც მისაღები იყოს.

* * *

**სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული მდგომარეობის განხილვა, რომელიც გუშინ მთავრობის სხდომაზე ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო, მშვიდად დასრულდა.**

როგორც ქავთარაძემ მთავრობის გუშინდელი სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, სისტემაში არის ბევრი პრობლემა, თუმცა, ურავის უნდა დაავიწყდეს, თუ რა მემკვიდრეობა ჩაიბარა დღევანდელმა ხელმძღვანელობამ.



როგორც ელენე თევდორაძემ სხდომიდან გამოსვლის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, მინისტრთა კაბინეტის წინაშე იუსტიციის მინისტრის გია ქავთარაძის პასუხისმგებლობის საკითხი არ დაუყენებია. მან უბრალოდ აღნიშნა, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში კანონების დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით, იუსტიციის სამინისტრომ პასუხისმგებლობა თავის თავზე უნდა აიღოს.

თევდორაძის განცხადებით, მას ჰქონდა ინფორმაცია, რომ სხდომას უნდა დასწრებოდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე ბაჩო ახალაია, თუმცა მისთვის უცნობია, რატომ არ დაესწრო იგი სხდომას.

გავრცელებული ინფორმაციით, ბაჩო ახალაია კანცელარიაში გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დაიბარა.

* * *

**იუსტიციის მინისტრი გია ქავთარაძე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის ბაჩო ახალაიას საქმიანობას წარმატებულს უწოდებს.**

— თუ რაიმე დადებითია სისტემაში, ეს ბაჩო ახალაიას კარგი მუშაობის შედეგიცაა, — აღნიშნა ქავთარაძემ.

მანვე ისიც თქვა, რომ კანონი „პატიმრობის შესახებ" ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სრულდება.

ქავთარაძემ ისაუბრა თავისი, როგორც მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხზეც და აღნიშნა, რომ სასჯელაღსრულების სისტემას მინისტრის შეცვლა რომ შველოდეს, პირველი ის თავად წავიდოდა თანამდებობიდან.

**ინტერპრესნიუსი**

**ინფორმაცია**

### მამათა მონასტერი გარდაბანში

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით გარდაბნის რაიონის საზღვრისპირა სოფელ ვახტანგისში წმინდა ნიკოლოზის სახელობის მამათა მონასტერი დაარსდა.**

**მონასტრის წინამძღვრად არქიმანდრიტი ბართლომე (ფირცხალაშვილი) დაინიშნა. ჯერ-ჯერობით მონასტერში მხოლოდ ბერი ნეოფიტე (უროტაძე) და ორი მორჩილი მოღვაწეობენ. კათოლიკოს-პატრიარქი იმედოვნებს, რომ საქართველოს საზღვრისპირა სოფელში სამონასტრო ცხოვრება უახლოეს ხანებში გაძლიერდება.**

### ეს მოჩვენებითი შეშფოთებაა!

**რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან არსებული ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების მხარდამჭერი საბჭო რუსეთში გაჩაღებული ანტიქართული კამპანიის გამო შეშფოთებას გამოთქვამს.**

**როგორც საბჭოს განცხადებაშია აღნიშნული, ადამიანების მასობრივი შემოწმება წარმოებს გამორჩეულად საქართველოს მოქალაქეების და უბრალოდ ეთნიკური ქართველების წინააღმდეგ, რაც „ეროვნული ნიშნით დევნის ხასიათს ატარებს. ეს კი აბსოლუტურად დაუშვებელია".**

**საბჭოს განცხადებაში ნათქვამია, რომ „ხშირად ამგვარი შემოწმებები კანონის სერიოზული დარღვევით მიმდინარეობს".**

**„რია ნოვოსტი" იუწყება, რომ საბჭო ამგვარ ქმედებებს განიხილავს როგორც ანტიკონსტიტუციურს.**

### საპროტესტო აქცია რუსეთის საელჩოსთან

**„შეწყდეს რუსეთის აგრესია საქართველოს წინააღმდეგ" — ამ მოთხოვნით გუშინ რუსეთის საელჩოს წინ „ახალგაზრდა რესპუბლიკელებმა" და ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მშვიდობიანი საპროტესტო აქცია გამართეს.**

**საქართველოს მხარდამჭერ აქციაში ინგლისის, დანიის, უკრაინის, მოლდოვას, სომხეთისა და აზერბაიჯანის ახალგაზრდული ლიბერალური ორგანიზაციების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. აქცია მცირერიცხოვანი იყო. მასში სულ 30-მდე ადამიანი მონაწილეობდა და დაახლოებით ერთ საათს გაგრძელდა.**

**აქციის წევრებმა რუსეთის საელჩოსთან საქართველოს, ინგლისისა და ევროკავშირის დროშები და ინგლისურენოვანი ლოზუნგები მიიტანეს.**

**მშვიდობიანი აქციის მონაწილეები რუსეთის ხელისუფლების მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ ქმედებებს აპროტესტებდნენ.**

**„ახალგაზრდა რესპუბლიკელების" თავმჯდომარის ნიკო თევდორაშვილის განცხადებით, აქციის მთავარი მიზანი იყო ეჩვენებინათ, რომ ქართული მხარე ამ პროცესებში მარტო არ არის.**

**სხვადასხვა ქვეყნების ახალგაზრდა ლიბერალებს საქართველოში „ახალგაზრდა რესპუბლიკელები" მასპინძლობენ. ისინი ხუთდღიან კონფერენციაზე იმყოფებიან, რომელიც ეფექტური საარჩევნო კამპანიის დაგეგმვას ეხება.**

**ინტერპრესნიუსი**

**SOS!**

**გარიგება გაზის ცენტრალური მაგისტრალის აქტივების „გაზპრომისთვის" გადაცემაზე არასოდეს შედგება, — ამის შესახებ სახელმწიფო მინისტრმა კახა ბენდუქიძემ მთავრობის გუშინდელი სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა.**

მანვე კომენტარი გააკეთა „გაზპრომის" გამგეობის თავმჯდომარის მოადგილის ალექსანდრე მედვედევის განცხადებაზეც, რომ თუ საქართველო არ დათანხმდება 230 დოლარად ბუნებრივი გაზის იმპორტზე, კომპანია გაზს საქართველოს საერთოდ აღარ მიაწვდის.

### „გაზპრომი" ხელშეკრულებას ყოველთვის არღვევს!

ბენდუქიძის თქმით, გაზის საფასურის განსაზღვრა ეკონომიკური საკითხია და კონკრეტული კომერციული კომპანიები თვითონ გადაწყვეტენ, თუ ვისგან შეისყიდონ ბუნებრივი აირი.

— სხვა საკითხია, წავა თუ არა საქართველო რაიმე სახის გარიგებაზე რუსეთთან. გარიგება აქტივების გადაცემის შესახებ არასდროს შედგება. გარდა ამისა, „გაზპრომთან" ხელშეკრულების დადებას აზრი არ აქვს, ვინაიდან ის ამ ხელშეკრულებებს ყოველთვის არღვევს, — განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა.

ბენდუქიძემ „გაზპრომთან" 2005 წელს მიღწეული შეთანხმება გაიხსენა, რომლის მიხედვით, კომპანიას სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნისთვის ბუნებრივი გაზის იმპორტზე ერთნაირი ტარიფი უნდა დაეწესებინა.

აღსანიშნავია, რომ სომხეთი 2008 წლამდე 1000 კუბურ მეტრ საწვავში 110 დოლარს გადაიხდის.

ბენდუქიძემ სინანული გამოთქვა, რომ „გაზპრომმა" თავისი საერთაშორისო იმიჯი და სანდოობა პოლიტიკურ „ბატალიებს" ანაცვალა.

**ინტერპრესნიუსი**

**კანონმდებლები**

## ვის უბნელებენ გონებას პარლამენტში?

**რუსეთის მონოპოლისტური კომპანია „გაზპრომის" ერთ-ერთი ხელმძღვანელის ალექსანდრე მედვედევის განცხადებამ, რომ ზოგი აქტივის სანაცვლოდ, საქართველოსთან გაზის ნაკლებ ფასზე მოლაპარაკება შესაძლებელია, დეპუტატები აღაშფოთა.**

გუშინდელ პლენარულ სხდომაზე პარლამენტის თავმჯდომარემ რამდენჯერმე დაამშვიდა ოპოზიციური ფრაქციების ლიდერები და ანუგეშა, რუსეთთან გაზსადენის გაცვლის თაობაზე არა და არ ვივაჭრებთო.

„მემარჯვენე ოპოზიციის" ფრაქციის თავმჯდომარის დავით გამყრელიძის აზრით, საქართველოს ხელისუფლების ნებისმიერი განცხადება გაზსადენის შესაძლო გაცვლაზე, გადაცემასა თუ გასხვისებაზე იგივე კაპიტულაციაა და ბრძოლა თავისუფლებისათვის წყალში გადაიყრება.

დავით გამყრელიძემ კატეგორიულად მოითხოვა, გაზითა და ელექტრომატარებლებით შანტაჟის გამო, საქართველოს მთავრობამ მკაფიო პოზიცია გამოხატოს მაგისტრალური გაზსადენის თაობაზე. მან საქართველოს პრეზიდენტს მოსთხოვა, საჯაროდ განეცხადებინა, მაგისტრალური გაზსადენი არ გაიყიდებაო.



„დემოკრატიული ფრონტის" ერთ-ერთმა ლიდერმა დავით ბერძენიშვილმა კახა ბენდუქიძეს „გაზპრომის" ეკონომიკური ბიზნეს-პარტნიორი უწოდა, და დაურთო, ამ რუსულ კომპანიას საქართველოს მთავრობაში ბენდუქიძის სახით პოლიტიკური დესანტი ჰყავს.

ნინო ბურჯანაძემ დააიმედა ოპოზიცია — 10 ნოემბრის პლენარულ სხდომაზე ანგარიშით წარდგება ენერგეტიკის მინისტრი და ყველა საჩოთირო შეკითხვას უპასუხებსო. ხოლო ობიექტების გამოსყიდვაზე თქვა, რომ მაშინ, როდესაც გასარკვევია გაზის ფასი, არცთუ აქტუალურია ობიექტების გამოსყიდვა: „თუ თქვენ რაიმე იცით, როგორ შეიძლება ციდან ჩამოცვენილი ფულის კალათებით მოკრეფა, ძალზე მოხარული ვიქნები და დიდი სიამოვნებით დაგეხმარებით, რომ სახელმწიფომ ყველა პრივატიზებული ობიექტი უკან დაიბრუნოს და ხელახლა მოახდინოს მათი პრივატიზება. სამწუხაროდ, ციდან ფულების ჩამოცვენის პრეცედენტი არ ვიცი, მით უფრო საქართველოს მსგავსი ქვეყნისთვის".

ნინო ბურჯანაძემ მთლიანად აიღო პასუხისმგებლობა მაგისტრალურ გაზსადენზე — საქართველოს ხელისუფლება მის გასხვისებას, გაყიდვას, მით უფრო, რუსეთისთვის მიყიდვას არ აპირებსო. „რაც ახლა ხდება გაზის ფასის გამო, ეს არის საქართველოს ენერგეტიკული დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა. დარწმუნებული ვარ, როგორც უნდა გვიჭირდეს და როგორი რთულიც უნდა იყოს გამოსავლის პოვნა, ჩვენ ამ ზამთარში მივაღწევთ ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას", — დასძინა მან.

პარლამენტის წევრმა ვლადიმერ პაპავამ საინტერესოდ ილაპარაკა რუსეთის „გაზპრომის" ინტერესებზე საქართველოში. მისი აზრით, ნებისმიერი ქონებრივი დათმობა გაზის საფასურს არ შეამცირებს. მაგალითად სომხეთი მოიტანა, სადაც გაზის ტარიფის ფორმალურად დასაწევად რუსეთმა სომხეთის ქონების ნაწილი დაისაკუთრა, მაგრამ, როგორც კი ამ ქონების ფასი მოხმარებული გაზის ფასს გაუტოლდება, რუსეთი ან კიდევ მოითხოვს „გირაოს", ან გაზის ფასს გაზრდის.

ლადო პაპავას აზრით, სჯობს, გავიჭირვოთ, გაზპრომის ულტიმატუმს 1000 $м^3$ ბუნებრივი გაზი 230 დოლარი ეღირებაო, არ შევუშინდეთ და გადავიხადოთ.

პარლამენტის თავმჯდომარის ინფორმაციით, რუსეთის მიერ სომხეთიდან გაზის საფასურში აღებული არაერთი ობიექტი ჯერაც არ ამუშავებულა და, შესაბამისად, არც ერთი ინვესტიცია არც განხორციელებულა. ეს ობიექტები გაჩერებული და დაკონსერვებულია: „რუსეთს არ აინტერესებს არც სომხეთის ეკონომიკა, არც მისი დამოუკიდებლობის გაძლიერება".

პლენარულ სხდომაზე რამდენჯერმე გახმიანდა რეფორმების კოორდინაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის კახა ბენდუქიძის სახელი. მან მრავალჯერ განაცხადა, მაგისტრალური გაზსადენის გაყიდვის თაობაზე. „მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენელმა ფიქრია ჩიხრაძემ კი დეპუტატებს შეახსენა საქართველოს პრეზიდენტის განცხადებაც, რომელმაც იტალიური გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში იგივე გაიმეორა.

ოპოზიციას აშკარად არ სჯეროდა ხელისუფლებისა. ამ შემთხვევაში, პირადად ნინო ბურჯანაძისა, რომელიც ყველანაირად ცდილობდა დაერწმუნებინა ისინი, რომ საქართველო აუცილებლად გამონახავს გაზის ალტერნატიულ წყაროებს და რუსეთთან არ ივაჭრებს.

საპარლამენტო ოპოზიცია ხვალინდელი პლენარული სხდომისთვის ემზადება. იქ ენერგეტიკის მინისტრი უნდა მივიდეს. გაურკვეველია, მოვლენ თუ არა მთავრობის სხვა წევრები და პირადად პრემიერ-მინისტრი, ვისთან შეხვედრასაც ოპოზიცია გადაჭრით მოითხოვს. ყოველ შემთხვევაში, არა გვგონია, ამ დღემ პარლამენტში უხმაუროდ ჩაიაროს, თუმცა, პარლამენტის ბიუროს სხდომაზე ენერგეტიკის მინისტრის ანგარიშს დეპუტატები ტაშით შეხვდნენ, ოპოზიციას კი ხმა არ გაუღია.

**თამარ შაიშმელაშვილი**

№ 220. ხუთშაბათი, 9 ნოემბერი, 2006 წელი.

- ჩვენზე უკვე აღარ ფიქრობენ და... ცხვრებივით გვერეკებიან!
- „ფულები არის პარტიათა გულის გამხარებლები“...

◎ მიმართვა

# გმირების მშობლები მეტი ყურადღების ღირსნი ვართ

## საქართველოს პრეზიდენტს, შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდალს, ბატონ მიხეილ სააკაშვილს, ქ. თბილისის მერს, ბატონ გიგი უგულავას

**ბატონო მიხეილ, ბატონო გიგი, უწინარესად ბოდიშს ვიხდი, რომ გაზეთით გაწუხებთ, მაგრამ სხვა გზა, უბრალოდ, არა მაქვს:** ამ რამდენიმე კვირის წინათ განცხადებით მოგმართეთ. დღემდე პასუხი არ მიმიღია. არადა, დარწმუნებული ვარ, ჩემს აღნიშნულ განცხადებას რომ გაცნობოდით, უპასუხოდ არ დამტოვებდით. ალბათ, მოუცლელობის გამო ვერ გაეცანით მას, ან იქნებ, სულო ცოდვილო, თქვენამდე ვერც მოაღწია იმ განცხადებამ, ბიუროკრატიულ ლაბირინთებში ჩაიკარგა. ამიტომაც ვთხოვე გაზეთის რედაქციას, დაებეჭდა იგი: პირადად თუ არ წაიკითხავთ ამ წერილს, ვინმემ იქნებ მაინც გადმოგცეთ მისი შინაარსი.

მოგეხსენებათ, რომ თბილისის მერიის გადაწყვეტილებით, ასაღები ობიექტების სიაში შეტანილია კოსტავას ქუჩაზე ჩემს მიერ აშენებული მინიმარკეტიც, რისი არამართებულობის კატეგორიული მტკიცებით, რა თქმა უნდა, არ დაწერილა ეს განცხადება.

თავის დროზე, თბილისის მერიის გადაწყვეტილებით, ჩემი და ომში დაღუპული სხვა ბენდელიანების ოჯახების დახმარების მიზნით, ჩვენი უმძიმესი სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად, უფლება მოგვეცა, დაგვედგა აღნიშნული მაღაზია. აქ დავასაქმეთ 9 ოჯახი – 20 ადამიანი, რამეთუ მაღაზია მუშაობს 24 საათის განმავლობაში. ეს ის ლტოლვილი ხალხია, ვისი შვილების, ძმების, ახლობლების სახელ-გვარები თქვენი ინიციატივით გმირთა მოედანზე აღმართულ მემორიალზე ოქროს ასოებით არის ამოტვიფრულნი. დიახ, 13 ბენდელიანი დაიღუპა მარტო სოხუმის დაცემის დღეს უთანასწორო ბრძოლაში. ნიშანდობლივია ისიც, რომ მათი უმეტესობა 1992 წელს, ჩემი 22 წლის ვაჟკაცის დაკრძალვის დღეს, მის ცხედართან ფიცდადებით, თავიანთი სახლებში დაუბრუნებლად წავიდნენ პირდაპირ ომში – ტამიშისკენ, სადაც ჩემმა ზაზამ გმირულად დადო თავი.

ამიტომ ჩვენ, გმირების მშობლები, ვფიქრობთ, ვიმსახურებთ მეტ ყურადღებას. მაგრამ დღეს გვიჩნდება ეჭვი, რომ ჩვენზე უკვე აღარ ფიქრობენ და ცხვრებივით გვერეკებიან; თუმცა, უარს არაფერზე გვეუბნებიან, საქმით არაფერი კეთდება. მაღაზიის სანაცვლოდ არაფერს მთავაზობენ, მეუბნებიან – „შენ თვითონ მოძებნეო“. ჩემს შერჩეულ ტერიტორიას კი პატრონი უჩნდება, ისე გამოდის, რომ ყველა ტერიტორია გასხვისებულია. არადა, შვილმკვდარი მშობლები, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვსაჭიროებთ მატერიალურ მხარდაჭერას.

ბატონო პრეზიდენტო,

მოგმართავთ უმორჩილესი თხოვნით, რომ სწორად იქნეს გაანალიზებული მაღაზიის დემონტაჟის აუცილებლობა; მიმაჩნია, რომ მისი აღება ნაჩქარევად გადაწყდა, ვინაიდან მინიმაღაზიის გაბარიტები მიმდებარე შენობის სივრცეში ბუნებრივად ჯდება და ტროტუარზე არც გადმოდის. მერწმუნეთ, რომ ამ საკითხში მეც დამეჯერება, რადგან სპეციალობით ვარ ინჟინერ-მშენებელი და ათობით წელიწადი მიმუშავია „ენგურჰესის“ სამოქალაქო მშენებლობასა და „ბიჭვინთამშენის“ მშენებლობაზე.

თავს ვინუგეშებთ თქვენი ჰუმანური გადაწყვეტილების მოლოდინით.

უღრმესი პატივისცემით –
**ჯუმბერ ბენდელიანი,**
**საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისთვის აფხაზეთში გმირულად დაღუპული მებრძოლის, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსნის ზაზა ბენდელიანის მამა. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №67, ბინა №33, ტელ: 45-01-87.**

◎ სასამართლო

# გვითვალთვალებენ, გვაყურადებენ?

## ახალგაზრდა იურისტები – საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

**გუშინ საკონსტიტუციო სასამართლოში „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ სარჩელზე გამწესრიგებელი სხდომა გაიმართა. იურისტები ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შესახებ კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის არაკონსტიტუციურად ცნობას მოითხოვენ, რადგანაც იგი მათი თქმით, კონკრეტული მოქალაქისა თუ ორგანიზაციის მოსმენის მიყურადებისა და სხვა ფარული ღონისძიებების მოსამართლის გვერდის ავლით განხორციელების საშუალებას იძლევა.**

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, გადაუდებელი აუცილებლობისას შეიძლება შეიზღუდოს. ოპერატიული სამძებრო ღონისძიებების შესახებ კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი, ფარული მოსმენის უფლება აქვს ნებისმიერ იმ ორგანოს, რომელიც კონკრეტულ საქმეზე ოპერატიულ ღონისძიებას ახორციელებს. გადაუდებელი აუცილებლობის დროსაც



კი, ეს ღონისძიება მოსამართლემ უნდა დააკანონოს.

სადღეისოდ საქართველოში ფარულ სატელეფონო თუ ვიდეოჩანაწერებს ხან ოპოზიცია გვასმენინებს, ხან კი – უმრავლესობა და ძალოვანი უწყებები გვაცქერინებენ. „უჩინარი“ ჩამწერი აპარატების მსხვერპლთ ახალგაზრდა იურისტებისთვის საჩივრით არ მიუმართავთ, შესაბამისად, კანონდარღვევის კონკრეტული ფაქტები სასამართლოსთვის მათ არ წარუდგენიათ. ეს არცაა აუცილებელი, რადგან ახალგაზრდა იურისტები ამ მუხლის პოტენციურ მსხვერპლად თითოეულ მოქალაქეს მიიჩნევენ, ვინც კი საშუალებების შეტყობინებების ტექნიკურ საშუალებებს იყენებს.

– პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება გულისხმობს პირისთვის ავტონომიის მინიჭებას, ისე განსაზღვროს თავისი ცხოვრება, როგორც სურს. თუ ის მუდმივად მოექცევა ვინმეს მეთვალყურეობის ქვეშ, ცხადია, ვერ მოახერხებს ამ უფლების რეალიზებას. კონსტიტუციის თანახმად, ეს უფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ მოსამართლის ბრძანებით, – განაცხადა „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ წარმომადგენელმა ეკა ლომთათიძემ.

კონკრეტულ შემთხვევაში მოპასუხე მხარე საქართველოს პარლამენტია, კანონმდებლობა მოპასუხე მხარეს პირველივე გამწესრიგებელ სხდომაზე დასწრებას არ ავალდებულებს, მოსამართლეებიც, იძულებულნი იყვნენ, მოსარჩელისთვის კითხვები თავადვე დაესვათ.

**– დასანანია, რომ კანონი არ ითვალისწინებს ამ ეტაპზე სასამართლოში მოპასუხის ყოფნას, რათა მოპასუხესთან პაექრობისას მოსამართლეს დაედგინა, თუ რამდენად დასაბუთებულია სარჩელი და დაცულია კანონის მოთხოვნა,** – თქვა „საია“-ს გამგეობის წევრმა გიორგი ჩხეიძემ.

ოპერაციულ-სამძებრო ღონისძიებების შესახებ კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი, ირღვევა თუ არა კონსტიტუცია, სასამართლო ამას საკითხის არსებითი განხილვისას გაარკვევს. მანამდე კი, 14 ნოემბერს გვამცნობს, მიიღებს თუ არა ახალგაზრდა იურისტების სარჩელს წარმოებაში.

**ლელა ხვადაგიანი**

◎ ფინანსები პარტიებისთვის

# „მდიდარი“ ნაციონალები და „ღატაკი“ ლეიბორისტები

**საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულებით, ერთი თვის წინათ ფინანსური მონიტორინგის ხუთკაციანი ჯგუფი შეიქმნა, რომელსაც 2006 წლის 5 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების მიერ, აუდიტორულ დასკვნასთან ერთად წარმოდგენილი არჩევნებისათვის გამოყენებული სახსრების ანგარიშები უნდა შეესწავლა.**



აღნიშნული ფინანსური ანგარიშები ფინანსური მონიტორინგის ჯგუფმა ცესკოს გუშინ წარუდგინა, რომლის მიხედვითაც, „ნაციონალური მოძრაობის“ შემოწირულობათა ჯამი 3667383 ლარს შეადგენს, შემომწირველთა საერთო რაოდენობა 146-ია, აქედან, ფიზიკური პირია – 23, იურიდიული – 123.

საარჩევნო ბლოკის – „დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილის“ – შემომწირველობათა საერთო რაოდენობა 27-ს შეადგენს, ფიზიკური პირია – 26, იურიდიული – 1, ხოლო შემოწირულობათა ჯამი – 88956,21 ლარი.

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ 11 შემომწირველიდან ფიზიკური პირი სამია, იურიდიული – 8, შემოწირულობათა ჯამი კი – 523758,51 ლარი.

ყველაზე მწირი დაფინანსება „საქართველოს ლეიბორისტულ პარტიას“ აღმოაჩნდა. შემოწირულობა სულ 13277 ლარია, ხოლო შემომწირველი – 15 ფიზიკური პირი. კანონის თანახმად, საარჩევნო სუბიექტები ვალდებულნი იყვნენ, საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიში შემოწირულობის სახით აღენუსხათ ტელე და რადიო მაუწყებლობაში თავისი უფასო რეკლამებისთვის გამოყოფილი დროის ღირებულება, მაგრამ, გაირკვა, რომ ბლოკმა „დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილმა“ და „საქართველოს ლეიბორისტულმა პარტიამ“ საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშში ეს არ ასახეს.

ცესკოს თავმჯდომარემ გურამ ჩალაგაშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნის თანახმად დაფიქსირებული დარღვევები იმდენად მცირე და უმნიშვნელოა, რომ ის გავლენას არ მოახდენს აღნიშნული პარტიების შემდგომ არჩევნებში მონაწილეობაზე.

„მთლიანობაში, ყველაფერი დამაკმაყოფილებელია, რადგანაც არც ერთ პარტიას კანონით აკრძალული პირებისგან და ორგანიზაციებისგან დაფინანსება არ მიუღია“, – დასძინა ცესკოს თავმჯდომარემ.

**ლელა მანავლიშვილი**

◎ ინფორმაცია

## გრანტი – სტატისტიკის დეპარტამენტს

**სტატისტიკის დეპარტამენტს გაეროს განვითარების ფონდი გრანტს გამოუყოფს.**

**შესაბამის ხელშეკრულებას ხელი გუშინ დეპარტამენტის თავმჯდომარემ ირაკლი სირაძემ და საქართველოში გაეროს მუდმივი წარმომადგენლის მოადგილემ პეტერ ვან რუზველდტმა მოაწერეს.**

**ურთიერთთანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება პროექტ „სტატისტიკის დეპარტამენტში ეკონომიკის არაფორმალური სექტორის გაანგარიშების სრულყოფის“ ფარგლებში დაიდო. იგი მიზნად ისახავს სტატისტიკაში ჩრდილოვანი ეკონომიკის გაანგარიშების ახალი მეთოდოლოგიის დანერგვას. ასევე, გამოკვლევის ჩატარებას, სავარაუდოდ, ეკონომიკის ორ სექტორში.**

**პროექტის ხანგრძლივობა 8 თვეა, ხოლო ბიუჯეტი – 122 500 აშშ დოლარი.**

**ინტერპრესნიუსი**

№ 220. ხუთშაბათი, 9 ნოემბერი, 2006 წელი.

# მოსაზრება

ბატალიონის სისხლისმსმელ თოფოსანთა სიაში არაერთი ჩემი თანაქალაქელის, ჩემგან დაპურებულის, ხელგამართულის, გზაზე დაყენებულის, მეზობლის, თანამშრომლის გვარი ამოვიკითხე.



№ 220. ხუთშაბათი, 9 ნოემბერი, 2006 წელი.

## ◎ ინფორმაცია

### მერაბ ანთაძე კი იმედოვნებს, მაგრამ...



კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი მერაბ ანთაძე იმედოვნებს, რომ სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებულ რესპუბლიკაში 12 ნოემბერს დაგეგმილი ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნები მშვიდ ვითარებაში ჩაივლის.

როგორც მინისტრმა გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში ჟურნალისტებს განუცხადა, ჯერჯერობით ნაადრევია იმაზე საუბარი, რამდენად შეიძლება ერედვში განთავსებული ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ჩატარებული არჩევნების ლეგიტიმურად გამოცხადება.

თუმცა, მან დასძინა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ამ არჩევნებთან დაკავშირებით პოზიცია უკვე დააფიქსირა. კერძოდ, საქართველოს ხელისუფლება მხარს უჭერს იმას, რომ გახლეჩილი საზოგადოება გაერთიანდეს და მიეცეს სტაბილური და პერსპექტიული მომავლის შექმნის შესაძლებლობა.

### „რუსი“ ირინა სარიშვილი გაბრაზდა

პოლიტიკური მოძრაობა „იმედის“ ლიდერი ირინა სარიშვილი აპირებს, იუსტიციის სამინისტროს სასამართლოში უჩივლოს.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე სარიშვილმა განაცხადა, სარჩელის შეტანის მიზეზი გახდა ის ფაქტი, რომ იუსტიციის სამინისტრომ პოლიტიკური გაერთიანება „იმედი“ რეგისტრაციაში უსაფუძვლოდ არ გაატარა.

— საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჭირო დოკუმენტაცია არაერთხელ წარმოვუდგინეთ, მიუხედავად ამისა, სამინისტროს წარმომადგენლები რამდენიმე თვის განმავლობაში მაინც ახერხებენ აბსურდული მიზეზებით „იმედი“ რეგისტრაციაში არ გაატარონ. ახლა კი მივიღეთ პასუხი, რომ იუსტიციის სამინისტრომ განუხილველად დატოვა ჩვენს მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია და რეგისტრაციაზე ისევ უარი გვითხრა, — განაცხადა სარიშვილმა.

მანვე დასძინა, რომ აპირებს, მიმართოს ფსიქიატრიული კლინიკის ექიმებს, რათა კონსილიუმმა წერილის ავტორთა ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა დაადგინოს.

ინტერპრესნიუსი



## ◎ ხმა ერის გასაგონად

***ამ დღეებში ხელში ჩამივარდა აგრესიული სეპარატიზმის ერთ-ერთი იდეოლოგის, ვინმე ხოჯაას (სინამდვილეში, რაც არ უნდა იუაროს, ხოჯავასძ წიგნი ი. ქ. ბაგრამიანის სახელობის სომხური ბატალიონის საბრძოლო გზაზე, რომელიც აფხაზეთში ქართველთა ეთნიკურ წმენდასა და გენოციდში განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა.***

***გადავშალე და ბატალიონის სისხლისმსმელ თოფოსანთა სიაში არაერთი ჩემი თანაქალაქელის, ჩემგან დაპურებულის, ხელგამართულის, გზაზე დაყენებულის, მეზობლის, თანამშრომლის გვარი ამოვიკითხე.***

***ეს ყველაფერი ადრეც ვიცოდი, მაგრამ, როცა ხელშესახებად დამიდეს წინ, თვალებს მაინც არ დავუჯერე, ნუთუ შეიძლება ღალატის ასეთი ოდენობა დამალო და ასე ატარო.***

***ერთი კია, ვიღაც ხოჯაა (ხოჯავაძ, რომელსაც ახლა უხვი ჰონორარებით ასაჩუქრებენ, დრო მოვა და თვით არმენი ხალხისგან შეჩვენდება, რადგან ასეთი ვერაგული ფურცლები, — ნივთმტკიცებად რომ ღაღადებენ, — დაუტოვა ისტორიას.***



# როცა ჩასაფრება ცხოვრების მიზანია

ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (ისტორიულ ცხუმ-აფხაზეთშიძ ადგილობრივი არმენი მოსახლეობის ერთი საგრძნობი ნაწილის მიერ ჩადენილი პირუმტკიცობა და მუხანათობა, რომელსაც, სამწუხაროდ, დღემდე ზნეობრივ-სამართლებრივი შეფასება არ მიეცა, გახლავთ ისეთი მეტასტაზი, ჩვენი ხალხების კეთილმეზობლობას ეჭვქვეშ რომ დააყენებს ხოლმე.

არადა, ისტორიის გადაკეთება, შელამაზება, როგორც წესი, თავისი შედეგებით ხელს უწყობს გაუგებრობათა დაქსელვას, თავსმოხვევას, გაუგებრობას, საბედისწერო დაპირისპირებებს.

სიმართლე, რაც უნდა მწარე იყოს იგი, გახლავთ ის საფუძველი, რომელზე დაყრდნობითაც საგაკვეთილო დასკვნები უნდა გაკეთდეს. აქ კი საჭიროა ჩვენი არმენი კეთილი მეზობლებისა და ძმების (საბედნიეროდ, არის ასეთი ხალხიცძ წინდახედული, მიუკერძოებელი და მკაცრი გამოხმაურება ყოველივე იმისადმი, რაც დიდი ოვანეს თუმანიანის ანდერძის საწინააღმდეგოდ, იმპერიის დაკვეთის შესაბამისად, ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესებს დაუპირისპირდა.

ჩვენ, აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობას, საკუთარ თავზე გვაქვს გამოცდილი ის ზნეობრივი, პოლიტიკური თუ მილიტარისტული დემარშები (ეს რბილად რომ ვთქვათძ, სხვა მიზეზებთან ერთად, რომლის წყალობითაც ამ დღეში აღმოვჩნდით.

ამასთან დაკავშირებით, რომელი ერთი უნდა გავიხსენო. მაგონდება 1989 წლის აგვისტო, როცა უკვე ჩავლილი იყო სოხუმში 15-16 ივლისის სისხლიანი მოვლენები. სოხუმის რაიონის სოფელ გუმისთაში გაიხსნა საბავშვო ბაღი რუსული, არმენული და ქართული განყოფილებებით. სოფელ გუმისთის არმენულმა მოსახლეობამ უკმაყოფილება გამოთქვა ქართული განყოფილების გახსნით და წინ აღუდგა მას (ბავშვები გარეთ გაყარაძ.



იმავე წლის 5 სექტემბერს გაზეთ „ვრასტანის“ რედაქციაში, სოხუმის საზოგადოებრიობის რწმუნებით, მეგობრებთან ერთად შევხვდი ბატონ ვან ბაიბურთსა და არმენული საზოგადოებრივი ორგანიზაციების მესვეურებს და გადავეცით მომხდარის სახიფათო შინაარსი. მათ აღგვითქვეს ვითარების მოწესრიგება, ანუ შესაბამისი განმარტებითი მუშაობა არმენ მოსახლეობასთან. სამწუხაროდ, ზოგიერთს, ვატყობ, სურს ასეთი პროვოკაციების ფაქტები იუარონ, მაგრამ ის შემთხვევა და შეხვედრები არმენ საზოგადო მოღვაწეებთან დაწვრილებითაა მოთხრობილი სოხუმის რაიონის სახალხო დეპუტატთა ალმასკომის გაზეთ „შრომაში“ (1989 წლის 23 სექტემბერსძ.

თუ როგორი ახსნა-განმარტებითი მუშაობა „ჩატარდა“ გუმისთაში, ამის მკაფიო მაგალითია 1990 წლის 30 აპრილს იმავე სოფელში მომხდარი დაპირისპირება, რომლის ჩაქრობა ქართულ ეროვნულ ძალისხმევას ყოფა-არყოფნის ზღვარზე გავლად დაუჯდა. საქმე ის გახლავთ, რომ ამ სოფელში უსახლკარობით წლების მანძილზე განგებ გაწამებულმა ქართველებმა თვითნებურად მიიღობეს არმენებზე საეჭვო დაინტერესების საფუძველზე გაცემული საიჯარო მიწები. ნაჯახითა და ხელჯოხებით შეიარაღებული მოიჯარეები დაესხნენ ქართველებს (საბედნიეროდ, ჩვენ მაშინ შევძელით მდგომარეობის განმუხტვაძ.

თუ ამ სამწუხარო ამბის გახსენება ვინმეს ანტიარმენული განწყობის ქადაგებად მოეჩვენება, მის გასაგონად ხმამაღლა ვაცხადებ: 1987-89 წლებში სოხუმის რაიონის ახალშენის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, სადაც სწავლება ქართულ-რუსულ სექტორზე მიმდინარეობდა, მე, სკოლის დირექტორმა, წინააღმდეგ არსებული სასწავლო გეგმისა, არმენი მოსწავლეებისთვის ფაკულტატივის საათების ხარჯზე შემოვიღე არმენული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სწავლება, რათა ამ ბავშვებში არ ჩაკლულიყო მშობლიური სული და ცნობიერება. 1989 წელს ეროვნული მოძრაობის ძალისხმევით ამირჩიეს ახლად გახსნილი სოხუმის რ-ნის თავისუფლების ქართული საშუალო სკოლის დირექტორად, ეს სკოლა არმენულ სკოლას შეხიზნული ქართული კლასების ბაზაზე გაიხსნა. დიახ, დიახ, იმ კლასებზეა საუბარი, რომელთა არსებობის 15 წლის მანძილზე ხდებოდა მათი დარბევა, სკოლის შენობიდან არმენი მასწავლებლების მიერ ქართველი მოსწავლეების გაძევება, დათრგუნვა, ხელის შეშლა, აბუჩად აგდება. სხვათა შორის, ამის შესახებ თავის დროზე წერდა ზვიად გამსახურდიას თაოსნობით გამომავალი ხელნაწერი ჟურნალი „ოქროს საწმისი“. მიუხედავად ამისა, არავის დავპირისპირებივარ, პირიქით, ახალგაზრდულ ქართულ სკოლაში ქართველ ბავშვებს, რომლებიც არმენულ ენას ფლობდნენ, არმენ თანატოლებთან ყოველდღიურად ურთიერთობა ჰქონდათ, იმავე ფაკულტატივის ხარჯზე გავუხსენი ივ. თუმანიანის სახელობის ლიტერატურულ-შემეცნებითი წრე, სადაც მოსწავლეები სასაუბროდ დაუფლებული არმენული ენის წიგნიერ დახვეწაზე მუშაობდნენ, მოწვეული გვყავდა მაღალი კვალიფიკაციის ეროვნებით არმენი მასწავლებელი, რომელსაც ყველა პირობა ჰქონდა სამუშაოდ, ამის შესახებ გაზეთ „ვრასტანშიც“ იწერებოდა და ამას ხალხთა ნამდვილი მეგობრობის გამოვლენას არქმევდნენ. ასეც იყო ჩვენი მხრიდან, მაგრამ როდესაც ამის საპასუხოდ, გავიგე, რომ 1990-93 წლებში, ომის დროს, სოხუმის რაიონის სოფელ თავისუფლების ქართველი მოსახლეობის დანაზოგით აშენებული ქართული სკოლა ჩემმა არმენმა კოლეგებმა მიწასთან გაასწორეს, ჩემი ტანჯვით ნაშენები სახლ-კარი გადამიწვეს, აწამეს ათასობით მშვიდობიანი თანამოძმე, მუხანათურად გამისხვისეს სამშობლო, უფლებას ვიტოვებ, მოვლენას საკუთარი სახელი დავარქვა — ღალატი, ზურგში მახვილის ჩაცემა, ანუ დიდი ოვანეს თუმანიანის ანდერძისგან განდგომა, ამ ბრძენკაცის მოძღვრების გათელვაა ეს. ეს მარტო მე კი არა, თვით არმენმა საზოგადოებამ უნდა განაცხადოს, დაგმოს.

სწორედ „აფხაზეთში (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოშიძ ე. წ. არმენი საზოგადო მოღვაწეების მტრული დამოკიდებულება ქართველთა მიმართ (ისევე, როგორც რუსული ინტერფრონტული მოძრაობაძ გახდა იმის მყარი საფუძველი, რომ აგრესიული სეპარატიზმის მესვეურებს ვ. არძინბას თაოსნობით, თანამიმდევრულად განეხორციელებინა ქართველთა ეთნიკური წმენდა და გენოციდი.

რომ არა არმენული „კრუნკი“, „სლავიანსკი დომი“ და მისთანა შენიღბული ბოევიკური მოძრაობები, 1991 წლის დეკემბრის საბედისწერო დღეებში, როცა თბილისში იმპერიის ერთჯერადი მოხმარების ხელისბიჭებმა ქართველი ერის თავისუფლებასა და სახალხო ნებას ესროლეს, ვ. არძინბა 29 დეკემბერს ვერ გაბედავდა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მიელო დადგენილება ე. წ. დროებითი საბჭოს შექმნის შესახებ, რომელმაც მონონაციონალური ნების გამოხატულებით დაიქვემდებარა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთშიძ დისლოცირებული სამხედრო ნაწილები, ანუ აგრესიული სეპარატიზმის მიერ შექმნილი მილიტარისტული ორგანო დროში უსწრებდა 1992 წლის 2 იანვარს მოსკოვის მიერ ხელდასხმულ სათბილისო „სამხედრო საბჭოს“. ნიშანდობლივია, რომ ვ. არძინბას სამხედრო „მთავარბანკში“ თავმჯდომარის მოადგილეებად დაინიშნენ ეროვნებით აფსუა პოლკოვნიკი არშბა და არმენი პოლკოვნიკი ლ. გოგჟიანი. ამ ე. წ. მთავრბანკის 9 წევრიდან ქართველი (თუნდაც მოღალატეძ არც ერთი არ იყო, წარმომადგენლობა აფსუებთან ერთად გაინაწილეს რუსებმა და არმენებმა.

აგრესიული სეპარატიზმის თვითდამკვიდრებას ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთშიძ ყოველთვის — 1917 წლიდან 1922 წლამდე, და დღემდე, ყოველთვის საიმედო ზურგის ქარად ედგა არმენთა აქტიური და ტენდენციური, უფრო სწორად, ქართველთა საწინააღმდეგოდ დასაქმებული „ნეიტრალიტეტი“ (აქვე პატივს მივაგებ იმ არმენ მოღვაწეებს, რომელთაც იგაკვეთილეს ოვ. თუმანიანის ანდერძი — სააკაიანი, ბანდურიანი, დეპელიანიძ.

და მაინც, ჩვენი სახლიკაცი არმენი, თუნდაც ის ჩვენს უბეში იყოს გამოპურებული, არც თუ იშვიათად რაღაცნაირი შთაგონებით ცდილობს, შემთხვევა თუ მიეცა, შუაკაურით მოგვეპაროს: ამერიკაში (ნიუ-იორკშიძ გამომავალი რუსულენოვანი გაზეთის „Новое русское Слово“-ს ვრცელ პუბლიკაციაში ჟურნალისტი ანატოლი ფედოროვი წერს: „На холмах Грузии лежит тень России“.

ის. 6 გვ.

● ენერგოდისტრიბუტორების ასე უსაშველოდ გამსხვილება ნამდვილად დაუშვებელი იყო

● გაზი ჯერ არ გაძვირებულა და უკვე მოსახლეობა შიშმა შეიპყრო



◎ ვალები, ვალები...

# „ჩანაცვლების“ კანონი

***ოქტომბრის მიწურულს საქართველოს პარლამენტში გაიმართა „ელექტროენერგიის სფეროში დავალიანებათა მართვის შესახებ“ ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი კანონპროექტის პრეზენტაცია.***

***— კანონპროექტი ბადებს მრავალ კითხვას, და მიუხედავად იმისა, რომ პროექტის მომზადებისთვის KFW ბანკმა 3,3 მილიონი ევრო გამოყო, ექსპერტების შეფასებით, მისი იმ სახით განხილვა, როგორითაც იგი პარლამენტშია შესული, ყოვლად შეუძლებელია, — აღნიშნულია ენერგოეფექტურობის ფონდისა და ელექტროენერგიის მწარმოებელთა ასოციაციის მიერ ამასთან დაკავშირებით გავრცელებულ განცხადებაში.***

***თუ რატომ არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული კანონპროექტის წარდგენილი სახით პარლამენტში განხილვა, ამის თაობაზე ვესაუბრეთ ელექტროენერგიის მწარმოებელთა ასოციაციისა და ენერგოეფექტურობის ფონდის პრეზიდენტს ვახტანგ ზარქუას.***



უწინარესად, ცხადია, იმით დავინტერესდით, თუ რამ გამოიწვია „ელექტროენერგეტიკის სფეროში დავალიანებათა მართვის შესახებ“ ესოდენ ძვირადღირებული კანონპროექტის შემუშავების აუცილებლობა, რაში მდგომარეობს მისი არსი და ა. შ., თუმცა საუბრისას მრავალი სხვა საჭირბოროტო პრობლემაც წამოიჭრა.

— სიმართლე გითხრათ, კითხვა, თუ რატომ გახდა საჭირო აღნიშნული კანონპროექტის შემუშავება, მეც გამიჩნდა. მასზე მუშაობა კარგა ხანია, 2004 წლიდან მიმდინარეობს, რისთვისაც სახსრები მოგეხსენებათ, საქართველოსა და გერმანიას შორის არსებული შეთანხმების საფუძველზე გერმანულმა KFW ბანკმა გაიღო, — თქვა ვახტანგ ზარქუამ. — რამდენადაც ვიცი, თავად **კანონპროექტის შემუშავების მიზეზი კი ის გახლავთ, რომ საქართველოს ენერგეტიკაში დაგროვდა საკმაოდ დიდი შიდა ვალები და რომ მათ მომსახურებასთან დაკავშირებით ადგილი აქვს მიწერებს, სხვადასხვა სახის დარღვევას, რის აღსაკვეთად და საკითხის გადასაჭრელად, საჭიროა ხელისუფლების ჩარევა და ადმინისტრირების გაუმჯობესება. სხვაგვარად რომ ვთქვა, საკანონმდებლო ორგანომ უნდა მოაწესრიგოს ენერგატიკაში დაგროვილი ვალების მართვის საკითხი.**

რა დასამალია და ამასთან დაკავშირებით მაშინვე იბადება კითხვა: **რა არის იმის მიზეზი, რომ ვალები გროვდება?** წინა წლების დავალიანება წარმოიშვებოდა იმის გამო, რომ ელექტროენერგიის მწარმოებელი სადგურები მას საბითუმო ბაზარს აწვდიდნენ, რომელიც საფასურს **სრულად** არ უხდიდა. არადა, წარმოიდგინეთ ვითარების აბსურდულობა: მრეწველმა პროდუქცია აწარმოა იმისთვის, რომ გაყიდოს, შემდგომ გადასახადები სრულად გადაიხადოს, საკუთარი ხარჯიც დაფაროს და, რაც სავსებით ბუნებრივია, მოგებაც ნახოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ბიზნესს საერთოდ აზრი არა აქვს.

**მაგრამ, ჩემი აზრით, ყოველივე ელექტროენერგიის მწარმოებელ საწარმოთა გაკოტრების სქემაში „ჯდებოდა“, რაც ერთი ხელის დაკვრით კი არა, არამედ, ასე ვთქვათ, „მცოცავი“ მოდელით ხორციელდებოდა. კერძოდ, ენერგომწარმოებლებს პროდუქციის საფასურს, რომ იტყვიან, „ჩაის კოვზით“ უხდიდნენ – 20, 30, ზოგჯერ ცოტა მეტი პროცენტის ფარგლებში. ამის შედეგი კი ის გახლდათ, რომ ისინი თანდათან „სულს ღაფავდნენ“, ფაქტობრივად, სტაგნაციაში იყვნენ.**

**არსებობდა თუ არა იმის საკანონმდებლო საფუძველი, რომ უზარმაზარი ვალები არ დაგროვილიყო? იმდროინდელი გაუმართავი, არასწორი კანონმდებლობის ფარგლებშიც კი და, ამავდროულად, კეთილსინდისიერი მენეჯმენტის პირობებში, სავსებით შესაძლებელი იყო, რომ ვალები არ დაგროვილიყო.**

— ცრუ სოციალური მოტივაციით, ასევე უხეში პოლიტიკური ჩარევითა და ზეწოლის შედეგად მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის არგადამხდელ გამანაწილებელ კომპანიებს კი ელექტროენერგია კვლავაც მიეწოდებოდა, — გულისტკივილით ამბობს ბატონი ვახტანგ ზარქუა. — იმ შემთხვევაში, თუკი სადისტრიბუციო კომპანია, რომელიც საბითუმო ბაზრისთვის მიწოდებული ელექტროენერგიის საფასურს ვერ ან არ გადაიხდიდა, ის აუცილებლად უნდა გაეთიშათ საერთო ენერგოგამანაწილებელი ქსელიდან, რაც, ვფიქრობ, არავითარ დავას არ უნდა იწვევდეს. მაგრამ, ამ შემთხვევაში, მოქმედებდა, ასე ვთქვათ, „ალოგიკური ლოგიკა“: თუკი რომელიმე, კონკრეტული დავალიანების მქონე ენერგოდისტრიბუტორს გავთიშავთ, მასთან ერთად ხომ ალალად გადამხდელიც დაისჯება? მართალია, ასეთები, შესაძლოა, ცოტანი იყვნენ, მაგრამ მაინც ხომ დაიჩაგრებიან უსამართლოდ?

— ენერგოსექტორის მართვის გამარტივების მიზნით, ჩემი აზრით, სულაც არ იყო საჭირო ბაზარზე მონოპოლისტის გაძლიერება, — განაგრძობს საუბარს ასოციაციის თავმჯდომარე. — უწინ სადისტრიბუციო კომპანიები მოქმედებდნენ რაიონის ფარგლებში. შემდგომ აღნიშნული რაიონული ენერგოგამანაწილებელი კომპანიები სამხარეოებში გაერთიანდნენ იმ მიზეზით, რომ რესურსების შერწყმის შედეგად გაიზრდებოდა მათი მობილიზების ხარისხი, მენეჯმენტიც უკეთესი იქნებოდა, თანაც რესურსებისა და ფინანსური ხარჯიც უფრო ყაირათიანი იქნებოდა. **მერე ამას კიდევ ერთი გამსხვილება მოჰყვა უკვე ქვეყნის მასშტაბით, რის შედეგად აბსოლუტურად მონოპოლიური სისტემა მივიღეთ.**

თუკი უნდოდათ, რომ ხელი შეეწყოთ კონკურენციისათვის და თანდათანობით კონკურენტიანი ბაზარი შეექმნათ, ასე ნამდვილად არ უნდა გაეკეთებინათ. გარდა ამისა, **ამ ვითარებაში გაცილებით გართულდა ენერგოუსაფრთხოებისა და საიმედო ენერგომომარაგების პრობლემები.**

**— ამდენად, მომხმარებელთათვის ელექტროენერგიის მიწოდებისა და ბაზრის ოპერაციული მართვის კუთხით, ენერგოდისტრიბუტორების ასე უსაშველოდ გამსხვილება ნამდვილად დაუშვებელი იყო.**

ბატონმა ვახტანგ ზარქუამ ასევე სავსებით სამართლიანად აღნიშნა ისიც, რომ ნებისმიერ ბაზარზე მონოპოლია ვერაფრით ეგუება კონკურენციას, რაც საბაზრო ეკონომიკის პირობებში სრულიად დაუშვებელია, ვინაიდან ისინი ურთიერთსაწინააღმდეგო მცნებებია. გაუგებარია ისიც, თუ რატომ არ თიშავდნენ არგადამხდელ მომხმარებლებს **ადგილებზე,** თუმცა „ცივილიზებული დასჯის“ სქემები და მეთოდები დიდი ხანია ცნობილია და აპრობირებული, ამდენად მათ განხილვას არ შევუდგებით.

**თუმცა ამას არ აკეთებდნენ, რადგან ან ამის უნარი არ შესწევდათ, ანდა ყოველივე შეგნებულად კეთდებოდა, რათა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ენერგოკომპანიები გაკოტრებამდე მიეყვანათ. შემდგომ, აკოტრებდნენ რა სახელმწიფო სადისტრიბუციო კომპანიებს, ამას, შესაბამისად, თავისებური ჯაჭვური რეაქცია მოჰყვებოდა, კოტრდებოდა ელექტროსადგურები, არადა ნებისმიერი დარგი, უწინარესად, ხომ წარმოებიდან იწყება! ამდენად, საფუძველი ერყეოდა ქვეყნის მთელ ენერგოსისტემას.**

**დარგში არასწორი, არასახელმწიფოებრივი პოლიტიკის გატარების შედეგად კი, მივიღეთ გაკოტრებული როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ენერგოწარმოებული და სადისტრიბუციო კომპანიები.**

ესაუბრა
**ოთარ ტურაბელიძე**
(დასასრული იქნება).

№ 220. ხუთშაბათი, 9 ნოემბერი, 2006 წელი.

◎ ოჰ, ეს ტარიფი!

# ყინვა კი იქნება, მაგრამ მარტო – გარეთ

## რამდენ გაძვირება-გაჭირვებას უნდა გავუძლოთ?!

**ხალხში გავრცელებული ჭორი სინამდვილედ იქცა — რუსეთმა საქართველოს გაზი გაუძვირა, თანაც აპირებს ორჯერ მეტ ფასში — 230 დოლარად მოგვყიდოს. ასეთი მტკივნეული დარტყმა კი ჩვენი მოსახლეობისთვის ნამდვილად გაუსაძლისი იქნება. ყველას ხომ კარგად გვახსოვს ბოლოდროინდელი ათდღიანი კრიზისი, ყინვასა და თოვლში როგორ ვეძებდით ნავთსა თუ ნავთქურებს. ამ დროს კი ბაზრობებზე ძველი, ნახმარი ნავთქურებიც კი მამასისხლად იყიდებოდა.**

2000 წელს, არსებული ხელშეკრულების საფუძველზე, ჩვენს ქვეყანაში იმპორტირებული ბუნებრივი გაზის ფასი ათას კილომეტრზე 50 დოლარი იყო. 2001 წლის 1 ოქტომბრიდან ბუნებრივი გაზის შესასყიდი ფასი 1000 კუბურ მეტრზე საქართველოსთვის 60 დოლარით გაძვირდა, რაც შესაბამისად, აისახა მის საბითუმო და საცალო ტარიფებშიც. შედარებისთვის შეიძლება აღვნიშნოთ, რომ 2001 წლიდან ყირგიზეთში ბუნებრივი გაზის ტარიფი მოსახლეობისთვის 1000 კუბურ მეტრზე, დღგ-ს ჩათვლით, შეადგენდა 72,67 დოლარს, საიდანაც გაზის შესყიდვის ღირებულება 42 დოლარია, სომხეთში კი ტარიფი დამოკიდებულია გაზის მოხმარების მოცულობაზე. კერძოდ, მათთვის, ვინც თვეში 10 ათას კუბურ მეტრზე მეტ გაზს მოიხმარს, ყოველ 1000 კუბურ მეტრზე ტარიფი 79,1 დოლარია.

საერთოდ, ამ ქვეყნებში ბუნებრივ გაზზე საშუალო ტარიფი 80,1 დოლარია (დღგ-ს ჩათვლით). ამ ტარიფში იმპორტირებული გაზის ღირებულება 53 დოლარის ტოლია. ტრანსპორტირებასა და გაზსაცავის მომსახურებაზე მიდის საერთო ტარიფის 7,1 პროცენტი, განაწილებაზე — 7,6 პროცენტი, დანარჩენი — მიწოდებასა და გაზის დანაკარგების მომსახურებაზე.



რუსეთს უკრაინის დასჯაც სურდა. შარშან, წლის დასაწყისიდან, მან განიზრახა ათას კუბურ მეტრ გაზში 230 დოლარი დაეწესებინა, მაგრამ უკრაინის მთავრობის დიდი მცდელობითა და ძალისხმევით მოხერხდა, რომ უკრაინისთვის რუსული და შუააზიური წარმოების ათასი კუბური მეტრი გაზი ხუთი წლის განმავლობაში 95 დოლარი ეღირებოდა. **უკრაინამ ისე მოქნილად აამოქმედა თავისი ეკონომიკური ბერკეტები, რომ რუსეთის „გაზპრომი“ და უკრაინის „ნაფტოგაზი“ სასურველ შეთანხმებამდე მივიდნენ, უკრაინულმა მხარემ ისიც კი მოახერხა, რომ გარკვეული ხელშესახები კომპენსაციები მიიღო.**

**თუ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში გაზის ფასი შედარებით ასატანია, ჩვენთან ასეთი კატასტროფული მატება მოსახლეობას კიდევ უფრო დიდ გასაჭირში ჩააგდებს. ევროკავშირის ქვეყნებთან ჩვენი გათანაბრება, მართლაც რომ, სასაცილოა, რადგან ამ მოსახლეობას მაღალი ხელფასები, პენსიები, ასევე მნიშვნელოვანი სოციალური დახმარება აქვთ.**

ბოლოდროინდელი მონაცემებით, საქართველოში მცხოვრები ბავშვების 57 პროცენტი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს (ესაა უცხოელი ექსპერტების მონაცემები). ამ პირობებში გაზის ფასის გაორმაგება კიდევ უფრო გააუარესებს ჩვენი ქვეყნის თითოეული ოჯახის ყოფას და მათი ისედაც მინიმალური სამომხმარებლო კალათა კიდევ უფრო შემცირდება.

ეს უეჭველია, რადგან გაზზე ტარიფის მომატება სხვა ენერგოშემცველების ფასსაც „ააგდებს“, რაც, თავისთავად, საერთო სამომხმარებლო ფასებს გაზრდის, თანაც ბევრი დასახელების პროდუქტზე ეს მატება არაპროპორციულად აისახება. **გაზი ჯერ არ გაძვირებულა და უკვე მოსახლეობა შიშმა შეიპყრო, ბაზარზე განსაკუთრებით გაძვირდა ფქვილი, ხორცი, სხვა პროდუქტები, რომელთა მიღება ადამიანისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია.** ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება ევროპას ბაძავს, იქნებ ხელფასებისა და შემწეობების გაცემაშიც დაგვეხმაროს, რადგან ყოვლად შეუძლებელია ტარიფების კიდევ მატებას გაუძლოს მოსახლეობამ. ასეთი ფინანსური დარტყმა იქნებ ფასების ინდექსაციით ავიცილოთ თავიდან.

**კიდევ ერთი ფაქტი: ამბობენ, რომ რუსთავში მოსახლეობაში გადამალული სტალინის ბიუსტი ერთ-ერთი ქუჩის მცხოვრებლებს თვალსაჩინო ადგილას დაუდგამთ და ქალაქის ხელმძღვანელობას ამ ქუჩისათვის სტალინის სახელის მინიჭება სთხოვეს. ოცდამეერთე საუკუნეში ასეთმა საქციელმა მთავრობა ბევრ რამეზე უნდა ჩააფიქროს. მაშინ ხომ საბჭოთა მოსახლეობა ყოველწლიურად ტკბებოდა გაიაფებული პროდუქტებით?**

გაძვირებასაც ხომ აქვს თავისი დასასრული, გამუდმებით ფასების მატებაზე ფიქრითა და ლაპარაკით დასნეულდა ხალხი.

**ლალი ქინქლაძე**

● თუ დილით არმენი ერი დაიმარხება, საღამოს ქართველს მიადგებიან დასამარხად, ხოლო, თუ დილით ქართველს დაუპირებენ დამარხვას, ელოდეთ, საღამოს უსათუოდ არმენთა ჯერი დადგება...



№ 220. ხუთშაბათი, 9 ნოემბერი, 2006 წელი.

**◎ ინფორმაცია**

## ქართველები რას გამოგვაპარებთო...



ალტერნატიული ცესკოს მტკიცება, რომ მათ საქართველოს ხელისუფლება მხარს არ უჭერს და არჩევნებს დამოუკიდებლად ატარებენ, სიმართლეს არ შეესაბამება, — აცხადებს ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების ლიდერი ედუარდ კოკოითი.

მისივე თქმით, ამ არჩევნებში, აქტიურად არიან ჩართული ქართული სპეცსამსახურები.

— ყოველდღე მოგვდის ცნობები, თუ რამდენად არიან ალტერნატიულ არჩევნებში ჩართული ქართული ძალოვანი სტრუქტურები. ეგრეთ წოდებული პრეზიდენტობის კანდიდატები გადაადგილდებიან პოლიციელების თანხლებით. მათ ქართული პოლიცია იცავს, — ამტკიცებს კოკოითი.

იგი დარწმუნებულია, რომ „ალტერნატიული" არჩევნები, ცხინვალის არჩევნებისა და რეფერენდუმის შედეგებზე გავლენას ვერ მოახდენს.

## სიღნაღი მალე განახლდება

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო პროექტის „ძველი სიღნაღი" განხორციელებას 2007 წლის აპრილში დაიწყებს.

ამჟამად პროექტისთვის საჭირო მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს.



როგორც „ინტერპრესნიუსს" სამინისტროს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტში განუცხადეს, სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდება ბარათაშვილისა და თამარ მეფის ქუჩებს - ასფალტის საფარი ქვაფენილით შეიცვლება, რაც კახეთის რეგიონის ამ ისტორიულ ქალაქს კიდევ უფრო მეტ კოლორიტულობას შესძენს.

სიღნაღი კულტურის ძეგლთა დაცვის სახელმწიფო ზონადაა გამოცხადებული. წმინდა სტეფანეს, წმინდა გიორგისა და რამდენიმე სხვა პატარა თუ დიდი ეკლესიის გარდა, ქალაქში მრავლადაა მუზეუმები, სადაც ქართული კულტურის სულიერი და მატერიალური ძეგლების უნიკალური ნიმუშები ინახება.

**ინტერპრესნიუსი**

**◎ ხმა ერის გასაგონად**

# როცა ჩასაფრება ცხოვრების მიზანია

**(მეოთხე გვერდიდან)**

დაუხანებლად, იმავე გაზეთის მომდევნო ნომერში ვინმე ვ. შახბაზიანმა, საშუალება მიეცა და საქართველოზე მორიგი დეზინფორმაციის გავრცელება სცადა:

„Абхазия никогда не была в составе Грузии. Ее население состояло преимущественно из абхазов, мингрелов, греков и армян (последние _ беженцы из Турции 1906 годаd. Во время этнических чисток очень многие представители этих национальностей были уничтожены или высланы. Их место заняли грузины.

От своей исторической памяти не могут отрешиться ни евреи, ни армяне, ни прибалты, ни абхазы. Тоталитаризм оставил ужасные шрамы в душах людей, и это отзывается в виде этнических конфликтов. И абхазия, и Аджария, и Южная Осетия не было частью Грузии, они были включены



в ее состав в годы правления Сталина."

არა, ზღვარგასული სულაც არ იქნება, თუ ვიტყვი, ამ სიმართლით გევლოს-მეთქი. ის, რომ ეს ყველაფერი თეთრი ძაფით ნაკერია და დაბოლმილი სიცრუის მეტი არაფერია, ჩვენ კი ვიცით, მაგრამ საქართველოს ისტორიაში გაუთვითცნობიერებელ საზოგადოებაში დივერსიულ სტერეოტიპად მკვიდრდება. რაც შეეხება ჩასაფრებულის შთაგონებას, აი, რა გენეტიკური უმადურობა და სიძულვილი კვებავს მას:

„Мне, родившемуся и выросшему в Грузии, легко на него ответить: грузинский шовинизм периода сталинщины был намного тягостнее российского. Здесь, пожалуй, умстна поговорка: „Уж если пан плох, то из хама пан во сто раз хуже".

ამ სიძულვილის გამო, აი, რა მიზნობრივ თვითგვემას იხვევს თავზე იგი:

„Я, находясь в Москве, никогда не хотел пить продающиеся там грузинские вина..."

ძალიან მინდა, ვ. შახბაზიანის ხმაბოდვითი საუბარი გამონაკლისი იყოს, მაგრამ, როგორც ჟამთაბერი ადასტურებს, იგი, ჯერჯერობით, ჩვენი კარის მეზობლის საზოგადოებაა!... აქ კი, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა დაიბადოს კითხვა, — რატომ, სწორედ ჩვენი ყოფნა-არყოფნის ჟამს, რად ხდება ამგვარი ვერაგობა?!

დიდია არმენი საზოგადოებრიობის მხარდაჭერა 1992 წლის 23 ივლისს, როცა საქართველოში მიზნობრივად თავსმოხვეული სამართლებრივი განუკითხაობა დათარეშობდა, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სესიის სახელით სეპარატისტული ხროვის მიერ აფხაზეთის 1978 წლის კონსტიტუციის მოქმედების შეწყვეტასა და ე. წ. აფხაზეთის 1925 წლის კონსტიტუციის ამოქმედებაში.

ეს, რაც შეეხება ე. წ. სამართლებრივ სივრცეს, იმავდროულად მიმდინარეობდა გაუხმაურებელი მზადება აფხაზეთიდან ქართველების განდევნისა და მათი გენოციდისათვის. ამ საქმეში, რომელიც დაგეგმილი იყო 1992 წლის აგვისტოს შუა რიცხვებისთვის, განსაკუთრებულ დაინტერესებას არმენი მოხალისეები ავლენდნენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დროა, საზოგადოება განთავისუფლდეს იმ თავზე ნაცრის გადაყრის უსაფუძვლო სურვილისაგან, თითქოს საომარი ავანტიურის ინსპირირებაში ვ. არძინბა ბოჩოლასავით უმანკო იყოს. არ არის ასე. ჯერ ერთი, ე. შევარდნაძეც და ვ. არძინბაც ერთი და იგივე იმპერიული ძალის მხარდაჭერილი, ანუ ერთი სხეულის ორი ჩექმა იყო ქართული ეროვნული ხელისუფლების გასათელად. მეორეც, 1992 წლის 14 აგვისტოს, როცა აფხაზეთის ქართული მოსახლეობის ნაწილმა მას (ვ. არძინბასძ მიმართა დაეცვა მოსახლეობა, მათ შორის ქართველი მოსახლეობა, მან ქართველები კანონგარეშედ გამოაცხადა და აგრესიული სეპარატიზმის პროპაგანდით გზაკვალარეულ თანამოძმეებს ქართველობა სამიზნედ დაუდგინა.

ყოველივე ამის სისრულეში მოსაყვანად, განსაკუთრებული მონდომება და მოხალისეობა გამოიჩინეს ბაგრამიანის ბატალიონის თოფოსნებმა.

იგი შეიქმნა 1993 წლის 9 თებერვალს (ბრძანება №55ძ. მათი სისასტიკე ქართველთა მიმართ განსაკუთრებული, ზღვარსგადამცდარი და დაუნდობელი იყო: 1993 წლის 27 სექტემბერს და შემდგომ დღეებში, როცა ისინი ენით აუწერელი სიამოვნებით ხვრეტდნენ უმწეო ქალებსა და ბავშვებს საკუთარ საკარმიდამოებში, ცინიკურად ბღაოდნენ, — იყო თქვენი, ახლა ჩვენიაო, აფხაზეთი ჩვენი პატარა არმენიაა, დიდი არმენიის დასავლეთ სანაპიროო. მარტო არმენთა ერთმა ჯგუფმა, რომელმაც ქ. სოხუმში ტურბაზის რაიონში ქსენია ცქვიტაიას სახლში, ამ დედაბრის მიერ გაწყობილ სუფრაზე იქეიფა, მუცლის ამოყორვისთანავე, გალეშილებმა ერთმანეთის მიყოლებით თავთავიანთ ეზოებში, გასართობად დახვრიტა ქ. ცქვიტაია (მასპინძელიძ, ზურაბ კემულარია, დარეჯან თურქია, ოთარ გეგეჭკორი, ვალოდია კალანდია მეუღლესთან და დედასთან ერთად, ლადო ბენიძე და მისი ოჯახი, ბერიძეები, შარდენ კალანდიას ოჯახი, ძმები ფაცაციები... (თვითმხილველ ტოგო ჭელიძის მოგონებაძ.

ზემოთ მოგახსენეთ, რომ არმენ ბავშვებს მათ მშობლიურ ენასა და ისტორიას ვასწავლიდით-მეთქი. სამწუხაროდ, მათი უმრავლესობა შემდგომში გახდა ჯაშუში და მოძხდურთა მეგზური, მდინარე გუმისთის ხეობაში მტერს ინფორმაციებს უგროვებდა, აწვდიდა და შესაბამის დროს შემოუძღვა კიდეც ამ ხეობის ქართული სოფლების ამოსაწყვეტად, დიახ, ისინი ერთგვარი ალმაფრენით უთითებდნენ მტერს ქართველთა ადგილსამყოფელს.

მაგალითად: საკუთარმა მოსწავლემ ამოაწყვეტინა სოფ. ახალშენში საშა ცხვარაძის ოჯახი. მე არ ვიცი, ახლა რას განიცდიან ის ადამიანები, რომლებსაც 1992-93 წლებში სითბოსა და პურს ვუყოფდით, ხოლო ისინი თავიანთი ტელეფონებით სამეზობლოდან საქმის ვითარებას აცნობდნენ მტერს. საერთოდ, ამ საომარ ავანტიურაში ჩამოთვლა არა აქვს ე. წ. ქართული მხარის დოყლაპიობას.

არსებობს საკმაო მტკიცებულებები, რათა ხმამაღლა ითქვას, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთშიძ თუ არმენი მოსახლეობიდან ორი ათასამდე კაცმა ჩვენს წინააღმდეგ იარაღს მოკიდა ხელი, ამ მოსახლეობის საგრძნობმა ნაწილმა ჯაშუშური საქმიანობა გააჩაღა, იმავდროულად, ყოფით ყოველდღიურობაში „კეთილმეზობლობდა" ქართველებთან. მიუხედავად იმისა, რომ ამ წუთებში, როცა იმ მუხანათობას ვიხსენებ, ასევე მახსენდება, დიდი ოვანეს თუმანიანის ანდერძის ერთგული, ვიმეორებ, კაცურ კაცად დარჩენილი არაერთი არმენი, თავს უფლებას არ მივცემ მივჩქმალო საუკუნის ვერაგობა, რომლისთვის არმენი საზოგადო მოღვაწეების მხრიდან შეფასების მიუცემლობაც კიდევ ერთ დამამძიმებელ ცოდვად დააწვება ჩვენი ხალხების თანაარსებობის წესრიგს.

ნუთუ მრავლისმთქმელი არაა ის, რომ სწორედ 1989 წლის 9 აპრილისა და 15-16 ივლისის შემდეგ, როცა კრემლის მითითებით დაარბიეს საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს ქართულ მამულში, როგორც საზურგე მახვილი, გამოიჭედა ე. წ. „კრუნკი" — თავისი შინაარსით საქართველოს დამოუკიდებლობის თანამიმდევრული მტერი და ქართველთმოძულე პოლიტიკური ფაქტი?!.

ის კი არადა, სწორედ ამ ანტიქართული ხელგამოღების რიგებში გაწევრიანდა ასობით სპიტაკელი ხიზანი, რომელთაც 1988 წელს მიწისძვრისგან თავს დამტყდარი უბედურებისგან თავშესაფარი თუ ხელგაწვდენა ქართველთა შორის ჰპოვეს.

არმენები, რომლებიც განსაკუთრებით მე-20 საუკუნის დასაწყისიდან საქართველოს შავიზღვისპირეთის დენაციონალიზაციის მიზნით თურქეთიდან მასობრივად შემოასახლეს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთშიძ, ე. წ. ადგილებზე ყოველთვის ახორციელებდნენ რუსისტულ პოლიტიკას, აქედან გამომდინარე, ისინი დამოუკიდებელი საქართველოს მიმართ განსაკუთრებული წინააღმდეგობით გამოირჩეოდნენ ამ მხარეში 1917-21 წლებშიც, ხოლო აფხაზეთის გასაბჭოების შემდეგ ცდილობდნენ აფხაზეთის ჩამოცილებას საქართველოდან. ამ მხრივ საგანგებოდ გამოირჩეოდნენ ე. წ. რევოლუციონერები, სინამდვილეში ყაჩაღები: გ. ჩოლოკიანი, ს. მინასიანი, ა. გურუნიანი, გ. ათარბეკოვი, ა. კეშიანი, კ. მელქონიანი და მრავალი სხვები, რომელი ერთი ჩამოვთვალო.

ჩემს სახლიკაც არმენებთან ერთად უნდა შევიხსენო: როცა სულნათელ ოვანეს თუმანიანთან ერთად დიდი ანდრონიკი 1919 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ევგენი გეგეჭკორს სასაუბროდ შეხვდა, მათ გულღიად, ისე, როგორც სუფთა ადამიანებს შეჰფერით, 1918 წლის არმენთა საომარ ავანტიურაზეც ისაუბრეს.

მაშინ დიდმა ანდრონიკმა განაცხადა: ჩვენმა ხალხებმა უნდა იცოდნენ, თუ დილით არმენი ერი დაიმარხება, საღამოს ქართველს მიადგებიან დასამარხად, ხოლო, თუ დილით ქართველს დაუპირებენ დამარხვას, ელოდეთ, საღამოს უსათუოდ არმენთა ჯერი დადგება...



ვერაფერს ვიტყვი, წამგაუცდენლად დასამახსოვრებელი სიბრძნეა!..

ვიგაკვეთილოთ აფხაზეთში საომარი ავანტიურის შედეგები, რომელიც ვერანაირად ვერ იქნება საბედნიერო არმენული სახელმწიფოსთვისაც. კეთილმეზობლობა არ არის ცალმხრივი ურთიერთობა, იგი მხარეთა ურთიერთპატივმიგებაა, რომლის გარეშე მშვიდობიან კავკასიაზე ოცნება მკვდრადშობილ სურვილად დარჩება.

სხვა, ქვეგამხედვარე სურვილი მე არა მაქვს.


**სერგი საჯაია,**

**საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირისა და აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი**

- პატრიარქის სტიქაროსანი თბილისის კეთილმოწყობის სამსახურს ხელმძღვანელობს
- საინტერესოა, ვისია 51-ე საჯარო სკოლის წინ, ზედ მიწისქვეშა გადასასვლელზე წამოჭიმული „შუშის“ კაფე-ბარი?

№ 220. ხუთშაბათი, 9 ნოემბერი, 2006 წელი.

მთავარი კეთილმომწყობი

*თუ პოლიტიკაზე საუბარი გსურთ, თბილისის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსს კობა სუბელიანს არ უნდა ესტუმროთ, სულერთია, კოვზი ნაცარში ჩაგივარდებათ: ზრდილობიანად მოგიბოდიშებთ და სხვა თემაზე დაგიწყებთ საუბარს, თანაც, მისი პასუხები მოკლე და ლაკონური იქნება.*

*ახლაც ასე მოხდა და დაგეგმილი ვრცელი ინტერვიუს ნაცვლად მოკლე გასაუბრება ძლივს მოვახერხე.*

# კობა სუბელიანი: 10 დღის განმავლობაში სამჯერ მოგვპარეს განახლებული ჭის სახურავები!



**— ბატონო კობა, რას იტყვით ოპოზიციის მტკიცებაზე — 5 ოქტომბრის არჩევნები მმართველმა პარტიამ გააყალბაო?**

— აზრი არა აქვს ამ საკითხზე საუბარს საერთოდ. ლაპარაკიც კი არ შეიძლება არანაირ გაყალბებაზე, ეს მოსაზრება საერთოდ უსაფუძვლოდ მიმაჩნია.

**— ხალხს უკვირს, რა უნდოდა საარჩევნო სიაში ძაღლს? ცნობილი გახდა, რომ ერთ-ერთი უბნის სიაში... ძაღლი აღმოაჩინეს. მისი სახელი და გვარი ჯეკი ქართველიშვილი გახლავთ.**

— ასეთი რამ არც გამიგია საერთოდ. ისედაც, პოლიტიკაზე საუბარს თავს ვარიდებ. მკითხეთ რაიმე სამეურნეო საკითხებზე, იმაზე, რაც მე მეხება...

**— კი ბატონო, რა ეშველება ჩვენს თავდაუხურავ ჭებს, სადაც ნებისმიერ დროს შეიძლება ჩავარდეს ადამიანი?**

— სამწუხაროდ, ეს პრობლემა ვერ მოვაგვარეთ ზოგიერთი ხელმრუდის გადამკიდე. ჩვენ დავახურავთ, მეორე დღეს კი საკანალიზაციო ჭები ისევ თავლია გვხვდება — სახურავებს იპარავენ და ჯართში აბარებენ. ეს ცნობილი ფაქტია. ყოფილა შემთხვევა, 10 დღის განმავლობაში სამჯერაც კი დაგვიფარებია სახურავი, ნაძირალებს კი მოუპარავთ.

**— ბევრი კრიტიკა ისმის იმის გამოც, რომ საცხოვრებელი კორპუსები გარედან ილებება, შიგნით კი არავინ იხედება, არავინ კითხულობს რა პრობლემები აქვთ იქ მცხოვრებ ადამიანებს.**

— ვცდილობთ, გავითვალისწინოთ მათი პრობლემები. სახურავებს ვაკეთებთ, წყალსადენის, კანალიზაციის მილებს ვცვლით... ყოველივე ეს თანადაფინანსებით ხდება. წესით, ხალხმა უნდა გაიღოს მთლიანი თანხა, მაგრამ გავითვალისწინეთ მოსახლეობის მდგომარეობა და მთელი ხარჯების 80-90 პროცენტი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

**— თქვენ წლების მანძილზე იყავით პატრიარქის სტიქაროსანი. რა მოგცათ იმ წლებმა?**

— 1994 წლიდან 2003 წლამდე უწმინდესის სტიქაროსანი ვიყავი, ფაქტობრივად — ბავშვობიდან. ასეთ ზნემაღალ, შესანიშნავ ადამიანებთან ურთიერთობა დიდი სკოლაა და ბევრ რამეს მატებს ადამიანს...

**ესაუბრა**
**ხათუნა ჩიგოგიძე**

# ღუდუშაურის სამედიცინო ცენტრის მისასვლელთან სამარცხვინო გზაა!

**ამ დღეებში დიდი დიღმიდან № 21 ავტობუსით საბურთალოზე მივდიოდი. მორიგი რეისი დიდი დიღმის შესასვლელიდან გამოვიდა, ტრასა გადაკვეთა და ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრისკენ ვიწრო გზაზე ჩაუხვია. როგორც კი გზას დაუყვა, ავტობუსმა ისეთი „მალაყები“ დაიწყო, გვერდიგვერდ მსხდომნი ერთმანეთს შევასკდით. მოულოდნელობისგან შევცბი. ლამის ყველას ერთად აღმოგვხდა — ეს რა უბედურებაა!**

**რამდენადაც ვიცი, სასწრაფო დახმარების მანქანებით ავადმყოფები ცენტრის მიმღებში სწორედ ამ გზით შეჰყავთ. იმ წუთას რაღა არ გავიფიქრე: ამ გზაზე ჭრილობიდან სისხლდენაშეჩერებული ავადმყოფი რომ მოჰყავდეთ, რა დაემართებამეთქი; ან, თუნდაც, გულის ინფარქტიანი რა დღეში ჩავარდება, გნებავთ, მშობიარე... რომელი ერთი ჩამოვთვალო.**

ექიმებს რომ მოსდგებიან და ლანძღავენ, ეს გზაც ხომ იმათი გასაკეთებელი არ არის? ლამის საავადმყოფოს კარზე მიყვანილი ავადმყოფის ჯანმრთელობის მდგომარეობა გზის ამ პაწია მონაკვეთის გამო (ალბათ 500 მეტრი თუ იქნება) რატომ უნდა გაუარესდეს?!

როგორც ჩანს, დედაქალაქის ხელმძღვანელობას ამ გზით არასოდეს უსარგებლია.

იქნებ, ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურმა ყურად იღოს ეს რეპლიკა და საკუთარი თვალით იხილოს ეს გზა, რომ მისი აღდგენის აუცილებლობაში დარწმუნდეს.

უბრალოდ, უზარმაზარი სამედიცინო ცენტრის მისასვლელთან ასეთი გაუვალი გზის არსებობა სირცხვილია.

**ბელა ლომთაძე**

თუ ნგრევაა, ნგრევა იყოს...



# ლოთებითა და ქანქანებით გაივსო თბილისი...

**არც ისე დიდი დროა გასული და თბილისელებს ემახსოვრებათ აქციები მეტრო „რუსთაველთან“: ქალაქის მმართველობას მოუწოდებდნენ შეეჩერებინათ მეტროსთან აღმართული კოლორიტული, ძველთბილისური კედლის ხელყოფა. ვიღაცამ, მაინცდამაინც ამ კედელზე მოისურვა თავისი „სავაჭრო ობიექტების“ მიდგმა. და იგი მართლაც მიადგეს! ამბობდნენ, ეს „ობიექტები“ მნიშვნელოვნად გაამდიდრებსო ქალაქის ბიუჯეტს. იმაზე კი არავინ ფიქრობდა, რატომ ეწინააღმდეგებოდნენ აქციის მონაწილეები ამ მშენებლობას.**

მერე, როგორც ხშირად ხდება ხოლმე ჩვენს ქალაქში, თითქოსდა მიეჩვია თვალი ამ „შუშაბანდებს“.

მაგრამ, ერთ მშვენიერ დილას მოულოდნელი სურათის მომსწრე გავხდი — „შუშაბანდებს“ შლიდნენ! მეორე დილით — უკვე დაეშალათ, მესამე დილით — უკვე იწმინდებოდა იქაურობა!

ჩემდაუნებურად, შვებით ამოვისუნთქე და იმედის თვალი გადავავლე ჩვენი ქალაქის სინამდვილეს, სადაც მეტროსადგურთა შესასვლელებთან უამრავ ბუდრუგანებს და ათასგვარ უგვანო „მომსახურების ობიექტებს“ შეუხუთავთ სული ქალაქისთვის, სადაც ისმის ხალხმრავალი ყაყანი, სადაც ნაგავი და სიბინძურე სუფევს და კაციკაცს ვერ აუვლის გვერდს, აბრებზე აწერია გაუგებარი, ვითომ, უცხოური სიტყვები, თითქოსდა უნიკალური ქართული ენის პატრონები არ ვიყოთ. და იწერება თანამედროვე ქალაქის ბინძური ისტორია. აქ გროვდებიან ლოთები და მაწანწალები, ბომჟები და ბოზები. ამ გნიასში დაძრწიან ქურდები და მათხოვრები და ოხრდება ქალაქის იერ-სახე, მახინჯდება მისი ყოველდღიურობა.

ვფიქრობ, ქალაქის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურმა, ქალაქის მერიამ მეტრო „რუსთაველთან“ სასურველი საქმე დაიწყო და იმედია, ეს პროცესი მეტროს სხვა სადგურებთანაც გაგრძელდება. არა მგონია, თბილისის ისტორიულ სახესა და კოლორიტს კვლავ დაემუქროს იავარყოფა და საჭირო გახდეს საყოველთაო აქციის მოწყობა!

**ზაურ ფიფია**



კარგია, რომ ვაკეში, პედაგოგიური უნივერსიტეტის წინ, ამ რამდენიმე თვის წინათ ვაკე-საბურთალოს რაიონის ყოფილი გამგებლის ავთანდილ დავითაძის ცოლისდის კაფე-ბარი მოანგრიეს, თუმცაღა მის მეპატრონესაც ყველაფერი „კანონიერად“ ჰქონდა აშენებული. ასევე „სახელმწიფოებრივ“ დონეზე, იჯარით, 2007 წლამდე უნდა ესარგებლათ თედო პაატაშვილსა და მის პარტნიორებს (მერიის ჩათვლით!) „შუშის სახლის“ მოგებით, მაგრამ გიგი უგულავა გაბრაზდა და ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს ვადაზე ადრე მოანგრევინა! ამბობენ, პაატაშვილმა წილების გადანაწილებაზე უარი თქვაო...

საინტერესოა, ვისია 51-ე საჯარო სკოლის შენობის წინ ზედ მიწისქვეშა გადასასვლელზე წამოჭიმული შუშის კაფე-ბარი, რომელიც ახლახან განაახლეს და ბოლო ორი კვირაა „უპატრონოდ“ ამახინჯებს თბილისის ცენტრს...

ამბობენ, იმასაც ანგრევენო.

რა თქმა უნდა, თუ სამართალია, აუცილებლად უნდა დაანგრიონ!

ინფორმაცია

## ტექნიკური უნივერსიტეტის ფილიალის დემონტაჟს მოითხოვენ

**რუსთავის მერი დავით ნადაშვილი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას ინსტიტუტის ფილიალის ავარიული, ნახევრად დანგრეული შენობის დემონტაჟს სთხოვს.**

**ნადაშვილის თქმით, შენობა ტექნიკური უნივერსიტეტის ბალანსზე ირიცხება და შესაბამისად, ჩამონგრეული ნაწილის დემონტაჟი და ტერიტორიის გასუფთავება სასწავლებელმა უნდა განახორციელოს.**

**რუსთავის მშენებლობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის ბესიკ ყოლბაიას განცხადებით, ზამთრის პერიოდში ნალექების მატება შენობის საძირკველს კიდევ უფრო დააზიანებს და ნგრევის საშიშროებას შექმნის.**

**ტექნიკური უნივერსიტეტის რუსთავის ფილიალის შენობამ ჩამონგრევა 16 ივნისს, მაშინ დაიწყო, როდესაც სტუდენტები ჩათვლებსა და გამოცდებს აბარებდნენ. მას შემდეგ შენობას აღდგენითი სამუშაოები არ ჩატარებია.**

## სოფელ ადლიას მცხოვრებლები შველას ითხოვენ

**ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ადლიაში ე.წ. სამხედრო ქალაქის დასახლებას ზღვამ ისევ შეუტია. მოვარდნილმა შტორმმა სახლებს საძირკველი გამოაცალა. წყალმა სამანქანო გზაც წაიღო.**

**დაახლოებით ერთი თვეა, რაც დასახლების მცხოვრებლები საცალფეხო ბილიკით სარგებლობდნენ, თუმცა ეს საცალფეხო ბილიკიც აეროპორტის სარეკონსტრუქციო სამუშაოების გამო გაუქმებულია.**

**ამ დროისთვის დასახლება ქალაქს, ფაქტობრივად, მოწყვეტილია.**

**ადლიელები სასწრაფო დახმარებასა და ევაკუაციას ითხოვენ.**

## უფულო იმერეთში ბანკირის დღე აღნიშნეს!

**იმერეთის რეგიონში ბანკირის დღე აღნიშნეს. ქუთაისში მოქმედმა კომერციულმა ბანკებმა გუშინ პროფესიულ დღესთან დაკავშირებით საქველმოქმედო აქციები ჩაატარეს.**

**ზესტაფონის მამა გრიგოლის საეკლესიო სკოლაში, ბანკირების დაფინანსებით, საყმაწვილო ბიბლიოთეკა დაარსდა.**

**გუშინვე ქუთაისში „სტანდარტ ბანკის“ ახალი შენობა გაიხსნა. ეროვნული ბანკის ქუთაისის ფილიალის მმართველმა რეზო რობაქიძემ, ახლად გახსნილ შენობაში, სხვადასხვა კომერციულ ბანკებს ბოლო ერთი წლის განმავლობაში ჩატარებული სამუშაოებისთვის მადლობის სიგელები გადასცა.**

**ბანკირის დღეს საქართველოში 11-ე წელია აღნიშნავენ.**

**ინტერპრესნიუსი**



- გენის ფუნქციის გამოვლენისათვის საკმარისი არ არის მისი მზადყოფნა, აუცილებელია ქრომოსომის „ნებართვა", რომ გენმა შეასრულოს თავისი სამუშაო.
- რისი დასტურია პროფესორ ვალერი ასათიანის ახალი წიგნი?

№ 220. ხუთშაბათი, 9 ნოემბერი, 2006 წელი.

◎ ინფორმაცია

## ოთხი ნარკომანი მესაზღვრე გვყოლია!

სასაზღვრო პოლიციაში ჩატარებული ნარკოლოგიური შემოწმების შედეგად ნარკოტიკების მომხმარებელი ოთხი თანამშრომელი გამოავლინეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს" სასაზღვრო პოლიციის პრესსამსახურში განუცხადეს, ნარკოტიკების მომხმარებელთაგან სამი ზემსახურია, ერთი კი ოფიცერი. მათ სასაზღვრო პოლიციის შემადგენლობიდან დაითხოვენ და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ზომებს მიმართავენ.

ნარკოლოგიური შემოწმება ცენტრალური აპარატის 190-მდე თანამშრომელთან ერთად, გუშინწინ სასაზღვრო პოლიციის უფროსმა ბადრი ბიწაძემ და სხვა ხელმძღვანელმა პირებმაც გაიარეს. მომავალში კი ანალოგიური შემოწმება სასაზღვრო პოლიციის ყველა რეგიონულ სამმართველოში ჩატარდება.



შემოწმების პროცედურები ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიდან მოწვეულმა, პროფესიონალი ექიმ-ნარკოლოგებით დაკომპლექტებულმა ოთხმა სამედიცინო ბრიგადამ ჩაატარა. სამედიცინო კომისიას ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ზურაბ შენგელია ხელმძღვანელობდა.

## დიმიტრი სანაკოევი მოზარდ ფეხბურთელებს შეხვდა

„სამხრეთ ოსეთის" რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატი დიმიტრი სანაკოევი გუშინ გორში, წმინდაწყლის დასახლების სტადიონზე ცხინვალიდან დევნილ მოზარდ ფეხბურთელთა გუნდის წევრებს შეხვდა და საჩუქრად ბურთები გადასცა.

ამ ბავშვებს დახმარება და თანადგომა სჭირდებათ. ისინი ცხინვალში საკუთარ სახლებში ვერ ცხოვრობენ. მე მინდა, ერთხელ და სამუდამოდ გადავჭრა ეს პრობლემა, — განაცხადა „ინტერპრესნიუსთან" საუბარში დიმიტრი სანაკოევმა.

სანაკოევი ამომრჩევლებსაც შეხვდება.

ინტერპრესნიუსი



◎ მეცნიერება

# სიცოცხლის გახანგრძლივების პერსპექტივების ძიებისას

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმში გრძელდება გამორჩეული მეცნიერული მოხსენებების მოსმენის კარგი ტრადიცია. ბოლო სხდომაზე ქრომოსომების ფუნქციური მახასიათებლებისა და დაბერების პრობლემის გარშემო მიღებული შედეგებით წარდგა ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის გენომის ფუნქციისა და სტრუქტურის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი თეიმურაზ ლეჟავა.**

ეკრანზე დემონსტრირებით წაკითხულმა მოხსენებამ, როგორც დასახელებითაც იყო მოსალოდნელი (ადამიანის სიცოცხლესთან, ჯანმრთელობასთან, დაბერებასთან დაკავშირებული საკითხებიძ, გაფართოებული სხდომის დამსწრეთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია. მრავალი შეკითხვა დაისვა და ამომწურავი პასუხების მოსმენის შემდეგ ფიზიკურ-ქიმიური ბიოლოგიის, მცენარეთა ფიზიოლოგიის გამოჩენილმა სპეციალისტებმა, აკადემიკოსებმა მალხაზ ზაალიშვილმა, გიორგი კვესიტაძემ, გივი სანაძემ, პრეზიდიუმის სხვა „არაპროფილურმა" წევრებმა მოსმენილით კმაყოფილება და მოწონება ერთსულოვნად გამოთქვეს.

ჩვენ უკვე ვწერდით აშშ-ში ინგლისურ ენაზე თეიმურაზ ლეჟავას მონოგრაფიის გამოქვეყნების შესახებ. წიგნმა უკვე ჩამოაღწია თბილისში, სხდომაზეც გამოჩნდა და აკადემიის პრეზიდენტი და სხვა დამსწრენი იქვე გაეცვნენ გულისყურით.

პრეზიდიუმმა განიხილა პოლიმერებისა და პოლიმერული მასალებისადმი მიძღვნილი კავკასიის



პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმის გამართვის საკითხი. ფორუმი გაისად, 10-14 სექტემბერს ჩატარდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, თსუ-ის ეროვნული აკადემიისა და ქიმიკოსთა საზოგადოების ეგიდით. ორგანიზების ხარჯებს უნივერსიტეტი გაიღებს.

სხდომის დასრულების შემდეგ პროფესორ თეიმურაზ ლეჟავასთან საუბრის საშუალება მომეცა და წარმატებული გამოსვლის დედააზრის გადმოცემა ვთხოვე შეძლებისდაგვარად „გასაგები" ენით.

— საერთოდ, დაბერების პროცესების ასახსნელად წარმოდგენილია რამდენიმე ათეული თეორია და მოდელი, მათ შორის უფრო პერსპექტიულად მიჩნეულია დაბერების მოლეკულურ-გენეტიკური საფუძვლები, სადაც ორგანიზმის დაბერების პირველად მიზეზად განხილულია გენომის ფუნქციის ცვალებადობის დონე. ჩვენ შევიმუშავეთ ახალი თეორია, რომლის თანახმად დაბერების პროცესში გენების (მემკვიდრეობითობის ერთეულებიძ ფუნქციის დაქვეითება ან შეწყვეტა მთლიანად დამოკიდებულია ქრომოსომათა (მემკვიდრეობითობის სტრუქტურები ლოკალიზებული გენებითძ კონფორმაციულ ცვალებადობაზე (ქრომოსომების ჰეტეროქრომატინიზაციაზე, კომპაქტაციაზეძ. ის პროგრამირებული სახით მიმდინარეობს ონტოგენეზის (ციკლი დაბადებიდან სიკვდილამდეძ პერიოდში. შესაბამისად, გენის ფუნქციის გამოვლენისათვის საკმარისი არ არის მისი მზადყოფნა, აუცილებელია ქრომოსომის „ნებართვა", რომ გენმა შეასრულოს თავისი სამუშაო.

აღმოჩნდა, რომ ბიორეგულატორებმა ხელი შეუწყვეს ქრომოსომის დეჰეტეროქრომატინიზაციას — „გაშლას", ინაქტივირებული (დათრგუნულიძ გენების გასანთავისუფლებლად. აქედან გამომდინარე, **დაბერების პროცესში გენების მოქმედების შეწყვეტას შექცევადი ხასიათი ჰქონია. ჩვენი შედეგები სიცოცხლის გახანგრძლივების პერსპექტივების ძიებისა და დაბერების პათოლოგიათა თავიდან აცილების შესაძლებლობას იძლევა.**

**— გთხოვთ ასეთი ღრმა შედეგების მიღებაში მონაწილე თანამშრომლები თუ კოლეგებიც დაგვისახელოთ.**

— ჩვენი შრომების თანაავტორები არიან უნივერსიტეტელი გენეტიკოსები, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორები თინათინ ჯოხაძე და ნანა დვალიშვილი, პროფესორი ჯამლეთ მონასელიძე ფიზიკის ინსტიტუტიდან და აკადემიკოსი ვლადიმერ ხავინსონი და პროფესორი ვლადიმერ მალინინი სანკტ-პეტერბურგის ბიორეგულაციისა და ბიოგერონტოლოგიის ინსტიტუტიდან.

თამაზ ებანოიძე

◎ შენ, ნიჟო ჩემო!

## უცხოეთში დაცული დისერტაცია საქართველოში აღიარეს

ქართველმა მეცნიერმა რევაზ ლორთქიფანიძემ 1999 წლის აპრილში სანკტ-პეტერბურგის (რუსეთის ფედერაციაძ სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია, რომელიც მიეძღვნა აჭარის ეკონომიკაში სტრუქტურულ გარდაქმნათა სტრატეგიას.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დაადასტურა რევაზ ლორთქიფანიძისათვის უცხოეთში მინიჭებული სამეცნიერო ხარისხი საქართველოში მოქმედი ნოსტრიფიკაციის წესით.

ახალგაზრდა მეცნიერი რევაზ ლორთქიფანიძე საქართველოს მოქალაქეა, ცხოვრობს და მუშაობს თბილისში. ვულოცავთ მას უცხოეთში დაცული სამეცნიერო ხარისხის აღიარებას საქართველოში.

საკუთარი ინფორმაცია

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში"
98-96-32;
899 328576

◎ ერთი ამოსუნთქვით

# „ახალი ათონელის" კვალზე



**ახლახან გამომცემლობა „ლოგოსმა" გამოსცა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის ხმელთაშუა ზღვის კულტურების კვლევის ლაბორატორიის გამგის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ვალერი ასათიანის უნიკალური წიგნი „ბიზანტიური ცივილიზაცია".**

**წიგნის რედაქტორია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი რისმაგ გორდეზიანი, რეცენზენტები, — გვანცა კოპლატაძე, მაგდა მჭედლიძე.**

ყველა წიგნიერმა კაცმა იცის, რომ ცივილიზაციათა ისტორიაში ბიზანტიურმა სამყარომ განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა. მის წიაღში შექმნილი სულიერი და მატერიალური ფასეულობები ცხადყოფენ ახალი ქრისტიანული მსოფლმხედველობის სიდიადესა და ცხოველმყოფელობას.

მცირე „ისტორიული დისტანციის" მიუხედავად, — ვკითხულობთ წიგნის შესავალში, — მკვლევართა თაობები სხვადასხვაგვარად აფასებენ „ახალი რომის" მნიშვნელობას. ვრცელი ისტორიული პანორამის მეცნიერული კეთილსინდისიერებით გადმოცემის შემდეგ, პროფესორი ვალერი ასათიანი ცალკე თავებად წარმოგვიდგენს ისეთ აქტუალურ თემებს, როგორებიცაა: „ახალი მხატვრული იდეალი. სულის ესთეტიკა", „ბიზანტიური ფენომენი", „ბიზანტიური ჰუმანიზმი", „ბიზანტია და საქართველო". წიგნი ასევე მოიცავს ცნობებს ბიზანტიის იმპერატორთა, კონსტანტინოპოლის პატრიარქების და მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენათა შესახებ. ინგლისურ ენაზე რეზიუმეს შემდეგ განმარტებულია ძირითადი ტერმინები.

წიგნში წარმოდგენილია ქართული ბიზანტინისტიკის ფუძემდებლის, დიდი ქართველი მეცნიერის სიმონ ყაუხჩიშვილის („ახალი ათონელის", როგორც მას პროფესორი ალექსანდრე ალექსიძე უწოდებდაძ და მის ღირსეულ მოწაფეთა ღვაწლი ბიზანტიის ისტორიული პრობლემების კვლევაში.

მკითხველს შევახსენებთ, რომ „ბიზანტიური ცივილიზაციის" გამოცემამდე ვალერი ასათიანმა




რამდენიმე პოპულარული წიგნი მიუძღვნა ბერძნულ-ქართული ურთიერთობების საკითხებს. სხვადასხვა დროს ის იყო საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი, კულტურის მინისტრი (ათი წლის განმავლობაშიძ, საქართველოს პარლამენტის წევრი. დაჯილდოებულია ალბერტ შვაიცერის მშვიდობის საერთაშორისო მედლით.

ვალერი ასათიანის ახალი ვრცელი გამოკვლევა „ბიზანტიური ცივილიზაცია", რომელიც ქართულ ენაზე პირველად გამოდის, ნამდვილი შენაძენია ბიზანტიის ისტორიის, ქართულ-ბიზანტიური ურთიერთობებით დაინტერესებული მკითხველისთვის.

წიგნი სადა, დახვეწილი ქართულით არის დაწერილი და დასურათებულია შთამბეჭდავი ილუსტრაციებით.

**რა სასიამოვნოა, რომ ქართული ბიზანტიური სამეცნიერო სკოლა ძველებურად წელგამართული და ანგარიშგასაწევი ძალაა მთელ მსოფლიოში. ვალერი ასათიანის ეს წიგნი ამის ნათელი დადასტურებაა.**

სპარტაკ ქობულია



№ 220. ხუთშაბათი, 9 ნოემბერი, 2006 წელი.

◎ მოულოდნელი რაკურსი

# საქართველოს ჰიმნი რუსულიაო,

## ამტკიცებს მუსიკოსი სერგო ჟვანია

***ამას წინათ რედაქციაში ცნობილი მუსიკოსი სერგო ჟვანია გვეწვია, რომელმაც საგულისხმო რამ გვიამბო. იგი ამტკიცებს, რომ საქართველოს დღევანდელი ჰიმნი რუსული სიმღერაა და ბატონმა სერგომ ამის დამამტკიცებელი საბუთებიც თან წარმოგვიდგინა.***

***გთავაზობთ მასთან ინტერვიუს.***

**— ბატონო სერგო, თქვენ ამტკიცებთ, რომ საქართველოს ჰიმნის წარმოშობა რუსულია. კონკრეტულად გვიამბეთ ამის შესახებ.**

— დღეს, ქართულ სიმღერებს, სამწუხაროდ, უცხოურისგან ბევრი ვერ განასხვავებს, რადგან ქართულ ტექსტებზე მრავალი სხვა ქვეყნის მუსიკა შეიქმნა. ეს კიდევ არაფერი, თვით დღევანდელი საქართველოს ჰიმნიც არაქართულია, რომლის წინამორბედი სიმღერა ჯერ კიდევ 1880 წელს, რუსეთის ერთ-ერთ ციხეში შეიქმნა და ძალიან სწრაფად გავრცელდა იმპერიაში. მას თვით შალიაპინიც მღეროდა. ხოლო ზაქარია ფალიაშვილმა, რუსული სიმღერების უბადლო მცოდნემ, თავის ოპერა „დაისში“ გამოიყენა კიაზოს პარტიად. უცხოთა ჰანგებს ბევრი მსოფლიოს გამოჩენილი კომპოზიტორი იყენებდა თავის შემოქმედებაში. მათ შორის ვერდი („აიდა“), პუჩინი („ჩიოჩიოსანში“), რიმსკი-კორსაკოვი და ა.შ., მაგრამ რუსეთის ჰიმნი კორსაკოვის პატივისცემით არავის გამოუყენებია. ზაქარია ფალიაშვილმა თვითონ არ გამოიყენა ეს სიმღერა ჰიმნად. საქართველოს ჰიმნის ძირები რუსულია. მუსიკა ცნობილ რუს კომპოზიტორს დუნაევსკის ეკუთვნის. იმ ხანად, დუნაევსკი ამტკიცებდა, ფალიაშვილმა ჩემი სიმღერა გამოიყენაო. დღეს კი იგი კეჭაყმაძემ გადაამუშავა ქართულ ჰიმნად. თავის დროზე შევარდნაძემ და მაშინდელმა პარლამენტმა ხმა არ მისცეს ამ ჰიმნს (თუ რატომ, ეს სხვა საკითხია), ვარდების რევოლუციის შემდეგ კი ახლანდელმა პარლამენტმა მწვანე შუქი აუნთო იმას, რაც სამიოდე წლის წინათ უარყვეს. არაპროფესიონალებს ქართულ ტექსტზე შექმნილი უცხოთა მუსიკა ქართული ჰგონიათ. თბილისში, საერთოდ, დამკვიდრდა აღმოსავლეთის ხალხების, მუსულმანური, ირანულ-თურქული, აგრეთვე სომხური, რუსული და ევროპული ჰანგები. კულტურის სამინისტროში კი საქართველოს ჰიმნისთვის შექმნილი ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებები დაიწუნეს და არაფრად ჩააგდეს.

რაც შეეხება ჰიმნის ტექსტს, იგი იმდენად ეკლექტურია, რომ იქ საერთოდ არც საქართველოა ნახსენები და არც ქართველი. „ღმერთო, შეუნდე ცოდვილთა ყოველთა“...

**— ბატონო სერგო, თქვენი აზრით, თანამედროვე პროფესიული მუსიკალური აზროვნება ძველს გაცილებით ჩამოუვარდება. რა უნდა გაკეთდეს საიმისოდ, რომ მუსიკალური ხელოვნების ცოდნის დონე ამაღლდეს?**

— ქართველებმა შექმნეს ქართული ჰარმონია და პოლიფონია, რაც თავისთავად მეცნიერებაა მუსიკის დარგში. ამაზე მეტყველებს თვითნაბადი მუსიკალური, საეკლესიო და სამკურნალო საგალობლები, საერო სიმღერები, მხედრული, ლაშქრული, მგზავრული, მაყრული, სუფრის და ქორწილის საწესო სიმღერები, ჰიმნები, წარმართული საკულტო სიმღერები, „კრიმანჭული“, რომლის უნივერსალობა ჯერ კიდევ 1937 წელს განამტკიცა დიდმა ფრანგმა მწერალმა რომენ როლანმა და შემდეგ დიდმა ამერიკელმა კომპოზიტორმა იგორ სტრავინსკიმ. რომენ როლანი ესწრებოდა 1937 წელს ქართული კულტურის დეკადას მოსკოვში. მას შეეკითხა ერთ-ერთი ქართველი: „როგორ მოგეწონათ ხალხური სიმღერა“. ეს საგუნდო სიმფონიააო. „ჩაკრულოზეც“ იგივე გაიმეორა. გურული სიმღერების მოსმენამ კი იმდენად აღაფრთოვანა, რომ ღამის 3 საათზე, სასტუმროში გააღვიძა ქართული ენის მთარგმნელი და მოითხოვა „კრიმანჭულის“ შემსრულებელი, გურული კაცი ბაბილოძე. მას სთხოვა პირი გაეღო, რომ მისთვის ხახაში ჩაეხედა. სიმღერის მერე აპარატი დამალე? უთხრა როლანმა. ბაბილოძემ გაიკვირვა და ღიმილით ჩაილაპარაკა: ვინააო ეს აბდალი, რა უნდა ჩემგანო!.. გურულებმა ამ დიდებულ კაცს მეორე დღეს სუფრაც გაუშალეს და რამდენიმე საათი „უაპარატოდ“ უმღერეს „კრიმანჭული“ და სხვა ხალხური მარგალიტები.



გაოცებული წასულა რომენ როლანი... ეს ამბები ბევრჯერ მომისმენია არტემ ერქომაიშვილისა და ვლადიმერ ბერძენიშვილისგან, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ დეკადაში. ამით იმის თქმა მინდა, რომ ჭეშმარიტი, ეროვნული, ქართული სიმღერების პროპაგანდას მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ. ჩვენ ჩვენი ეროვნული პოლიფონია და მუსიკალური აკორდებიც კი ქართული გვაქვს. მოვუაროთ და გავუფრთხილდეთ მას.

**— ბატონო სერგო, თქვენი კარიერა როგორ წარიმართა, თქვენი უკმაყოფილება მაკვალიანებს, რომ ალბათ ვერ მოახერხეთ შემოქმედების ბოლომდე გამომზეურება...**

— სამწუხაროდ, ჩემი ნაწარმოებების შესრულება საქართველოში იკრძალებოდა. კიდევ კარგი, ჩანაწერები არსებობს. ორჯერ რეპრესირებული ვარ. პირველად მაშინ, როდესაც საქტელერადიოს მუსიკალურ გადაცემათა ხმის რეჟისორი გახლდით... მე და ანზორ ერქომაიშვილმა გადავიღეთ ფილმი ქართულ საგალობლებზე. ეს რელიგიის პროპაგანდად ჩამითვალეს და სამსახურიდან მომხსნეს. მეორედ კი, კონსერვატორიის პროფესორი იმისთვის დამითხოვეს, რომ ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას მომხრე ვიყავი.

რაც შეეხება ჩემი შემოქმედების გამომზეურებას, საკუთარ თავზე საუბარი არ მიყვარს, საზოგადოებას კარგად ახსოვს სიმღერები — „დოუ-ნანა“, „ვოისა“, „თამარელა“, „ოდოია“, ასევე ოპერა „მედეა“, რომელსაც 30 წელიწადი ვქმნიდი. ჩემი გაფორმებულია კინოფილმები „მაცი ხვიტია“, „კაპიტანი კოლხეთის ნაპირებიდან“, აგრეთვე სპექტაკლები „ტარიელ გოლუა“, „ლილეო“, „ჟამთა სიავე“, „შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციურ ბადეთა კუნძულზე“.

შექმნილი მაქვს „მშვიდობის ჰიმნი“, „საქართველოს ჰიმნი“, „ქართული ფეხბურთის ჰიმნი“, „ქართული ჭიდაობის ჰიმნი“ და სხვა. მეამაყება, რომ თორმეტი წელიწადი რეზო ლაღიძის განუყრელი მეგობარი ვიყავი. მან მიმიწვია თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. სულ ახლახან, 1001 ნაწარმოები ზეპირად შევასრულე, საზოგადოებას ოთხი სრულყოფილი კონცერტის მოსმენის საშუალება ჰქონდა...

* * *

**თუ ბატონი სერგო ჟვანია რაიმე არასწორს ამბობს და მიკერძოებულად წარმოაჩენს საკითხს, საბედნიეროდ, დღეს, საქართველოში, მუსიკალურად ისეთი განათლებული საზოგადოება გვყავს, რომ მას ტყუილს არ ათქმევინებს. კომპეტენტურ კომპოზიტორთა კავშირსაც ძალუძს მტყუან-მართლის ობიექტურად გარჩევა.**

ესაუბრა
**ნანა სულავა**

◎ მამულიშვილი

## თელავში ეროვნული გმირის ძეგლი აღიმართება

**გუშინ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში მიწვეულ ჟურნალისტებს მინისტრმა გია ხევიაშვილმა გვაუწყა, რომ ერთი წლის შემდეგ კახეთის გულში, თელავში ეროვნული გმირის — ქაქუცა ჩოლოყაშვილის ძეგლი აღიმართება.**

სამინისტრომ, კახეთის რეგიონის ხელმძღვანელობასთან ერთად, ამის შესახებ ერთობლივი კონკურსი გამოაცხადა. საკონკურსო ჯგუფის ხელმძღვანელად მხატვარი გია ბულაძე აირჩიეს.

ამ დღეებში გამოქვეყნდება კონკურსის პირობები და, აგრეთვე, თელავის ცენტრის ფოტოები, სადაც ძეგლი უნდა აღიმართოს. შერჩეულია ორი ადგილი გალავნის ტერიტორიასა და თეატრის გვერდზე. ალბათ, სავარაუდოდ, იქვე გმირის სახელობის სკვერიც გაშენდება.

გია ბულაძემ მადლობა გადაუხადა ამ საინტერესო იდეის ავტორებს და განაცხადა, რომ მისთვის დიდი პატივია ამ პროექტში მონაწილეობა.

ორგანიზატორის თქმით, ისინი კონკურსის გამოცხადებიდან ორ თვეში ელოდებიან პროექტის მაკეტებს.

გია ხევიაშვილი: „ეს იდეა მაშინვე დაიბადა, როგორც კი ეროვნული გმირის ლევილის სასაფლაოდან საქართველოში გადმოსვენების საკითხი დადგა. დიდი სურვილი გვაქვს, საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 90-ე წლისთავს დაემთხვეს ეს მოვლენა, ძალიან გვინდა, მერმისს, 26 მაისს გაიხსნას ძეგლი. ქაქუცა ჩოლოყაშვილი ხომ სიმბოლოა საქართველოს თავისუფლებისა“.

**ლია ჭიღლაძე**

◎ კორუფცია

## გენერალურმა პროკურატურამ ოთხი ადამიანი დააკავა

**კორუფციული გარიგების ბრალდებით, გენერალურმა პროკურატურამ გუშინ გაზის ტრანსპორტირების კომპანიის გენერალური დირექტორი რევაზ ურუშაძე, შპს „ავტოგაზის“ თანამშრომელი გიორგი ლოლობერიძე, გაზის ტრანსპორტირების კომპანიის თანამშრომელი ალექსანდრე დოლიძე და ბანკ „რესპუბლიკის“ თანამშრომელი ეკატერინე კილაძე დააკავა.**

პირველადი მონაცემებით, საქმეს გენერალური პროკურატურა რამდენიმე თვის განმავლობაში იძიებდა. საუბარია კორუფციულ გარიგებაზე, რამაც საქართველოს ბიუჯეტს მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა.

ჯერჯერობით, იმ კომპანიებში, სადაც ეს პირები მუშაობდნენ, კომენტარს არ აკეთებენ. ოფიციალური კომენტარი არ კეთდება არც ძალოვან სტრუქტურებში.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ბანკ „რესპუბლიკაში“ განუცხადეს, ეკატერინე კილაძე ბანკის ერთ-ერთი



რიგითი თანამშრომელია, იგი ერთ-ერთ ფილიალში საოპერაციო განყოფილებაში მუშაობდა.

როგორც ბანკ „რესპუბლიკაში“ განმარტავენ, კილაძე საგამოძიებო ორგანოში პირად საქმესთან დაკავშირებით დაიბარეს და, შესაბამისად, ბანკი აღნიშნულ საქმეს საერთოდ არ უკავშირდება.

გუშინვე კორპორაციის შენობაში საგანგებო ჩხრეკა დაიწყო.

**ინტერპრესნიუსი**

◎ SIC!

## ზემო აფხაზეთში პოეზიის საღამო გაიმართება

**პოეტთა ორდენი „სამკაული“ უახლოეს დღეებში ზემო აფხაზეთში პოეზიის საღამოს გამართავს.**

**როგორც ორდენის ერთ-ერთმა წევრმა დავით-დეფი გოგიბედაშვილმა განაცხადა, ხეობაში პოეტების ჩასვლას აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების განათლებისა და კულტურის მინისტრი ალექსანდრე აპლაკოვი უზრუნველყოფს.**

**პოეტთა ორდენის საღამო ზემო აფხაზეთის კულტურის სახლში გაიმართება.**

**„სამკაულის“ შემადგენლობაში, დავით-დეფი გოგიბედაშვილის გარდა, გიორგი ზანგური და გიორგი შალამბერიძე შედიან.**

**გოგიბედაშვილის განცხადებით, ორდენი ამჟამად საკუთარი ლექსების აუდიოკრებულის გამოცემაზე მუშაობს. უახლოეს მომავალში გამოვა სამეულის პირველი პოეტური კრებულიც.**

**ინტერპრესნიუსი**

◎ ფაქტი

## ექიმთა სასერტიფიკაციო საბჭო მკაცრობს

**შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სასერტიფიკაციო საბჭომ ოტორინოლარინგოლოგ დავით ვაჭარაძეს სამედიცინო საქმიანობის უფლება სამი თვით ჩამოართვა.**

როგორც მინისტრის მოადგილე დავით მესხიშვილმა საბჭოს სხდომიდან გამოსვლის შემდეგ განაცხადა, საქმის შესწავლა არ დასრულებულა და ეს მუშაობის მხოლოდ პირველი ეტაპი იყო.

საბჭოს მიერ მოძიებული მასალების მიხედვით, 9 წლის ნათია კერესელიძის გარდაცვალებაში ექიმ ვაჭარაძეს არაპირდაპირ მიუძღვის ბრალი. „მოკვლეული ფაქტების საფუძველზე ცხადი ხდება, რომ რეგისტრაციიდან სამი დღის ვადაში ექიმმა პაციენტი სტაციონარში არ მოათავსა და არ ჩაატარა სავალდებულო გამოკვლევები, რაც სახელმწიფოს მიერ ფინანსდება“, — განაცხადა მესხიშვილმა.

მისი თქმით, ეს არ არის პირდაპირი დანაშაული, თუმცა, არის უხეში შეცდომა და ის ძირითადი ბრალი, რომელიც ამ ეტაპზე ვაჭარაძის მიმართ არსებობს.

მესხიშვილის განცხადებით, კვლევები მომავალშიც გაგრძელდება და მის საფუძველზე, არ არის გამორიცხული, ვაჭარაძე ან გამართლდეს ან საერთოდ ჩამოშორდეს საექიმო საქმიანობას.

მინისტრის მოადგილის თქმით, ამავე პაციენტის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, წერილობითი გაფრთხილება მიეცა ექიმ სიმონ ღლონტს.

დავით მესხიშვილის განცხადებით, დღეს სასერტიფიკაციო საბჭო რამდენიმე ექიმის საქმეს განიხილავდა. რიგ შემთხვევაში ექიმთა ბრალეულობა არ დამტკიცდა და სამედიცინო პერსონალი სრულიად გამართლდა.

ნათია კერესელიძე 22 ოქტომბერს იაშვილის სახელობის ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოში გარდაიცვალა. ბავშვს, სავარაუდოდ, ორივე ფილტვის მძიმე ანთება ჰქონდა.

**ინტერპრესნიუსი**

- პრეზიდენტმა არ იცის, რას ლაპარაკობს მისი საგარეო საქმეთა მინისტრი
- თავისუფლება რუსულ გაზზე უფრო ფასეულია



№ 220. ხუთშაბათი, 9 ნოემბერი, 2006 წელი.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# მიხეილ სააკაშვილი: ჩვენ გიჟები კი არა ვართ, რომ რუსეთის წინააღმდეგ სანქციები შემოვიღოთ

**საქართველო არ აპირებს „იძიოს შური“ რუსეთზე გაზის ფასის მომატების გამო. ასე რომ, თბილისი არ შეუშლის ხელს რუსეთის გაწევრიანებას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში. თანაც, როგორც საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აღიარა, ამისთვის რაიმე განსაკუთრებული შესაძლებლობები მას არც აქვს.**

როგორც გასულ კვირას გაირკვა, საქართველოსთვის მიწოდებული ყოველი 1000 კუბური მეტრი ბუნებრივი გაზის ფასი 110 დოლარიდან 230 დოლარამდე გაიზარდა. ამას დაუყოვნებლივ მოჰყვა თბილისის რეაქცია. რადიოსადგურ „ეხო მოსკვის“ ეთერში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი დაიმუქრა, რომ ამის პასუხად თბილისი გამოიყენებს ვეტოს უფლებას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის შესვლის საკითხის განხილვის დროს.

თუმცა, თავისი ხელქვეითის ასეთი აგრესიული განწყობილება არ გაუზიარებია საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს. „ჩვენ გიჟები კი არა ვართ, რომ რუსეთის წინააღმდეგ სანქციები დავაწესოთ. ჩვენ ასეთ ნაბიჯს არ გადავდგამთ“, — განაცხადა სააკაშვილმა და აღნიშნა, რომ არ არის საჭირო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის შესვლასთან დაკავშირებული საკითხის „დრამატიზება“. თუმცა, რაიმე დაწვრილებითი დეტალები იმის თაობაზე, თუ როდის დათანხმდება თბილისი ამას, სააკაშვილს არ დაუსახელებია.

შეგახსენებთ, რომ ქართველმა სახელმწიფო მოხელეებმა კარგა ხნის წინათ მოიწონეს რუსეთის გაწევრიანება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, მაგრამ ზაფხულში რატომღაც გადაიფიქრეს მოსკოვის მხარდაჭერა. მათ მიმართეს მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციის სამდივნოს, იქ კი, თავის მხრივ, თბილისის განცხადებას საკმაოდ ფილოსოფიურად მოეკიდნენ: „არაფერი არ არის შეთანხმებული მანამ, სანამ ყველაფერი არ შეთანხმდება“. თბილისი მოითხოვდა ქართული ღვინის დისკრიმინაციის შეწყვეტას, რომელიც რუსეთში უკვე კარგა ხანია აღარ შედის; აგრეთვე, ქართული მხარის აზრით, ყველა არალეგალური საბაჟო-გამშვები პუნქტის დახურვას. საქართველოს მიერ უარის თქმა დროით დაემთხვა პეტერბურგში „დიდი რვიანის“ სხდომის დროს რუსეთის ყველაზე დიდი იმედის გაცრუებას: ამერიკელებმა არ მიიღეს იგი მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციაში. ამრიგად, საქართველო არის ერთი იმ ოთხი ქვეყნიდან, რომლებიც არ ეთანხმებიან მოსკოვის მიღებას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის რიგებში (შეერთებული შტატების და საქართველოს გარდა, ასეთ მოსაზრებას იზიარებენ კოსტა-რიკა და მოლდავეთიც).





თუმცა, რუსეთში ამ პრობლემას გადაჭარბებით არ აფასებენ. „ძნელი წარმოსადგენია, რომ ერთმა ქვეყანამ შეუშალოს ხელი რუსეთის გაწევრიანებას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში მაშინ, როცა დანარჩენ 148 სახელმწიფოს ეს სურს. ათი, ან თუნდაც ხუთი ქვეყანა რომ ყოფილიყო, ეს კიდევ გასაგები იქნებოდა. მათ არა აქვთ სამართლებრივი საფუძველი ამის გაკეთებისთვის. დაბოლოს, ყოველთვის რჩება იმედი, რომ საღი აზრი მაინც გაიმარჯვებს“, — განაცხადა რუსეთის ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სავაჭრო მოლაპარაკების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა მაქსიმ მედვედევმა.

მაგრამ რაღაც კოზირები სააკაშვილს მაინც უნდა ჰქონდეს. „საქართველოს ზოგიერთ ტერიტორიაზე მოქმედებენ რუსეთის მიერ უკანონოდ გახსნილი ბანკები და ამ ქვეყნის კომპანიები“, — აღნიშნა სააკაშვილმა და დასძინა, რომ მათ მიმართ შეიძლება გამოიყენონ სანქციები. როგორც ჩანს, საქმე ეხება პატარ-პატარა ბანკებს, რომლებსაც აქვთ ფილიალები აფხაზეთში. ისინი კარგა ხანია იწვევენ საქართველოს ხელმძღვანელობის გაღიზიანებას, რომელიც ბანკირებს ადანაშაულებს ეგრეთ წოდებულ „ფულის გათეთრებასა“ და ფინანსურ ტერორიზმში. სხვათა შორის, გასული წლის დამლევს, საქართველოს თხოვნით რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა გამოიხმო „მაკრომრეწვბანკის“ ლიცენზია, მაგრამ ასეთი ფაქტები მეტი აღარ ყოფილა.

**ელენა შიშკუნოვა**

ИЗВЕСТИЯ

# უარესი რაღა უნდა იყოს

**საქართველო და რუსეთი, კვლავ ვერ ახერხებენ საერთო ენის გამონახვას. როგორც ცნობილია, შარშან ამ ორ ქვეყანას შორის გაჩაღდა „ღვინის ომი“, როცა მოსკოვმა უარი თქვა ქართული ღვინოს შესყიდვაზე, რითაც საქართველოს დაუხურა ერთ-ერთი ყველაზე დიდი საექსპორტო ბაზარი და მძიმე დარტყმა აგემა ისედაც მწირ ქართულ ბიუჯეტს.** ამის შემდეგ აგორდა სკანდალი რუსი ოფიცრების დაკავებასთან დაკავშირებით, რომლებსაც თბილისმა ჯაშუშობაში დასდო ბრალი. რუსი სამხედროების დაპატიმრების პასუხად, კრემლმა შეწყვიტა საქართველოსთან სავაჭრო ურთიერთობა, დახურა საზღვრები და დაიწყო სამშობლოში იმ ეთნიკური ქართველების დაბრუნება, რომლებიც რუსეთის მთელ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ. გასულ კვირას კი გაჩაღდა ახალი ომი — „ენერგეტიკული“. მოსკოვმა გამოაცხადა, რომ თბილისს მიწოდებული გაზის ფასს ერთისამად გაუძვირებდა.

— რას გააწყობთ, — მხრებს იჩეჩს საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი გაეროში ირაკლი ალასანია, — მაშასადამე, ეს ზამთარი ცივი და ხანგრძლივი იქნება.



ამით ყველაფერია ნათქვამი. ყოველივე ამის ფონზე, შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ ერთი ახალი ამბავია კარგი: ამაზე უარესი რაღა უნდა მოხდეს. ეს თავისთავად უკვე კარგია. საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრა იმის თაობაზე, თუ როგორ გაგზავნეს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მოსკოვში ორ ქვეყანას შორის გაუარესებული ურთიერთობის მოსაგვარებლად.

— ამის პასუხად კი მოსკოვმა გადაწყვიტა ჩვენთვის თავისი ძალა ეჩვენებინა და მოგვთხოვა გაზისთვის ყველაზე დიდი ფასის გადახდა — 230 დოლარი ყოველი ათასი კუბური მეტრისთვის.

ეს ფასი ერთიორად უფრო მეტია იმასთან შედარებით, რასაც სომხეთი და უკრაინა იხდიან. და რა, განა ეს კარგია? ყოველ შემთხვევაში, პრემიერ-მინისტრს მიაჩნია, რომ ასეა.

— რუსეთის მხრიდან ეს ბოლო გაფრთხილებაა. ჩვენს დასასჯელად იგი რაიმე სხვა ნაბიჯს უკვე ველარ გადადგამს. მოსკოვის ასეთ ქცევას განაპირობებს ის, რომ საქართველოს სურს გახდეს ნატოს წევრი, აღნიშნეს ნოღაიდელმა და ალასანიამ. მაგრამ, მაინც რის გაკეთება შეუძლია კრემლს, თუ არ ჩავთვლით საქართველოში სამხედრო შეჭრის ვარიანტს, რასაც, იგი, ჩვენი აზრით, მაინც ვერ გაბედავს, რადგან ენერგეტიკული კოზირი უკვე გაათამაშა, მოსკოვს პრაქტიკულად აღარ დარჩა რაიმე სხვა იარაღი ზემოქმედებისთვის.

ალასანიას აზრით, ახლა საქართველოს მოუწევს კიდევ უფრო სწრაფად განახორციელოს ეკონომიკის დივერსიფიცირება. რაც შეეხება სათბობს, საქართველო უკვე მუშაობს აზერბაიჯანიდან და თურქეთიდან ალტერნატიულ მიწოდებათა საკითხზე. ასე რომ, მიაჩნიათ თბილისში, ყველა ეს სირთულე კიდევ უფრო განამტკიცებს ყოფილ საბჭოთა იმპერიაში საქართველოს დამოუკიდებლობის საფუძველს. რას გააწყობ, ასეთი ყოფილა თავისუფლების ფასი.

**მაიკლ მეიერი,**
**ანა ნემცოვა.**
**Newsweek (აშშ).**



# „გაზპრომმა“, შესაძლოა, საქართველო გაზის გარეშე დატოვოს

**როგორც რუსეთის გაზის გიგანტის მმართველობის წევრმა ალექსანდრე მედვედევმა განაცხადა, საქართველოს შეუწყდება სათბობის მიწოდება, თუ ოფიციალური თბილისი უარს განაცხადებს შესაბამისი კონტრაქტის განახლებაზე.**

„მე ამას გაზის მიწოდების შეწყვეტას არ ვუწოდებდი, რადგან ეს ნორმალური საბაზრო პრაქტიკაა იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს კონტრაქტი. „გაზპრომის“ მიერ განხორციელებული ფასების პოლიტიკა მთლიანად შეესაბამება რეგიონის კონიუნქტურას“, — აღნიშნა მედვედევმა.

ამასთან, გაზის კონცერნის წარმომადგენლის თქმით, საქართველოს შეუძლია მიაღწიოს ბუნებრივი აირის ფასის მნიშვნელოვან შემცირებას იმ პირობით, თუ რესპუბლიკის სათბობის აქტივებს გადასცემს „გაზპრომს“.

„საქართველოს, ისევე როგორც სხვა ქვეყნებს, აქვს შესაძლებლობა, შემოგვთავაზოს აქტივები. მაგრამ შეთანხმებას თუ ვერ მივაღწევთ, გაზის მიწოდებაც შეწყდება“, — თქვა მედვედევმა.

შეგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ რუსეთიდან მიღებული ყოველი ათასი კუბური მეტრი გაზისთვის საქართველო 110 დოლარს იხდიდა. ახლა კი „გაზპრომმა“ თბილისს 230 დოლარის გადახდა მოსთხოვა.

НЕЗАВИСИМАЯ

- კუბა ეკონომიკის კუბურ მოდელს არ ეშვება
- ნიკარაგუა კიდევ ერთხელ ირჩევს 60 წლის ორტეგას



# დემოკრატები იმარჯვებენ

**შეერთებულ შტატებში შუალედური არჩევნების წინასწარი შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, დემოკრატებმა ამ ბოლო 12 წლის განმავლობაში პირველად მოიპოვეს ადგილების უმრავლესობა კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში.**

თეთრმა სახლმა აღიარა, რომ კონგრესის ქვედა პალატაში დემოკრატებმა რესპუბლიკელებს ჩამოართვეს 15 ადგილი.

ჯერჯერობით არ არის ცნობილი, შეძლეს თუ ვერა დემოკრატებმა გამარჯვების მოპოვება სენატშიც, რადგან ძალზე მცირეა სხვაობა დაპირისპირებულ პარტიათა წარმომადგენელი კანდიდატების მიერ მოგროვილ ხმების რაოდენობაში..

ცნობილია მხოლოდ ის, რომ პელნსილვანიის შტატში დემოკრატმა ბობ კეისიმ დაამარცხა ამჟამინდელი რესპუბლიკელი-სენატორი რიკ სანტორუმი, რომელიც ჯორჯ ბუშის ერთ-ერთი უახლოესი თანამოსაგრეა.

იტყობინებიან ასევე, რომ დემოკრატებმა რესპუბლიკელებს ჩამოართვეს ადგილები სენატში ოჰაიოს და როდ-აილენდის შტატებისგან. სავარაუდოდ, ისინი შეინარჩუნებენ ადგილებს ფლორიდის და ნიუ-ჯერსის შტატებისგანაც.

წარმომადგენელთა პალატაში დემოკრატების ლიდერმა ნენსი პელოსიმ, რომელიც, ალბათ, გახდება პირველი სპიკერი-ქალი კონგრესის ქვედა პალატაში, ამ შუალედურ არჩევნებს უწოდა „ამერიკელი ხალხის ბრწყინვალე გამარჯვება“.

„დღეს ამერიკელებმა ხმა მისცეს გარდაქმნებს და მხარი დაუჭირეს იმას, რომ დემოკრატებმა ჩვენი ქვეყანა წაიყვანონ ახალი მიმართულებით. სწორედ ამის გაკეთებასაც ვაპირებთ“, — განაცხადა მან.

თეთრი სახლის წარმომადგენელმა ტონი სნოუმ აღიარა წარმომადგენელთა პალატაში დემოკრატების გამარჯვება და განაცხადა, რომ ბუშის ადმინისტრაცია მზად არის „იმუშაოს დემოკრატების ლიდერებთან მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხებში, მათ შორის ერაყის ომში გამარჯვებისა და მთლიანად ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემების მოსაგვარებლად, აგრეთვე ეკონომიკის ზრდის უზრუნველსაყოფად“.



# ფიდელ კასტრო, შესაძლოა, აღარ დაუბრუნდეს ხელისუფლებას

**როგორც ჩანს, კუბის ლიდერის გამოჯანმრთელება არ მიმდინარეობს ისეთი სწრაფი ტემპით, როგორც მის თანამოსაგრეებს სურთ. კომანდანტეს ახლო მეგობრის, ვენესუელის პრეზიდენტის უგო ჩავესის მიერ გაკეთებული განცხადება კასტროს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, წინანდელივით ოპტიმისტურად აღარ ჟღერს.**

„ფიდელ კასტროს გამოჯანმრთელების პროცესი ნელა მიმდინარეობს“, — თქვა ჩავესმა. თუმცა მანამდე იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „სწრაფი ტემპით ხდება კუბის ლიდერის ჯანმრთელობის მდგომარეობის აღდგენა ქირურგიული ჩარევის შემდეგ“. ვენესუელის ლიდერის სიტყვებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან მას შემდეგ, რაც ფიდელმა გამოაცხადა, რომ მონაცემები მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ არის „სახელმწიფო საიდუმლო“, რადგან შეერთებული შტატები გეგმავენ კუბაში სიტუაციის დესტაბილიზაციას, უგოჩავესი გახდა ინფორმაციის ერთადერთი წყარო.



არის იმის სხვა ნიშნებიც, რომ ფიდელ კასტრო, ალბათ, ვეღარ დაბრუნდება ხელისუფლების სათავეში. ქვეყანაში ბევრს ლაპარაკობენ კუბის რევოლუციის პატრიარქის მომავალ იუბილეზე, თუმცა, საიუბილეო ღონისძიებების გამართვა ოდნავ ნაგვიანებია, რადგან კასტროს 80 წელი 13 აგვისტოს შეუსრულდა. ოპერაციის გამო, ზეიმი 2 დეკემბრისთვის გადაიტანეს. ახლა ზოგი იმის გამოც გამოთქვამს შეშფოთებას, რომ კომანდანტე ვერც ამ დღეს შეძლებს საიუბილეო ღონისძიებებში მონაწილეობას.

კუბის ტელევიზიის ეთერში ფიდელ კასტრო უკანასკნელად გამოჩნდა ოქტომბრის დამლევს. მართალია, იგი ცდილობდა არ დაეკარგა სიმხნევე, მაგრამ, მაინც შეიმჩნეოდა, რომ კასტროს ორგანიზმი დასუსტებული და გადაღლილი იყო.

ფიდელ კასტროს ჯანმრთელობის მდგომარეობას, რა თქმა უნდა, დიდი ყურადღებით აკვირდებიან თეთრ სახლშიც. იქ დარწმუნებულები არიან, რომ კუბაში მოხდება ხელისუფლების გადაცემა, რაც ჟურნალისტებთან საუბრის დროს შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმაც განაცხადა. „აშკარაა, რომ კუბაში ამჟამად ხდება ხელისუფლების გადაცემა. ჩვენი ამოცანაა, დაჟინებით მოვითხოვოთ, რომ კუბელებს მიეცეთ ჭეშმარიტ დემოკრატიაზე გადასვლის რეალური შესაძლებლობა. კუბელებს უნდა ჰქონდეთ თავიანთი ლიდერების არჩევის საშუალება“, — თქვა სახელმწიფო მდივანმა.

ჯორჯ ბუშის ადმინისტრაცია გაცილებით უფრო მეგობრულად ეკიდება ჰავანას მას შემდეგ, რაც ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდა რაულ კასტრო. თვით თავისუფლების კუნძულზეც არაორაზროვნად მიანიშნებენ, რომ ქვეყნის ამჟამინდელი მძიმე მდგომარეობის გამო მიუძღვის ბრალი არა მხოლოდ შეერთებული შტატების მიერ დაწესებულ ეკონომიკურ ბლოკადას, არამედ იმ „ნაკლოვანებებს“ და „შეცდომებსაც“, რომლებიც დაუშვეს ქვეყნის მართვის დროს.

„ჩვენი ეკონომიკა მოითხოვს, რომ მივიღოთ გადამწყვეტი ზომები, ზოგი რამ შევცვალოთ, შევიგნოთ, რომ ყველაფერი ისე არ კეთდებოდა, როგორც საჭირო იყო, — განაცხადა კუბის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფელიპე პერეს როკემ, — მაგრამ ეს უნდა მოხდეს საჭირო მომენტში. კუბაში ყოველთვის იქნება მხოლოდ კუბური მოდელი“.

მაგრამ, როგორც მრავალი მეთვალყურე მიანიშნებს, თუ ძალაუფლებას მთლიანად ჩაიგდებს ხელში რაულ კასტრო, კუბაში შეიძლება დაინერგოს ჩინეთის ეკონომიკური მოდელი, რომელიც ითვალისწინებს უფრო თავისუფალ საბაზრო ურთიერთობას კომუნისტური იდეოლოგიის შენარჩუნების პირობებში.

№ 220. ხუთშაბათი, 9 ნოემბერი, 2006 წელი.


შპს „საქართველოს რკინიგზის“ ფილიალ „მგზავრთა გადაყვანის“ მართვა და ოპერაციების დეპარტამენტი

აცხადებს ღია საჯარო კონკურსს

გადაყვანათა მართვის სამსახურში (რეზერვის კანდიდატურების ფორმირებასთან დაკავშირებით) მომსახურების ოპერატორის თანამდებობაზე

მომსახურების ოპერატორის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

1. არანაკლებ 18 წლის ასაკისა;
2. არანაკლებ საშუალო განათლებისა;
3. მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი;

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:

1. CV (ავტობიოგრაფია);
2. განათლების მიღების დამადასასტურებული მოწმობის (ატესტატის ან დიპლომის) ასლი;
3. სხვა მასალები კანდიდატის შეხედულებისამებრ;

საბუთები მიიღება 2006 წლის 6 ნოემბრიდან 10 ნოემბრის ჩათვლით.

მისამართი:
შპს „საქართველოს რკინიგზა“
ფილიალი „მგზავრთა გადაყვანა“
ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2
ტელ: 56-65-42


# ისევ დანიელ ორტეგა და სანდინისტები

**ეროვნული განთავისუფლების სანდინისტური ფრონტის ლიდერმა დანიელ ორტეგამ გაიმარჯვა ნიკარაგუაში პრეზიდენტის არჩევნების პირველ ტურში, მისმა მეტოქემ ედუარდო მონტეალეგრემ კი საჯაროდ აღიარა დამარცხება.**

ორტეგას გამარჯვება უკვე აშკარა გახდა მას შემდეგ, რაც დათვალეს საარჩევნო ბიულეტენების 91 პროცენტი. მან მოიპოვა ამომრჩეველთა ხმების 38 პროცენტზე მეტი და 9 პროცენტით გაუსწრო თავის კონკურენტს, იტყობინებოდა ნიკარაგუის უმაღლესი საარჩევნო საბჭო.

ამრიგად, ორტეგა 16 წლის შემდეგ კვლავ უბრუნდება უმაღლეს სახელმწიფო პოსტს ცენტრალური ამერიკის ამ ქვეყანაში.

როგორც ცნობილია, 1980-იან წლებში ორტეგა ხელმძღვანელობდა ქვეყანას. იმ პერიოდში, როცა ნიკარაგუელები ებრძოდნენ კონტრრევოლუციონერებს, რომლებსაც შეერთებული შტატები უმაგრებდა ზურგს. სამოქალაქო ომს დაახლოებით 30 ათასი კაცი ემსხვერპლა.

60 წლის ორტეგას გამარჯვება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ ლათინურ ამერიკაში ისახება მემარცხენე და მემარცხენეცენტრისტული ტენდენცია.

შეერთებული შტატები თავდაპირველად „ჩავიდა ფსონს“ ნიკარაგუის ლიბერალური ალიანსის წარმომადგენელ-კანდიდატზე — ედუარდო მონტეალეგრეზე, თანაც, მას ისე აშკარად უჭერდა მხარს, რომ ამან დიდი უკმაყოფილება და შეშფოთება გამოიწვია როგორც თვით ნიკარაგუაში, ისე სხვა ქვეყნებშიც.



ახლა ვაშინგტონი არ გამორიცხავს ნიკარაგუისთვის ეკონომიკური დახმარების შეწყვეტის შესაძლებლობას.

თვით ორტეგამ კი, რომელიც კუბის ლიდერის ფიდელ კასტროს და ვენესუელის პრეზიტენტის უგო ჩავესის მეგობარია, განაცხადა, რომ მზად არის დაამყაროს კონსტრუქციული ურთიერთობა უკლებლივ ყველა ქვეყანასთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტებთანაც.

სანდინისტები აპირებენ ძირითადი ყურადღება გაამახვილონ ქვეყანაში უმუშევრობისა და უწიგნურობის წინააღმდეგ ბრძოლაზე, აღადგინონ ყველასათვის ხელმისაწვდომი ჯანმრთელობის დაცვის სისტემა. ისინი არც იმას უარყოფენ, რომ კარგად გაითავისეს წარსულის მწარე გაკვეთილი, და ახლა აცხადებენ, დაუჭერენ მხარს კერძო კაპიტალს.





№ 220. ხუთშაბათი, 9 ნოემბერი, 2006 წელი.

◉ ფოტოექსპოზიცია

# მრავალაივნიანი...

***„ქარვასლაში" მაია მანიას დოკუმენტური ფოტოგრაფია გამოიფინა... ეს თანამედროვეობის უნიკალური კადრებია, რომლებიც თბილისის მხატვრულ-არქიტექტურულ ეპოქას ცოცხლად ასახავს დროში... როცა ფერადი ფოტოგრაფია მაქსიმალური სიზუსტით გადმოსცემს XIX საუკუნის ქალაქის შემორჩენილ ევროპულ ურბანისტიკას... როცა ავტორისეული ფოტოხედვა არასასიამოვნო რეალობის საერთო ლოკალშია მოქცეული და ფოტოობიექტივის ჩარჩოში აღბეჭდავს გაცვეთილ ხუროთმოძღვრებას... ამ ექსპოზიციით ჩანს, რომ არქიტექტურულ სტილსა და ტენდენციებს XIX საუკუნის ქალაქს პეტერბურგიდან ე. წ. „სანიმუშო პროექტები" კარნახობდა... ამის გარდა, ლეგენდარული თბილისის მხატვრულ-ისტორიულ უბნებში საინტერესო ნიმუშებს აგებდნენ ევროპიდან ჩამოსული არქიტექტორები — ჯოვანი სკუდიერი, ჯუზეპე ბერნარდარჩი, ოტო იაკობ სიმონსონი, ალბერტ ზალცმანი, ლეოპოლდ ბილფელდი, ალექსანდრე შიმკევიჩი, ვიქტორ შრეტერი, პაულ შტერნი, ალექსანდრე გოროისკი, ფერდინანდ ლემკული, ნიკოლაი ობოლონსკი, იოჰან დიცმანი, სტეფან კრიჩინსკი...***



მაია მანიამ ამ არქიტექტორების მიერ აგებული საზოგადოებრივი და საცხოვრებელი შენობების დღევანდელი დოკუმენტური ფოტოქრონიკა წარმოგვიდგინა... ავტორისეულ ფოტოობიექტივში 1999-2006 წლებში XIX საუკუნის არაერთი უნიკალური ძეგლი აღიბეჭდა — შოთა რუსთაველის პროსპექტი №6 — **„ახალგაზრდობის სასახლე"** (არქიტექტორი ოტო სიმონსონიძ, შოთა რუსთაველის პროსპექტი №25 — **„ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი"** (არქიტექტორი ვიქტორ შრეტერიძ, თავისუფლების მოედანი №2 — **„თბილისის მერია"** (არქიტექტორი პაულ შტერნიძ, ძმები ზუბალაშვილების ქ. №28 — **„საქართველოს უზენაესი სასამართლო"** (არქიტექტორი ალექსანდრე შიმკევიჩიძ, გრიბოედოვის ქ. №8 — **„სახელმწიფო კონსერვატორია"** (არქიტექტორი ალექსანდრე შიმკევიჩიძ, შოთა რუსთაველის პროსპექტი №17 — **„რუსთაველის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრი"** (არქიტექტორი კორნელი ტატიშკევიძ, **„მაგნიტურ-მეტეოროგიური ობსერვატორია"** (არქიტექტორი ოტო იაკობ სიმსონიძ, კოტე მარჯანიშვილის ქ. №8 — **„კოტე მარჯანიშვილის სახ. დრამატული თეატრი"** (არქიტექტორი სტეფანე კროჩინსკიძ, კოტე მარჯანიშვილი ქ. №7 — **„თი ბი სი ბანკი"** (არქიტექტორი ალექსანდრე გორონსკიძ...

**— ამ ფოტონამუშევრების მიღმა, არქივში კიდევ ბევრი დარჩა,** — ექსპოზიციაზე მესაუბრება არქიტექტორი მაია მანია, — **მუშაობისას რა იყო ჩემთვის აღმოჩენა? — ის, რომ თბილისში ყოველ შენობას თავისი ინდივიდუალური ისტორია აქვს... ჩემი ინტერესი ობსერვატორიიდან დაიწყო, როცა გავიგე, რომ ეს ძველი შენობა გერმანელმა ინჟინერმა ფერდინანდ ლემკულმა ააშენა... თბილისში არის ძეგლები, რომლებიც კვდება და ისინი ასეთ ცუდ მდგომარეობაში შეგნებულად წარმოვადგინე. იქნებ, მივხედოთ მათ! მე დიდი ხანია, დაინტერესებული ვარ შენობების ისტორიებით, პროფესიით არქიტექტორი ვარ და ალბათ, ამითაც გასაგებია, მაგრამ... ფოტოგრაფია ჩემი გატაცება უფროა... ამიტომაც ამ ფოტოებს დოკუმენტური ღირებულება უფრო აქვს, ვიდრე პროფესიონალური... ევროპელი არქიტექტორების შემოქმედება თბილისში პირველად ძველი ქართული ხუროთმოძღვრებისა და XIX საუკუნის თბილისის არქიტექტურის ცნობილმა მკვლევარმა ვახტანგ ბერიძემ გამოიკვლია. მან პირველმა მოიძია დიდძალი საარქივო მასალა და თბილისში შემორჩენილ შენობებთან იდენტიფიკაცია მოახდინა.**

...სტილისტურად XIX საუკუნის დედაქალაქის საცხოვრებელ სახლთა ფასადები არქიტექტურაში თანაარსებობენ კლასიცისტური, ბაროკული, რენესანსული ფორმებით, ისლამური და გუთური მოტივებით, მოდერნის სტილის ელემენტებით და შუასაუკუნებრივი ქართული ხუროთმოძღვრული დეკორით... ყველაზე საინტერესო სურათს სწორედ ევროპელი არქიტექტორების მიერ თბილისში აშენებული საცხოვრებელი სახლები გვიხატავს. აქ ხდება რამდენიმე ტრადიციის სინთეზი და პროექტების თბილისურ სპეციფიკასთან თანაარსებობა. აშკარაა, ეს სახლები თბილისური ტრადიციისამებრ შიდა ეზოებს შეიცავენ და როგორც წესი, გარშემორტყმულია ხის ფართო აივნებით, აღჭურვილია ხის გარეთ გატანილი ან აივნის ხის გადახურვაში გაჭრილი სწორი ან ხვეული კიბეებით, ზოგჯერ გასასვლელებით. ზოგჯერ ევროპელთა მიერ დაპროექტებული შენობების ფასადზე ხის გადაკიდებული აივნები ჩნდება, რაც ესოდენ დამახასიათებელი იყო გვიან ფეოდალური ხანის და XIX საუკუნის თბილისისთვის. მდიდრულად გამოხატული ხის აივანი ქალაქის ბუნებრივი პირობებით ნაკარნახევი უნიშვნელოვანესი და განუყოფელი კომპონენტია თბილისური საცხოვრებელი სახლისა. მრავალაივნიანი და მრავალსტილიანი საცხოვრებელი სახლები შემორჩენილია ძველი თბილისის ქუჩებში და... მაია მანიას ფოტოგრაფიაში — კრილოვის № 10 „საცხოვრებელი სახლი" (არქიტექტორი დიცმანიძ, მაჩაბლის №13 „მწერალთა კავშირის შენობა" (პ. ცაარიძ,

გალაკტიონის ქ №9 „სახლის აივანი" (არქიტექტორი ზალცმანიძ, „ემილია ტიტელის მიწაზე საცხოვრებელი სახლი" (არქიტექტორი შტერნიძ, შ. დადიანის № 10 „საცხოვრებელი სახლი" (არქიტექტორი ზალცმანიძ, ინგოროყვას № 8 „საცხოვრებელი სახლი" (არქიტექტორი შიმკევიჩიძ...

**— თბილისი დიდი სიმდიდრეა საქართველოს ისტორიისთვის, ეს უნდა შეინახოთ... რაც მომწონს ამ ქალაქში არის ის, რომ თბილისი ჩამოსულისთვის არ ხდება უცხო, აქ ხომ ორი კულტურის სინთეზი იგრძნობა — აზიისა და ევროპის... მე ახლა დაბინავებული ვარ ავლაბარში, საიდანაც ისეთი ლამაზი ხედია, რომ ამ მშვენიერების ყურებით დაისვენებ,** — მესაუბრება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი საქართველოში **პატრიცია ფლორი.**

„ქარვასლის" თანამედროვე საგამოფენო სივრცეში მაია მანიას დოკუმენტური ფოტოგრაფია კომპოზიციური და მხატვრული აზროვნებაა არქიტექტურაში, ანუ შეჩერებული კინო, რომელიც მეტყველებს...

**მზეხა მახარაძე**

**სურათზე: მაია მანიას ფოტოები.**



◉ ინფორმაცია

## ხობს, სენაკს, ლანჩხუთსა და ჩოხატაურს ელექტროენერგია არ მიეწოდება

**ხობის, სენაკის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მოსახლეობის ნაწილს ენერგომომარაგება შეუწყდა.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს" საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიიდან აცნობეს, აღნიშნული ქალაქები ძლიერი წვიმებით და ჭექა-ქუხილით გამოწვეული ავარიების შედეგად გაითიშა.**

**ამავე მიზეზით, ავარიულადაა გამორთული ქვესადგური „ჯუმათი", ელექტროგადამცემი ხაზი „ინგირი".**

**ავარიების ადგილზე კომპანიის ბრიგადები აღდგენით სამუშაოებს აწარმოებენ. ენერგოკომპანია ცდილობს, ენერგომომარაგება სწრაფად აღადგინოს.**

**ინტერპრესნიუსი**

◉ სასამართლო

## ყაჩაღები ქუჩაში იცნეს

**თბილისის საქალაქო სასამართლომ ყაჩაღური ჯგუფის წევრები — წყალტუბოელი გიორგი ბოდოკია, ქუთაისელები ბესიკ ლილუაშვილი და ნიკოლოზ ონიანი კარგა ხნით საკნებში გამოკეტა. ისინი ტაქსის მძღოლებს ძარცვავდნენ.**

**ზუსტად არ არის ცნობილი, მათ რამდენი ასეთი დანაშაული ჩაიდინეს. ამჯერად, მხოლოდ ორი დაზარალებული — თეიმურაზ ხონელიძე და ნოდარ ხუროშვილი დაუპირისპირდნენ. ხუროშვილმა ისინი ყაჩაღობის მეორე დღეს ნახა და პოლიციას შეატყობინა.**

შემთხვევა წლეულს, 26 თებერვალს საღამოს, თბილისში მოხდა. ბოდოკიამ, ლილუაშვილმა და ონიანმა ტაქსი, რომელსაც ხუროშვილი მართავდა, „მალაკნების" ხიდთან გააჩერეს და „ნახალოვკაში" წაყვანა სთხოვეს. მათ იმ საღამოს ტოტალიზატორში წაგებული ფულის შოვნა ყაჩაღობით გადაწყვიტეს. ერთი მძღოლის გვერდით დაჯდა, ორი კი უკანა სალონში მოთავსდა. როცა მანქანამ ერთ-ერთ ჩიხში შეუხვია, უკან მჯდომმა დანა კისერზე დაადო და ფული მოსთხოვა. მძღოლს, მხოლოდ 40 ლარი აღმოაჩნდა. მერე მობილურიც წაართვეს და გაუჩინარდნენ. მეორე დღეს ხუროშვილი მანქანით „გადასასვლელ ხიდთან" გაჩერდა. მოულოდნელად მან ის სამი პიროვნება დაინახა, რომლებმაც წინა საღამოს დააყაჩაღეს. როცა „სამეულმა" სხვა ტაქსი გააჩერა, ის თავისი მანქანით უკან გაჰყვა, თან პოლიციას შეატყობინა. სამართალდამცავებმა დამნაშავეები ჩოდრიშვილის ქუჩაზე აიყვანეს.



რაც შეეხება მეორე დაზარალებულს — თეიმურაზ ხონელიძეს, 8 თებერვალს დააყაჩაღეს, როცა თამარ მეფის გამზირიდან „გადასასვლელ ხიდთან" წაყვანა სთხოვეს, ეტყობა, თავდამსხმელებს „საქმისთვის" ერთი და იგივე ადგილი ჰქონდათ შერჩეული. მაშინ, მას 30 ლარი, ქურთუკი, მაგნიტოფონი და მანქანის გასაღები გასტაცეს. პოლიციას ხონელიძემაც შეატყობინა, თუმცა, მაშინ ისინი ვერ დააკავეს...

სასამართლოზე ბოდოკია და ლილუაშვილი ონიანის დაცვას შეეცადნენ და ამტკიცებდნენ, რომ ყაჩაღობისას ჩვენთან არ ყოფილა, მესამე პიროვნება ვინმე „ბადრი" იყოო, ტოტალიზატორში გავიცანით, ოღონდ მისი გვარი და მისამართი არ ვიცითო.

უდანაშაულობის დამტკიცებას თავის მხრივ შეეცადა ონიანიც. მისი განმარტებით, იმ საღამოს ბოდოკიასთან, რომელიც მისი დეიდაშვილია, ლილუაშვილთან ერთად ნაძალადევში ახლობელთან მიდიოდა. გზაში კი პოლიციამ დააკავა. მისი აზრით, დაზარალებული, რომელმაც იგი საპყრობილეში ამოიცნო, შეცდა.

მათი ჩვენების მიუხედავად, სასამართლომ სამივე განსასჯელი შვიდ-შვიდი წლით ციხეში გაუშვა.

**ლელა მანავლიშვილი**

# სპორტული მსოფლიო

- საინტერესო კია, დაესწრო თუ არა თანამემამულეთა მატჩებს ძველი კალათბურთელი სერგეი ბაღაფში.
- შაბათს, 19 საათზე, ეროვნულ სტადიონზე ყოფნა-არყოფნის შერკინებაა!



## ამასაც მოვესწარით

# რუსული სამქულიანები — ზღვისპირეთში



**სოხუმში რუსეთის საკალათბურთო ჩემპიონატის I ლიგის შეხვედრები გამართულა, სადაც უკიდეგანო ზესახელმწიფოს სამხრეთ რეგიონების გუნდებთან ერთად სარბიელზე მასპინძლებიც გამოსულან (!ძ. დიახ — აფხაზებს ჩრდილოური სიოთი ტკბობა სპორტულ ასპარეზზეც მოუწადინებიათ და განუხორციელებიათ კიდეც. მე თქვენ გეტყვით, ვინმე ან რამე შეუშლიდათ ხელს — განა აქამდე არ შერჩათ ხახვივით მრავალრიცხოვანი პოლიტიკური თუ ეკონომიკური ოინები მათ და მათ მფარველებს?**

საინტერესო კია, დაესწრო თუ არა თანამემამულეთა მატჩებს ძველი კალათბურთელი სერგეი ბაღაფში — ალბათ, ოდესმე ამასაც შევიტყობთ.

შეგახსენებთ, რომ ახლო წარსულში ანალოგიური განზრახვა სეპარატისტებს საფეხბურთო ფრონტზეც ჰქონდათ, მაგრამ მაშინ დიდი მამულიშვილის ნოდარ ახალკაცის ძალისხმევით, რომელიც ვიაჩესლავ კოლოსკოვს აწეული ტონით ესაუბრა და ფიფადან რუსეთის მოკვეთით დაემუქრა, კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ.

ვიმედოვნებთ, ასევე დასრულდება ყველაფერი ამჯერადაც. მით უმეტეს, როგორც საქართველოს კალათბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა მერაბ რატიშვილმა გვაუწყა, შესაბამისი შინაარსის წერილები ფიბა-სა და რუსეთის კალათბურთის ფედერაციაში უკვე გაუგზავნიათ და პასუხსაც დღე-დღეზე ელიან.

სხვათა შორის, იქაურ ფედერაციას თურმე თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი მფარველობს. საგულისხმო ფაქტია, არა?

## სიტუაცია

### დღეს პარტნიორთა კრებაა

**როგორც იცით, ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი ბოლნისის „სიონი“ წლეულს უმარილოდ თამაშობს და ზესტაფონში 0:3 წაგების შემდეგ ამჟამად XVIII ეროვნული ჩემპიონატის სატურნირო ცხრილის VII საფეხურზეა დამკვიდრებული. გუნდის ასეთი გამოსვლით უკმაყოფილო კლუბის პარტნიორები დღეს 12 საათზე ადგილობრივი გამგეობის შენობაში შეიკრიბებიან და, არაა გამორიცხული, საკადრო ცვლილებებიც განახორციელონ.**

როგორც „სიონის“ გენერალურმა მენეჯერმა **ჯემალ ჭიპაშვილმა** განაცხადა, დღესვე კლუბის მესვეურები ბოლნისელთა მოსკოვში წასვლა-არწასვლაზეც იმსჯელებენ, სადაც 20 იანვარს დამოუკიდებელ სახელმწი-



ფოთა თანამეგობრობის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მორიგი გათამაშება იწყება. ორჭოფობის მიზეზი ის გახლავთ, რომ საქმის კურსში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ჩაყენების მიუხედავად, ქვემოქართლელებს რუსეთის დედაქალაქში გამგზავრების შემთხვევაში, უსაფრთხოების გარანტიებს ვერავინ აძლევთ, ტურნირის ორგანიზატორებს კი მათი საბოლოო პასუხი მონაწილეობის თაობაზე 1 დეკემბრამდე უნდა ეცნობოთ.

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სპორტის რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ საკალათბურთო კლუბ სტუ — „ჯეოსელის“ დამფუძნებელს, პარლამენტარ მამუკა კაციტაძეს მამის**

**გურამ კაციტაძის**

**გარდაცვალების გამო და გულწრფელად უსამძიმრებენ განსვენებულის ოჯახს.**

## რაგბი

# დიდი ბრძოლის წინ

**მოგეხსენებათ, შაბათს, 19 საათზე ეროვნულ სტადიონზე ყოფნა-არყოფნის მატჩია — „ბორჯღალოსნები“ პორტუგალიელებს მასპინძლობენ და თუ ორრაუნდიან დუელში იმძლავრებენ, გაისად საფრანგეთში მსოფლიო თასის გათამაშების ფინალურ ეტაპზე ითამაშებენ. ამჟამად ჩვენი გუნდი რაგბის საერთაშორისო საბჭოს რეიტინგში მეჩვიდმეტე პოზიციაზე იმყოფება, მისი მომავალი მეტოქე კი ოცდამეერთეა.**



სამწუხაროდ, უმნიშვნელოვანეს შეხვედრაში პარტნიორებს ვერ დაეხმარებიან ტრავმირებულნი მახო ურჯუკაშვილი, დავით ზერაქაშვილი და ირაკლი მაჩხანელი, თუმცა, მათი არყოფნის მიუხედავად, მწვრთნელების — მალხაზ ჭეიშვილის, დავით ჩავლეიშვილისა და პაატა ნარიმანაშვილის შერჩეული შემადგენლობა მაინც შთამბეჭდავად გამოიყურება. საილუსტრაციოდ ის ფაქტი გამოდგება, რომ აბსოლუტურ უმრავლესობას პროფესიულ ფრანგულ კლუბებში გამობრძმედილი ლეგიონერები წარმოადგენენ: თემურ სოხაძე („ბასტია“-ძ, პალიკო ჯიმშელაძე („არასი“-ძ, გიორგი შკინინი („ბლუა“-ძ, რევაზ გიგაური და ლევან დათუნაშვილი („მონლუსონი“-ძ, ირაკლი გიორგაძე და დავით ხინჩაგიშვილი („ბურგუენი“-ძ, ირაკლი აბუსერიძე („ორლეანი“-ძ, ავთო კოპალიანი („მონტობანი“-ძ, აქვსენტი გიორგაძე („კასტრი“-ძ, გოდერძი შველიძე („კლერმონი“-ძ, მამუკა მაგრაქველიძე („რასინგი“-ძ, ილია ზედგინიძე („ოში“-ძ, მამუკა გორგოძე („მონპელიე“-ძ, გია ლაბაძე („ტულონი“-ძ, ბესო უდესიანი („ვილფრანში“-ძ, ილია მაისურაძე („ნანტი“-ძ, ბიძინა სამხარაძე („კონსტანცა“, რუმინეთიძ, ბესიკ ხამაშურიძე („აია“, ქუთაისიძ, გიორგი ელიზბარაშვილი (აკადემია, თბილისიძ და დავით კაჭარავა („ყოჩები“, თბილისიძ.

აქვე გაუწყებთ, რომ თბილისში ბრიტანელები იმსაჯებენ, ხოლო ორი კვირის შემდეგ ლისაბონში დანიშნულ საპასუხო დუელს იტალიელები გაუძღვებიან.

## კალათბურთი

# ქართველ ლეგიონერთა მონაგარი

**ამ დღეებში უცხოურ კლუბებში მოთამაშე ქართველმა კალათბურთელებმა მორიგ შეხვედრებში მიიღეს მონაწილეობა.**

მათგან განსაკუთრებით ისახელა თავი „ჯვაროსანთა“ კაპიტანმა **ზაზა ფაჩულიამ,** რომელიც „ატლანტას“ 19 ქულით შეეწია **ნბა**-ს მატჩში „კლივლენდთან“ გამარჯვებაში — 104:95. შეგახსენებთ, რომ ჩვენებური ჩინებულად გამოიყურებოდა რამდენიმე დღის წინათ გამართულ სეზონის სასტარტო დუელში ალენ აივერსონის „ფილადელფიას“ წინააღმდეგაც — 15 ქულა.

სასაყვედუროდ კაცს ენა არ მოუბრუნდება **ვლადიმერ ბოისას** მიმართაც — მართალია, სიენას „მონტეპასკი“ **ულებ**-ის თასის გათამაშებაში სტუმრად ისრაელის „ჰაპოელთან“ 80:85 დამარცხდა, მაგრამ საქართველოს ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი იტალიელ პარტნიორთა შორის 17 ქულით საუკეთესო იყო.

ასევე წარმატებით იბურთავა **ვახტანგ ნაცვლიშვილმა,** რომელმაც, ტრადიციისამებრ, ფრანგული „დიჟონის“ მაისურით იასპარეზა და **ფიბა**-ს თასის გათამაშებაში ასევე ებრაული „ნაჰარიას“ ძლევაში — 85:68 არცთუ მოკრძალებული წვლილი შეიტანა — 12 ქულა.



რაც შეეხება კიდევ ერთ ჩვენს თანამემამულე **ვიქტორ სანიკიძეს,** ამჯერად უქულოდ დატოვა სარბიელი, თუმცა მთავარი ის გახლავთ, რომ ესპანურმა „ესტუდიანტესმა“, რომლის სპორტულ ღირსებასაც იცავს იგი, ამავე ტურნირის ბრძოლა რუმინეთში „პლოეშტთან“ 97:85 მოიგო.

## ფეხბურთი

# სამეზობლოში მესამეა

**პოპულარული რუსული გაზეთის „სპორტ-ექსპრესის“ ტრადიციულ გამოკითხვაში უკვე ათითვის შედეგები შეჯამდა,** რის მიხედვითაც პოსტსაბჭოური სივრცის საუკეთესო ფეხბურთელთა დავაში ლონდონის „არსენალის“



ბელორუსი ლეგიონერი ალექსანდრე გლები ლიდერობს. მას კვალდაკვალ მისდევენ ანდრეი შევჩენკო (უკრაინა, ლონდონის „ჩელსი“-ძ და ჩვენი თანამემამულე შოთა არველაძე („ალკმაარი“-ძ. „ჯვაროსანთა“ კაპიტანი კახი კალაძე („მილანი“-ძ საერთო ჩათვლაში მე-13 პოზიციაზეა, ლევან კობიაშვილი („შალკე“-ძ კი — 26-ზე.

დავძენთ, რომ ოქტომბერში ჟურნალისტებმა უძლიერესად რუსი მეკარე იგორ აკინფეევი (ცსკა-ძ მიიჩნიეს.

## ორბიტაზე

### ფინალის ბურთი — 2,4 მილიონად

**დიახ, სწორედ დოხაში, აუქციონზე 2,4 მილიონ დოლარად გაიყიდა ბურთი, რომლითაც ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში იტალიისა და საფრანგეთის ნაკრებებმა ითამაშეს.**

მსოფლიო ჩემპიონების — იტალიელების ავტოგრაფებით დამშვენებული ბურთი კატარელმა ემირმა მოჰამედ ბინ ჰამად ალ-ტანიმ შეიძინა.

„მე ვესწრებოდი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩს და მხარს ვუჭერდი, როგორც ყოველთვის, იტალიელებს. ამიტომაც ეს ბურთი ჩემთვის ძალზე ძვირფასია“, — განაცხადა ემირმა.

თუმცა კატარელი ემირი მაშინვე როდი დაეუფლება ასე ძვირფას სუვენირს, რომელსაც ზინედინ ზიდანისა და მარკო მატერაცის, ტიერი ანრისა და ფრანჩესკო ტოტის ფეხი მოხვედრია. მას ჯერ დოხაში, სპორტის აკადემიაში წაიღებენ. იქ დეკემბერში გაიმართება აზიური თამაშები. ბურთს იქ ყველას სანახავად გამოფენენ.



ბურთის გაყიდვით შემოსულ თანხას ქველმოქმედებისთვის, აზიელი უქონელი ხალხის დასახმარებლად გამოიყენებენ.

### წოდებას ჩამოართმევენ?!

**არეულობაა ბრიტანეთის სამეფოში. მორიგი სკანდალი აგორდა „2006 წლის დიდი ბრიტანეთის ლამაზმანის“ ტიტულის მფლობელ დანიელ ლოიდის წინააღმდეგ. ის ხომ ინგლისური ფეხბურთის ვეტერანის ტედი შერინგემის მეგობარიცაა. თუმცა ჟურნალ „პლეიბოისთვის“ გადაღების გამო შესაძლოა, ტიტული ჩამოართვან.**

შიშველი ლოიდის ფოტოსურათები ჟურნალის დეკემბრის ნომერში უნდა დაიბეჭდოს, აურზაური კი უკვე ახლაა ამტყდარი. ლამაზმანების კონკურსის ორგანიზატორები გადაირივნენ, როდესაც დანიელის ასეთი გადაღების შესახებ შეიტყვეს. კონკურსის წესებით ეს აკრძალულია. მათ, შესაძლოა, გვირგვინი უკან მოითხოვონ.

თუმცა ლამაზმანს ეს დიდად არ აწუხებს. ჟურნალმა ხომ მას 100 ათასი გირვანქა სტერლინგი გადაუხადა. ქალიშვილის ყბედობა, შესაძლოა, მას უფრო ძვირი დაუჯდეს. ამას წინათ მან წამოაყრანტალა, რომ სქესობრივი კავშირი ჰქონდა ტედი შერინგემთან, კონკურსის ჟიურის წევრთან, თუმცა ამას თავად ტედი კატეგორიულად უარყოფს.

22 წლის ლოიდმა თავი იმითაც გამოიჩინა, რომ ერთ-ერთ ტელეშოუში უინსტონ ჩერჩილი „ამერიკის პირველ შავ პრეზიდენტად“ დაასახელა, თან მომხიბვლელად გაიღიმა და დაამატა: „მე ვნახე ამ ადამიანის ძეგლი, სადაც ის შავკანიანი იყო“.



№ 220. ხუთშაბათი, 9 ნოემბერი, 2006 წელი.

- დრუიდები ხეებს ღვთიურ ძალას ანიჭებდნენ, ხოლო ტყეს ტაძრად მიიჩნევდნენ
- თუ ბრაზილიაში პეპელა ფრთებს იქნევს, ამან, შესაძლოა, ტეხასის შტატში ქარიშხალი გამოიწვიოს



№ 220. ხუთშაბათი, 9 ნოემბერი, 2006 წელი.

⊙ საუკუნეთა წიაღიდან

# ევროპის პირველი ასტროლოგები

**„ყველა დრუიდს ვიწვევთ გაისად, 22 სექტემბერს ლონდონის ტავერნა „ვაშლის ხის ქვეშ“, სადაც საერთო კრება გაიმართება“, — ასეთმა შეტყობინებამ 1716 წელს ბრიტანეთის კუნძულები ერთობ ააფორიაქა, ვინაიდან დათქმულ დღეს რამდენიმე ათეული ნაზიარევი დედაქალაქს ეწვია, რითაც მოქალაქეთა პანიკა გამოიწვია. შეკრებაზე ჩამოვიდნენ საფრანგეთის ბრეტანის პროვინციის წარმომადგენლებიც. დრიუდებმა, რომლებსაც რამდენიმე საუკუნის მანძილზე კელტურ ქურუმთა გამქრალ კასტად მიიჩნევდნენ, კვლავ აუწყეს ქვეყანას თავიანთი არსებობის შესახებ.**



ძველმა დრუიდებმა შთამომავლებს არავითარი წერილობითი ძეგლი არ დაუტოვეს საკუთარი თავის შესახებ: იდუმალ სიბრძნეს ისინი ზეპირად, მასწავლებლისგან მოსწავლეს გადასცემდნენ. თუმცა ძველი ცოდნის ზოგიერთმა ასპექტმა ჩვენამდე მაინც მოაღწია. ამჟამად დასავლეთ ევროპაში არსებობს მრავალი კელტური წრე და გაერთიანება, მაგალითად, ბრიტანეთის დრიუდების ორდენი, ანდა საფრანგეთის კელტური ასოციაცია. მარტო შეერთებულ სამეფოში 25 ათასზე მეტი პრაქტიკოსი დრუიდია, თუმცა ისინი, უმეტესწილად, ნაკლებად ჰგვანან თავიანთ წინამორბედებს.

### უსიერ ტყეებში

**დრუიდობის მსურველი კანდიდატები სწავლობდნენ დასახელებული ადგილებიდან შორს, უსიერ ტყეებში. იდუმალ მეცნიერებას მოწაფეები ოცი წლის მანძილზე ითვისებენ. თავის დროზე დრუიდები ერთდროულად იყვნენ ღვთისმსახურები, პოეტები, ფილოსოფოსები, ღვთისმეტყველები, მათემატიკოსები, ექიმები, ფარმაცევტები და, რაღა თქმა უნდა, ასტრონომები და ასტროლოგები.**

ისტორიამდელ ეპოქამდე აგებული საქვეყნოდ ცნობილი მეგალითური ტაძრები, მაგალითად, სთოუნჰენჯი როლრაით სთოუნზი, როგორც ირკვევა, დრიუდების ობსერვატორიებს წარმოადგენს. აქ ბრძენი დრუიდები აკვირდებოდნენ მზისა და მთვარის მოძრაობას, განსაზღვრავენ ბუნიაობის დღეებსა და სხვ. კელტები მთვარის კალენდარს იყენებდნენ. ახალი ერის I საუკუნის რომაელი ისტორიკოსის პლინიუს უფროსი წერდა: „თავიანთ წლებსა და თვეებს ისევე, როგორც თავიანთ ოცდაათწლიან საუკუნეებს, ისინი განსაზღვრავენ მთვარისდა მიხედვით“. იულიუს კეისარი კი, „გალიის ომის ჩანაწერებში“, აღნიშნავს: **„დაბადების დღეს, თვისა და წლის დამდეგს ისინი ისე აღრიცხავენ, რომ ჯერ მოდის ღამე, მერე კი დღე... ისინი ბევრს უყვებიან თავიანთ ახალგაზრდა მოწაფეებს მნათობებსა და მათ მოძრაობაზე, სამყაროსა და დედამიწის სიდიდეზე, ბუნებისა და უკვდავ ღმერთთა ძლიერებასა და ძალაუფლებაზე“.**

კელტების წარმოდგენით, მთვარე განასახიერებდა მამაკაცურ საწყისს, მზე — ქალურს, ღამე კი დღეს შობდა. ცნობილია, რომ მთვარისდა მიხედვით დრუიდები განსაზღვრავდნენ ხელსაყრელ (მატიძდა არახელსაყრელ დღეებს (ანმატიძ, თუმცა თავად ეს მეთოდი დღემდე გამოცანად რჩება.

### სულის მცენარეული ბუნება

**დრუიდები ხეებს ღვთიურ ძალას ანიჭებდნენ, ხოლო ტყეს ტაძრად მიიჩნევდნენ, ამიტომაც წმინდა ტყეებში ტარდებოდა რიტუალები და იდუმალი შეკრებები, თაყვანისცემას კი კელტური ხეების ჰოროსკოპის შექმნა მოჰყვა. ამ ჰოროსკოპში 22 ნიშანია — 4 ერთეული და — 18 წყვილი.**

დრუიდების ახალი წელი 1 ნოემბერს იწყება, **სამაინის** ერთობ შიშისმომგვრელი დღესასწაულის დროს, როცა მიცვალებულთა სულები ცოცხლებს ხვდებიან. ეს იყო ძველი კელტების უმთავრესი დღესასწაული, რომელსაც თან ახლდა უამრავი თამაში და ლხინის სუფრა.

1 თებერვალს კელტები ზეიმობდნენ **იმბოლკს,** ზამთრის განწმენდის დღესასწაულს, 30 აპრილს კი — ცეცხლის დღესასწაულს **ბელტაინს.**

**ჩვენ დროში კელტების ასამბლეა 1 აგვისტოს, ლუნგზაადის, ანუ მოსავლის აღების კელტურ დღესასწაულზე იკრიბება პარიზის მახლობლად ტყეში ერთ-ერთ წყაროსთან... აქ თანამედროვე დრუიდები მედიტირებენ და ნადირობენ, ხოლო პურ-მარილის მენიუს დიდად გასაიდუმლოებულად ინახავენ. ამგვარად, კელტ ქურუმთა იდუმალი ტრადიციები ძველებურად ცოცხლობენ.**

⊙ გინდ დაიჯერეთ, გინდ არა!

# ადამიანს და ძროხას შეაჯვარებენ?!

**დიახ, ბრიტანელი მეცნიერები ცდილობენ მიიღონ ასეთი უჩვეულო ექსპერიმენტის ნებართვა. ისინი აპირებენ ადამიანური დნმ მოათავსონ ძროხის კვერცხუჯრედში.**

მკვლევარები ნიუკასლისა და ლონდონის უნივერსიტეტებიდან ფიქრობენ ასეთი ემბრიონის გამოყენებას ღეროვანი უჯრედების შესასწავლად. ისინი არ მისცემენ ემბრიონს საშუალებას, განვითარდეს რამდენიმე დღეზე მეტ ხანს.

თუმცა კრიტიკოსებმა უკვე უწოდეს კვლევის ასეთ მეთოდს არაეთიკური და პოტენციურად საშიში.

ღეროვანი უჯრედების გამოკვლევა მიიჩნევა ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მიმართულებად თანამედროვე სამედიცინო მეცნიერებაში.

ღეროვანი უჯრედები, დაახლოებით ხუთი დღის ემბრიონში კი მათი სიმრავლე, თავისთავად წარმოადგენს პრიმიტიულ „საბაზო“ უჯრედებს, საიდანაც შეიძლება გაიზარდოს ორგანიზმის ნებისმიერი ქსოვილი.

სწავლულებს დაუჟინიათ, რომ ღეროვანი უჯრედების გამოკვლევა იძლევა ალცჰეიმერისა და პარკინსონის დაავადების საწინააღმდეგო წამლების ძიების გასაღებს.

თუმცა, ეს წამლები რომ შეიქმნას, აუცილებელია ძიება და, აქედან გამომდინარე, ათასობით ემბრიონი.



პრობლემას ის ქმნის, რომ მეცნიერებს აკლიათ ადამიანური კვერცხუჯრედები, ხოლო ქალ დონორებს საამისოდ ოპერაცია დასჭირდებათ.

სწორედ ამიტომ უნდათ მეცნიერებს მისი შემცვლელად ძროხის კვერცხუჯრედის გამოყენება. ძროხის კვერცხუჯრედს გენეტიკურ მასალას რომ მოაცილებენ, სწავლულები მასში ადამიანის **დნმ**-ს მოათავსებენ, შემდეგ კი შექმნიან ემბრიონს. მეცნიერები ამბობენ, რომ ემბრიონი ადამიანურია 99,9 პროცენტით, ძროხიდან მასში მხოლოდ რჩება დნმ, უჯრედის ბირთვის გარეთ რომაა დარჩენილი.

ამრიგად, მიიღება ქიმერული ნახევრად ცხოველის, ნახევრად ადამიანის — ემბრიონი.

მეცნიერებს მოუწევთ, შეამოწმონ, რამდენად ხარისხიანი და სიცოცხლისუნარიანი იქნება ასეთი ემბრიონიდან მიღებული ღეროვანი უჯრედები.

⊙ დედაბუნების საიდუმლო

# წესრიგის შემქმნელი ქაოსი

**ამინდი დედამიწის სხვადასხვა რეგიონში საგრძნობლად შეიცვალა ბოლო წლების მანძილზე, რასაც სხვადასხვა მეცნიერი სხვადასხვანაირად ხსნის. აზრთა სხვადასხვაობა იმდენად დიდია — ზოგი ამას ტოტალურ ე. წ. სათბურის ეფექტს აბრალებს. ზოგიც — მოსალოდნელ გამყინვარებას და სხვ. — რომ ერთიანი აზრის გამოტანა ძალიან ძნელია. არადა, ახსნა, როგორც ჩანს, მაინც დედაბუნების თავისებურებებში უნდა ვეძიოთ...**



მაგალითად, კლიმატოლოგი საიმონ ლორენცი აცხადებს, რომ თუ ბრაზილიაში პეპელა ფრთებს იქნევს, ამან, შესაძლოა, ტეხასის შტატში ქარიშხალი გამოიწვიოს. საქმე ის გახლავთ, რომ რამდენად დაუჯერებელიც უნდა იყოს, **პეპლის პაწაწინა ფრთებით გამოწვეული ჰაერის უმცირესი ხვეულები... ათასობით კილომეტრზე გადაადგილდება და ატმოსფეროში სხვა ამგვარ (და გაცილებით უფრო ძლიერ) წარმონაქმნებთან შეჯახებით, საბოლოო ანგარიშით, ამინდს ცვლის.**

**ატმოსფეროს ესოდენ დიდი მგრძნობიარობა კი, ფაქტობრივად, იმას ნიშნავს, რომ საკმაოდ ზუსტი მეტეოროლოგიური პროგნოზების გაკეთება (ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც) თითქმის შეუძლებელია.**

ადამიანის ფილტვებში ყველა ბრონქი უფრო წვრილი ბრონქებად იტოტება, ისინი კი, თავის მხრივ — კიდევ უფრო წვრილებად. თითოეული განშტოება კონფიგურაციით იდენტურია, მაგრამ სხვებისგან ზომით განსხვავდება. აღსანიშნავია, რომ დედაბუნებას იმდენად „უყვარს“ სახასიათო ნახჭები, რომ ზოგიერთი მოვლენა შესაძლოა სულაც იმიტომ წარმოშვას, რომ იგი გარკვეულ სქემაში მოაქციოს. გამორიცხული არ არის, რომ გამყინვარებათა ეპოქების პერიოდულობას არ გააჩნია ჭეშმარიტად ფიზიკური მიზეზები და ამის „ბრალია“... ბუნების ნახჭებისადმი სიყვარული.

ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ ამგვარი აღმოჩენების შემდეგ „ქაოტოლოგებმა“ განაცხადეს, რომ შეძლეს შემოქმედის ერთ-ერთი საიდუმლოს ამოხსნა — მათ დაადგინეს ბუნების იდუმალი კანონი, რომელიც თავს იჩენს ისეთ განსხვავებულ სფეროებში, როგორიცაა, მაგალითად, ბამბის ფასი და მიწისძვრები. ეს კანონი ფიზიკოსმა მიტჩელ ფეიგენბაუმმა ჩამოაყალიბა, რომელიც გასული საუკუნის 70-იან წლებში ნიუ-მეხიკოში ლოს-ალმოსის ეროვნულ ლაბორატორიაში მუშაობდა და საღამოობით შემოგარენში სეირნობდა მარტოკა, თან წყლის ჭავლებში წარმოქმნილ ტურბულენტობაზე ფიქრობდა. **ტურბულენტობა წარმოადგენს სხვადასხვა სიხშირეების ერთობლიობას და რაღაცით წააგავს ასაწყობად დამსხდარი ორკესტრის დისონანსურ ჟღერადობას.** ისტორიაში ფეიგენბაუმი უბრალოდ კიდევ ერთ ექსცენტრიკულ ფიზიკოსად დარჩებოდა, რომ არ აღმოეჩინა მათემატიკური წესი: **წყლის ჭავლში მოწესრიგებულობას შეუძლია ქაოსის წარმოშობა.**

მეცნიერები ამჟამად დაობენ იმის გამო, თუ რამდენად უნივერსალურია ფეიგენბაუმის უნივერსალური წესი. მართლაც, მის არქივში დაცულია სამეცნიერო ჟურნალებიდან მიღებული უამრავი უარი, რომლებსაც იგი თავის სტატიებს სთავაზობდა. მიუხედავად ამისა, ბიოლოგები, ქიმიკოსები, ეკოლოგები და გეოლოგები იყენებენ ქაოსის პრინციპს, რომელიც ეხმარება იმის გარკვევაში, რაც უწინ იდუმალებით იყო მოცული.

მაგალითად, ბოსტონელმა კარდიოლოგმა არი გოლდბერგმა და მისმა კოლეგებმა აღმოაჩინეს სისხლში თეთრი ბურთულაკების ქაოტური რხევები. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ისევე, როგორც გულისცემის შემთხვევაში, **ქაოსი ჯანმრთელობას ნიშნავს: ლეიკემიის ზოგიერთი ფორმის დროს სიმკვრივის განაწილება ქაოტური აღარ არის ხოლმე.**

ახლა ეკონომისტები ცდილობენ გამოავლინონ საბირჟო კურსების „უცნაური ფაქტორები“, ხოლო გეოლოგები აპირებენ ქაოტურობის გამოყენებას ნავთობის ძიებისას.

იმის ახსნა, თუ რატომაა, რომ იმდენად განსხვავებული სისტემები, როგორიცაა სისხლის ბურთულაკები და დოუ-ჯონსის ინდექსი იდენტურ წესებს ემორჩილება, მხოლოდ შემოქმედს შეუძლია. მაგრამ, ვინაიდან პასუხის მიღება, ცოტა არ იყოს, სათუოა, **ქაოსი მეცნიერებს ბუნების საიდუმლოებებისთვის ფარდის ახსნის საშუალებას აძლევს.**



⊙ სიახლე

# ცანსაცმელი — მკურნალი

**გერმანიაში შექმნეს კოლგოტები, რომელსაც ორგანიზმში შეაქვს ვიტამინები და წამლები. ქსოვილზე აფრქვევენ A,B,C ვიტამინების მიკროსკოპიულ ნაწილაკებს, შემდგომში ისინი თანდათან იჭრებიან სხეულში კანის საშუალებით.**

დერმატიტით და დერმატომიკოზიით (სოკოთიძ დაავადებულთა მკურნალობისთვის კოლგოტებს ჟღენთავენ სამკურნალო მალამოთი. ეს „ჯადოსნური“ კოლგოტები უკვე გამოიტანეს ავსტრიის ბაზარზე და ის 7 დოლარი ღირს. კომპლექტში შედის სათადარიგო ჭურჭელი ვიტამინებით.



სწავლულებმა შეიმუშავეს პერანგიც რადიკულიტით დაავადებული ადამიანებისთვის. მისი ქსოვილი პირდაპირ გამოტენილია ბალზამის ნაწილაკებით, ტკივილებს რომ აყუჩებს სახსრებსა და კუნთებში. ასეთი მკურნალი — პერანგის მთავარი ღირსებაა, მისი შემქმნელების აზრით, რომ წამალი კანის საშუალებით სხეულში შედის პირდაპირ სისხლძარღვებით, ამიტომაც ტკივილებს ხსნის უფრო სწრაფად, ვიდრე ტაბლეტები.

- ჩვენი იურიდიული კონსულტანტის პასუხი დამსახურებულ ქალბატონს
- სულთათანა






## ხსოვნა

# დიმიტრი ცისკარიშვილი



რაოდენ დასანანია, რომ ქართველ სწავლულ ეკონომისტთა რიგებს გამოაკლდა კიდევ ერთი სახელოვანი მამულიშვილი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ღირსების ორდენის კავალერი **დიმიტრი ცისკარიშვილი.**

ამ პიროვნების მიერ მეცნიერების მწვერვალების დასაპყრობად ღრმა შინაარსიანი თანდათანობითი ალმასვლა ნათელი მაგალითია იმისა, თუ რა წარმატებების მიღწევა ძალუძს ჩვეულებრივ ქართულ ოჯახში აღზრდილი ახალგაზრდის მონდომებულ, კარგად ორგანიზებულ და მიზანდასახულ შემოქმედებით შრომით საქმიანობას. მან თავისი ფართო ერუდიციით, სიბეჯითითა და სწავლისადმი დაუოკებელი სწრაფვით პროფესორ-მასწავლებელთა ყურადღება იმთავითვე მიიქცია და სულ მალე ერთ-ერთი გამორჩეული სტუდენტი გახდა. ეს ადვილი როდი იყო თუნდაც იმიტომ, რომ თბილისის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე 1950 წელს მიღებულ ახალგაზრდებს შორის ბევრი იყო ისეთი, რომლებმაც თავიანთი მაღალი ნიჭიერებითა და ტალანტით ფართოდ გამოიჩინეს თავი მომდევნო ეტაპებზე.

დ. ცისკარიშვილს წილად ხვდა ბედნიერება, ყოფილიყო ქართული ეკონომიკური მეცნიერების პატრიარქის – აკად. პ. გუგუშვილის ასპირანტი. ეს, ცხადია, ეამაყებოდა მას. მაგრამ არც მოწაფე დარჩენილა ვალში. მან, თავის მხრივ, ასახელა მასწავლებელი არა მარტო იმით, რომ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები, არამედ იმითაც, რომ გამოაქვეყნა რამდენიმე თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის ფრიად საყურადღებო მონოგრაფიული გამოკვლევა, რომლებმაც მკითხველთა დიდი ინტერესი გამოიწვიეს.

დ. ცისკარიშვილმა სწავლული ეკონომისტის რანგში შრომითი საქმიანობა დაიწყო საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტში, შემდეგ გადაიყვანეს თბილისის სამხატვრო აკადემიაში, იქიდან – საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, ხოლო უკანასკნელი 45 წლის განმავლობაში ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის კეთილშობილურ საქმეს ემსახურებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

დ. ცისკარიშვილი სტუდენტთა შორის დიდი სიყვარულით სარგებლობდა, რაც, მის ნათელ გონებასთან და ცოდნის დიდ მარაგთან ერთად, განპირობებული იყო ნაფიქრალ-ნააზრევის აუდიტორიისათვის მიწოდების უბადლო ოსტატობით. ვისაც ერთხელ მაინც მოუსმენია მისთვის, შეუძლებელია, არ მოხიბლულიყო მისი ორატორული ნიჭით.

ბატონი დიმიტრი პირნათლად ვალმოხდილი წავიდა ამქვეყნიური ცხოვრებიდან. მისი სახელი, ოჯახის წევრებთან ერთად, არასოდეს წაიშლება მისი კოლეგების, მეგობრების, აღზრდილებისა და ყველა იმათ გულში, ვისაც ოდნავი კონტაქტი მაინც ჰქონია მასთან.

**ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია.**

## ახმეტის რაიონის საკრებულო აცხადებს კონკურსს ახმეტის რაიონის გამგებლის ვაკანტურ თანამდებობაზე

**ვაკანტური ადგილის დასაკავებლად მსურველებმა საკონკურსოდ უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:**

1. განცხადება;
2. პირადობის მოწმობის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის ასლი;
3. ავტობიოგრაფია CV
4. ხელწერილი კანონით დადგენილ მოთხოვნებთან. პირის შესაბამისობის შესახებ;
5. განათლების ან/და შესაბამისი კვალიფიკაციის მოწმობა;
6. უკვე გაცემული შრომის წიგნაკი;
7. სამუშაო გეგმა-პროექტი.

– ახმეტის რაიონის გამგებლის ყოველთვიური სახელფასო სარგო შეადგენს 1900 (ათასცხრაასი) ლარს.

**განმცხადებელმა აღნიშნული დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს პირადად. 2006 წლის 9 ნოემბრიდან – 2006 წლის 23 ნოემბრამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ახმეტა, ჩოლოყაშვილის ქ. №49, ახმეტის რაიონის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის მე-3 სართულზე. საკრებულოს აპარატში. ტელ. 8 249 2-25-82.**

## ⊙ გვეკითხებიან, ვუპასუხებთ

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: 1967 წლიდან 2006 წლის 7 ივლისამდე მაქვს მუშაობის უწყვეტი სტაჟი, მანამდე კი წყვეტილი სტაჟი, ვინაიდან ვზრდიდი ოთხ ვაჟიშვილს...**

**1976 წლიდან 2006 წლის 7 ივლისამდე ვმუშაობდი ყოფილ პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში. ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში აქტიურად ვიყავი ჩაბმული სამეცნიერო მუშაობაში, რისთვისაც სტალინურ სტიპენდიაზეც წარმადგინეს, მაგრამ მის დამტკიცებამდე რამდენიმე დღით ადრე, დააპატიმრეს მამაჩემი – გიორგი მირიანაშვილი და როგორც „ხალხის მტრის შვილს“ სტიპენდია აღარ დამიმტკიცეს. აქედან დაიწყო ჩემი რეპრესიები და მორალურად განადგურება. 1988 წლის ოქტომბერში გარდამეცვალა მეუღლე – შოთა თითბერიძე; მარჩენალის დაკარგვის გამო 1989 წლის 1 იანვრიდან დამენიშნა პერსონალური პენსია 112 მანეთი მუდმივად, რომელიც 1992 წლის 1 იანვრიდან შემიწყვიტეს.**



**2004 წლის 1 ივლისიდან ვიღებ პენსიას თვეში 45 ლარის ოდენობით, როგორც რეპრესირებულის შვილი.**

**გთხოვთ განმიმარტოთ, მეკუთვნის თუ არა სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია რეპრესირებულის მემკვიდრის პენსიასთან ერთად, მაშინ როდესაც საარსებო მინიმუმი ოფიციალურად 150 ლარს შეადგენს ან რეპრესირებულის პენსიაზე მეკუთვნის თუ არა 10 ლარის დამატება დედაქალაქის ბიუჯეტიდან?**

**ელენე თითბერიძე**

**პასუხი:** ქალბატონო ელენე, გულდასმით გავეცანით თქვენს განცხადებას და მასზე დართულ საბუთებს. მართლაც დამსახურებული პიროვნება ბრძანებულხართ; კარგად გვესმის თქვენი გულისტკივილიც, მაგრამ ვალდებული ვართ გაცნობოთ, რომ მოქმედი კანონის შესაბამისად, ერთდროულად პენსიის და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების უფლებას ვერ იპოვებთ.

აქვე განგიმარტავთ, რომ სამწუხაროდ, პენსიაზე 25 წელზე მეტი სტაჟისათვის, 10 ლარის დამატებაც არ გეკუთვნით, ვინაიდან თბილისის მერიის გადაწყვეტილებით, 2006 წლის 1 სექტემბრიდან აღნიშნული თანხა დაემატებათ მხოლოდ თბილისში მცხოვრებ იმ პენსიონერებს, რომლებიც მოხუცებულობის პენსიას, თვეში 38 ლარის ოდენობით იღებენ.

უარყოფითი პასუხებისთვის ბოდიშს გიხდით.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-96-33.**

**რეკლამა**
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

## ხსოვნა

# ნელი ჯიქია



აფხაზეთის სამეცნიერო-პედაგოგიურმა საზოგადოებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა მისი ღირსეული წარმომადგენელი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **ნელი ჯიქია.**

ნელი ევგენის ასული ჯიქია დაიბადა 1935 წლის 13 თებერვალს ზუგდიდის რაიონის სოფ. ჭითაწყარში.

საშუალო სკოლა დაამთავრა ზუგდიდში.

1955-60 წლებში სწავლობდა ა.ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა. სხვადასხვა დროს ნ. ჯიქია მუშაობდა ზუგდიდში, სოფ. ჯუმის საშუალო სკოლაში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გულრიფშის რაიონის ფშაფის საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

1972 წელს დაამთავრა მიზნობრივი ასპირანტურა. 1976 წელს დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

1978 წლიდან სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ა.მ. გორკის სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში (ამჟამად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში) ქართული ენის კათედრაზე დოცენტად. მინიჭებული ჰქონდა მასწავლებელ-მეთოდისტის წოდება.

ნ. ჯიქიას გამოქვეყნებული ჰქონდა მრავალი სამეცნიერო სტატია და სახელმძღვანელო.

ქალბატონი ნელი ჯიქია იყო ღირსეული ოჯახის დედა, მზრუნველი ბებია. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მან მარტომ შეძლო აღეზარდა ერთადერთი ვაჟი, რომელიც ბრწყინვალედ აგრძელებს ქართულ ტრადიციას და ოთხ ვაჟკაცს უზრდის სამშობლოს, ემსახურება ქართველი ახალგაზრდების სწავლა-აღზრდის საქმეს.

ქალბატონი ნელის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება იმათ გულში, ვისთანაც წლების მანძილზე ურთიერთობა აკავშირებდა.

**ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი**

---

მეუღლე ლალი ზამთარაძე, შვილები ნანა, თემური, რძალი მაკა ხაბურზანია, შვილიშვილები ანა, ნინი, და ბაბულია კოტეტიშვილი, ძმა გივი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თენგიზ რომანის ძე ხოსიტაშვილი

პანაშვიდები 9, 10 XI, 17 სთ. გამოსვენება: 11 XI, 14 სთ. მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №30

---

თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩო ღმრა მწუხარებით იუწყება, რომ საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს, გრიგოლ მგალობლიშვილს გარდაეცვალა მამა

ზურაბ მგალობლიშვილი

დაკრძალვა 9 XI, 14 სთ. მისამართი ჭავჭავაძის პრ. 21 ბინა 14.

---

ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ს/კ ინსტიტუტი სამძიმარს უცხადებს სიმონ ლიბრაძესა და ნანა ლობჟანიძეს შვილის

დავით ლიბრაძის

გარდაცვალების გამო

- სუპერთანამედროვე გემი ნამდვილი მცურავი ქალაქია!
- გაურემონტებელ საპყრობილეში პატიმარი ასე ცოტას ჭამს?



№ 220. ხუთშაბათი, 9 ნოემბერი, 2006 წელი.

## ტექნიკის სიახლენი



# მცურავი ქალაქი მილიონერთათვის

**ამგვარი გემი, სულ მალე მსოფლიოს ირგვლივ მოგზაურთათვის, მართლაც რომ, ფანტასტიკა აღარ იქნება. პირველად მსოფლიოში, ამ გემზე განლაგებული იქნება ყინულის არენა, ვიწრო ქუჩები თავისი ბარებითა და ბაზრობებით, მეკლდეურთათვის სპეციალური „კლდეები“ და სხვა. მოკლედ, ეს გახლავთ მსოფლიოში პირველი „მცურავი ქალაქი“. ფირმა „Royal Caribbean international“-მა განაცხადა, რომ სულ მალე მსოფლიო ოკეანეებში სულ ხუთი ამგვარი გემი იქნება. თითოეული ლაინერის აგება კომპანიას 500 მილიონი დოლარი დაუჯდება.**

გემზე რამდენიმე ქუჩა იქნება. თითოეული ქუჩის სიმაღლე ოთხჯერ ნორმალურ გემბანს აღემატება და გადახურულია შუშის გუმბათით, მათი სიგრძე კი ფეხბურთის სტადიონის სიგრძის ტოლია. ქუჩაზე მრავლადაა მაღაზიები, კაფეები, გარე ბაზრობები და ქუჩის მუსიკოსების აკომპანიმენტის ქვეშ შეგიძლიათ მიირთვათ მსოფლიოს ყველა კუთხის ეგზოტიკური კერძები.

Voyager-ის კლასის უზარმაზარ ლაინერზე გახსნილია 1350 მაყურებელზე გათვალისწინებული თანამედროვე ტექნოლოგიით მოწყობილი კინოთეატრი.

მოკლედ, ზღვაოსანთათვის სუპერთანამედროვე ლაინერი მართლაც სამოთხეა.



## ინფორმაცია

### შენდება ახალი ციხეები

**საქართველოს იუსტიციის მინისტრმა გია ქავთარაძემ მთავრობას სასჯელაღსრულებით სისტემაში 2006 წელს განხორციელებული სამუშაოებისა და 2007 წლისათვის დაგეგმილი ღონისძიების შესახებ მოხსენება წარუდგინა.**

მოხსენების მიხედვით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტებში პატიმართა სოციალური მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესებულა.

იუსტიციის მინისტრის გია ქავთარაძის განმარტებით, 2005-06 წლებში ორმა ახალმა სასჯელაღსრულების დაწესებულებამ დაიწყო ფუნქციონირება. ეს არის ქუთაისის №2 და რუსთავის №6 სასჯელაღსრულების დაწესებულება, რომელიც ევროსტანდარტებით არის აღჭურვილი და მათ რეკონსტრუქციაში გარკვეული წილი ევროგაერთიანებამაც შეიტანა.

წლის ბოლომდე ექსპლუატაციაში შევა რუსთავის №2 სასჯელაღსრულების დაწესებულება, რომელიც 2200 პატიმარზეა გათვლილი.

ხოლო 2007 წლის ბოლოსათვის გლდანის ტერიტორიაზე არსებული ახალი საპყრობილის მშენებ-



ლობა დასრულდება, რომელიც 3 ათას პატიმარზეა გათვლილი. მომავალ წელს დასრულდება აგრეთვე ბათუმისა და ზუგდიდის საპყრობილეების მშენებლობა, რომელიც 800-800 პატიმარს დაიტევს.

### „რეზბალნიცა“ დაიხურება

**საქართველოს იუსტიციის მინისტრის გია ქავთარაძის განცახდებით, 2006 წელს 2005 წელთან შედარებით სასჯელაღსრულების დეპარტამენტში სამედიცინო მომსახურება რადიკალურად გაუმჯობესდა, რაც გაზრდილი ბიუჯეტის ხარჯზე მოხდა.**

წინა წელთან შედარებით დაფინანსება 3,5 პროცენტამდე გაიზარდა და 345 ათასი ლარი შეადგინა. წამლების შესაძენად გათვალისწინებული იყო ორჯერ მეტი თანხა, რაც საერთო ჯამში 550 ათასი ლარი გახდა.

სამოქალაქო საავადმყოფოებში პატიმართა მკურნალობისთვის გამოყოფილი იყო 50 000 ლარი. ქავთარაძის განმარტებით, 2007 წლის ბიუჯეტის პროექტში წელს სამოქალაქო საავადმყოფოებში პატიმართა მკურნალობის დაფინანსება გაზრდილია.

– 2007 წელზე საავადმყოფოები ახალი თანამედროვე აპარატურით აღიჭურვება, რისთვისაც ბიუჯეტი 100 ათას ლარს დახარჯავს. ე.წ. „რეზბალნიცა“ დაიხურება და დასავლეთში პატიმრებს – ქუთაისის საპყრობილეში არსებული საავადმყოფო, ხოლო აღმოსავლეთში გლდანის ახალ საპყრობილეში არსებული ახალი საავადმყოფო მოემსახურება, – განაცხადა ქავთარაძემ.

### პატიმრის კვებისთვის – 50 ლარი

**საქართველოს იუსტიციის მინისტრის გია ქავთარაძის მიერ მთავრობისთვის სასჯელაღსრულებით სისტემაში 2006 წელს განხორციელებული სამუშაოებისა და 2007 წლისათვის დაგეგმილი ღონისძიების შესახებ მოხსენების მიხედვით, ევროსტანდარტებით გარემონტებულ საპყრობილეებში პატიმრის კვებისთვის თვეში თითო პატიმარზე 50 ლარი, ხოლო გაურემონტებელ ციხეებში – 23 ლარი იხარჯება.**

როგორც ქავთარაძემ აღნიშნა, მომავალი წლიდან სასჯელაღსრულების დაწესებულებების რეაბილიტაციასთან ერთად პატიმართა კვების დაფინანსებაც გაიზრდება.

ХО-ЭОВ-ЭНО

## ანეკდოტები

**მაშ ასე, წარმოიდგინეთ, რომ კომპიუტერი გაგიფუჭდათ. რას გააკეთებთ?**

**არა, ტელევიზორიც გაფუჭებული გაქვთ. ასეც ხომ ხდება. მაშინ რას შვრებით?**

**დავუშვათ, რომ არც ცოლი გყავთ და არც მეგობარი ქალი. არც მათი „მოჩანგვლაა“ შესაძლებელი, რადგან საამისოდ ფულიც არა გაქვთ, მაშინ?**



**არა, არც არყისა და ლუდისთვის გაქვთ ფული. არც მეგობრებს სცალიათ თქვენთვის.**

**არა, ბატონო, არც თქვენი რადიომიმღები მუშაობს. ახლა?**

**ოოო!!! როგორც იქნა, გაიგეთ არა, რაოდენ მნიშვნელოვან როლს ასრულებს თქვენს ცხოვრებაში წიგნები?!**

* * *

**გრენლანდიის მიდამოებში აღმოაჩინეს არყის აისბერგი. გრინპისმა განგაში ატეხა. მის თხოვნას, ალკოჰოლიზმისგან გადაარჩინონ ზღვის ფაუნა, მაშინვე გამოეხმაურა ასიათასობით რუსეთელი მოხალისე.**

* * *

**სახლში მისული ცოლი ხედავს, რომ მის ქმარს ძუძუმწოვარა ბავშვი ხელში უჭირავს და განავლით დასვრილ საფენებში ცხვირს აყოფინებს.**

**– რას შვრები, კაცო?!**

**– მინდა, ამ მავნე ჩვევას გადავაჩვიო! ჩვენმა მეზობელმა სწორედ ასე გადააჩვია თავისი კატა უადგილო ადგილას მოსაქმებისგან.**

## ლარის კურსი

**9 ნოემბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსი**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,2940 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7355 ლარი |
| ევრო | 1 | 2,2041 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0650 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9882 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4552 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,4380 ლარი. |

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

## კადრი



## განცხადება

სამედიცინო რადიოლოგიის ს/კ ინსტიტუტი და გაერთიანებული ქართული ბანკი პირველად საქართველოში გთავაზობთ ერთობლივ პროექტს – პაციენტს ყველა სახის სადიაგნოსტიკო და სტაციონარული მომსახურება (ნეიროქირურგიული, ზოგადქირურგიული და გინეკოლოგიური ოპერაციებიძ გაეწევა ბანკის მიერ გაცემული უპროცენტო კრედიტის საფუძველზე.

დაინტერესებულ პირებს (პაციენტებსძ აღნიშნულ საკითხზე შეუძლიათ მიმართონ ინსტიტუტის ადმინისტრაციას.

მისამართი: თევდორე მღვდლის ქ. 13.
ტელ: 94-02-89; 899 54-60-32.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

გამომცემელი – შპს „თანადგომა-1“
ქიზიყის 14
ტ: 899 797679; 98-96-32

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი ვილენ მარდალეიშვილი

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე აკრეფილ ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.